პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 63, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—58) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— რუმინეთიდან გააძევეს ბორის სტეფანოვის დამცველი, ვექილი ბარტოშეკი.
— გერმანიის დელეგაცია ერთა ლიგის სექტემბრის სესიაზე.
— ვახაბიტების შეთქმულების აღმოჩენა.
— საბჭოთა კავშირში მოემგზავრება ავსტრიის მუშათა მეორე დელეგაცია.
— ხოლერის ეპიდემია სპარსეთში.
— ეგვიპტის ბამბა საბჭოთა კავშირში.
— საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვება გერმანიაში.

ხუთშაბათი, 1 სექტემბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 197 (1942)

„კომუნისტი“ მიიღება ხელის მოწერა სექტემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

საშინაო სესხი ინდუსტრიალიზაციისათვის

ჩვენი სახალხო მეურნეობის შეუჩერებელ ზრდასთან ერთად იზრდება ის მატერიალური საშუალებებიც, რომლებითაც ვითარდება საბჭოთა მრეწველობა. წელს მრეწველობის საჭიროებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადადებულია ერთ მილიარდ მანეთზე მეტი. ცხადია, ეს დიდათ წასწევს წინ ჩვენს სამრეწველო მშენებლობას. მაგრამ ამით ვერ დავკმაყოფილდებით.

ჩვენს წინაშე მთელი თავისი სიმწვავით დგას ამოცანა მრეწველობის, რაც შეიძლება ჩქარი ტემპით განვითარების შესახებ. ვინაიდან საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის საკითხი არ შეიძლება განცალკევებით განიხილოდ იმ მიღწევებისაგან, რომელნიც ამ დარგში მოეპოება ჩვენს შეურიგებელ პოლიტიკურ და ეკონომიურ მოპირდაპირეს—კაპიტალისტურ ქვეყნებს.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა მეურნეობამ მთელი რიგი უდიდესი გამარჯვებანი მოიპოვა. ჩვენი მრეწველობის წინაშე დასახულია ახალ კაპიტალურ სამრეწველო აღმშენებლობის გეგმა. ცხადია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადადებული საშუალებანი ამ დიდ სამრეწველო აღმშენებლობის მოთხოვნილებას სავსებით ვერ დააკმაყოფილებს. საჭიროა ამ სხვა წყაროების გამოძებნა.

გარეშე სახელმწიფოების სესხზე დიდი იმედების დამყარება გულუბრყვილობა იქნებოდა. ჩვენსა და ზოგიერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის უკანასკნელად შექმნილი გამწვავებული მდგომარეობა გამოწვეულია სხვათა შორის იმ გარემოებით, რომ მათ დაინახეს ჩვენი შეუჩერებელი სამეურნეო ზრდა, ისინი დარწმუნდენ, რომ სოციალისტურმა ეკონომიკამ რეალური გამართლება ჰპოვა, რაც საბოლოო ანგარიშით ნიშნავს კაპიტალისტური მეურნეობის აღსასრულს.

უცხოეთიდან საკმაო რაოდენობით სესხის მიღების ერთად-ერთი საშუალება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ დავსთმოთ ოქტომბრის მონაპოვარის მნიშვნელოვანი ნაწილი. უსიტყვოთ ვიცნოთ მეფის და კერენსკის მთავრობის მიერ აღებული უცხოეთის ვალები, „მოვანდინოთ ბურჟუაზიისათვის „მოსაწონი“ ესა თუ ის ცვლილებანი ჩვენს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ეს კი იქნებოდა ოქტომბრის დამარცხება.

საბჭოთა კავშირმა საკუთარი ძალებით თავი დააღწია იმ სამეურნეო დეზორგანიზაციას, რომელიც აქ მეფობდა იმპერიალისტურ ომისა და ინტერვენციის გამო, სოციალისტური აღმშენებლობა თავისივე საშუალებით, ახალ საამშენებლო ენტუზიაზმით აღტკინებულ მშრომელთა ენერგიის არაჩვეულებრივი გაქანებით, მტკიცედ და სწორი ნაბიჯით მიდის წინ.

საბჭოთა კავშირი ვერ წავა აგრეთვე ინდუსტრიალიზაციის განვითარების მიზნით მშრომელთა ზედმეტი დაბეგვრისა და ექსპლოატაციის გზით, როგორც ეს ხდებოდა და ხდება კაპიტალისტურ ქვეყნებში, საბჭოთა კავშირი ვერ გაძარცვავს და ვერ გაწიოკებს ეკონომიურად ჩამორჩენილ სხვა ერებს, როგორც ამას სჩადიოდა და სჩადის იმპერიალიზმი თავისი სამეურნეო ორგანიზაციის გასაძლიერებლად და გადასახალისებლად.

მშრომელთა სახელმწიფოს სამრეწველო აღმშენებლობის მთავარი მატერიალური წყარო მშრომელთა სახელმწიფოს სალარო და ის ორგანიზაციული ფინანსიური დახმარებაა, რომელიც უნდა გაუწიოს უმთავრესად ამ მასებმა თავის ხელისუფლებას—შინაური სესხის სახით. ამ მიზნით საკავშირო მთავრობის დადგენილების თანახმად გამოშვებული იქნება 200 მილიონიანი მომგებიანი საშინაო სესხი, რომელსაც ერქმევა: „საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის სესხი“.

ამ სესხის გამართლება მთლიანად დამოკიდებულია იმ გამოხმაურებაზე, რომელსაც ჰპოვებს ის ფართო მშრომელ მასებში. რომ ეს გამოხმაურება ჩვეულებრივ ძლიერი იქნება, ამას მოწმობს წარსულ სხვა საშინაო სესხების პრაქტიკა და კერძოდ ის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები, რომელიც გამომუშავებულია მთავრობის მიერ აღნიშნულ სამრეწველო სესხისათვის. დაწესებულია ჩვეულებრივზე მეტი საპროცენტო ანაზღაურება და ამავე დროს გადიდებულია მოგებათა რაოდენობა. გარდა ამისა, იმ მიზნით, რომ სესხში აქტიური მონაწილეობა მიიღოს მშრომელმა მოსახლეობამ, შემოღებული იქნება ხუთ მანეთიანი კუპიურებიც, დაშვებული იქნება კოლექტიური ხელის მოწერა სესხზე და სხვა.

საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, სამრეწველო სესხი ამჟამად მორიგ და უაღრესი მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს. ადგილობრივ პარტიულმა, პროფკავშირის, კოოპერაციის და სხვა სახის საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა, როგორც საკუთარი მონაწილეობით, ისე ფართე აგიტაცია-პროპაგანდით ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი სამრეწველო სესხის პოპულიარიზაციას და მის წარმატებით ჩატარებას. საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია — საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების საქმეა.

გარედან წამქეზებლები

ერთ-ერთ უეჭველ ნიშანს იმ ევოლიუციისა, რომელიც განიცადა ჩვენმა შინაპარტიულმა ოპოზიციამ ერთი წლის განმავლობაში 1926 წლის 16 ოქტომბრის განცხადების დღიდან, წარმოადგენს ის გარემოება, რომ კომინტერნიდან გამორიცხულ მემარცხენეთა (მასლოვ-ფიშერის ჯგუფი გერმანიაში) დაგმობა ოპოზიციამ შესცვალა ამ ჯგუფისთვის დახმარებით.

რით აიხსნება ეს თავისებური „სმენავეხელობა“? ვინ და რა მხრით აკეთებდა ევოლიუციას და „ვითარდებოდა“ წარსული წლის განმავლობაში? მასლოვ-ფიშერის ჯგუფი თავის უწინდელ პოზიციებზე დარჩა. ის „იცვლება“ მხოლოდ იმ მხრივ, რომ მისი სისინი კომინტერნისა და გერმანიის კომპარტიის წინააღმდეგ კიდევ უფრო აღვირახსნილი და პოლიტიკურად კიდევ უფრო მავნე ხდება საბჭოთა კავშირის გარშემო გართულებულ საერთაშორისო მდგომარეობის შექმნის გამო.

„კომუნიზმის დროშის“ ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში მისი რედაქტორები საკმაოდ გამჭვირვალედ და საკმაოდ უტიფრად უსვამენ ხაზს იმას, რომ ისინი კი არ მისულან ოპოზიციასთან, არამედ ოპოზიცია მივიდა მათთან.

„ჩვენ შეხედულებათა პოლიტიკური თანხმობა რუსეთის ოპოზიციის შეხედულებებთან ნათლად სჩანს ერთის მხრივ რუსეთის ოპოზიციის იმ დოკუმენტებიდან, რომლებიც ჩვენ გამოვაქვეყნეთ. მეორეს მხრივ—ჩვენი საკუთარი პოზიციიდან, რომელიც ცნობილია მთელ რიგ წლების განმავლობაში, და ჩვენი ორგანოს მიმართულებიდან“.

ეს დაცინვითი დამოკიდებულება ჩვენს ოპოზიციასთან „მთელ რიგ წლების განმავლობაში“ მიზნად ისახავს მოვაგონოს, რომ იმ იდეურ გმირებს, რომლებთანაც მივიდენ ოპოზიციის „ჩვენი მოქმედები“, წარმოადგენენ მასლოვი და რუტ ფიშერი.

ჩვენ მიერ მოხსენებულ წერილის (მოწინავე მე-23 ნომერში, 19 აგვისტ.) ავტორები იზიარებენ არა მარტო ჩვენი ოპოზიციის შეხედულებებს საერთოდ, არამედ კერძოდ ოპოზიციის 1927 წლის 8 აგვისტოს განცხადებებსაც და არჩევენ ამ განცხადების თვითეულ მუხლს. „ჩვენ ვეურთდებით რუსეთის ოპოზიციის წინადადებას (მასლოვ-რუტ ფიშერის ჯგუფის კომინტერნში დაბრუნების შესახებ)“. „თუ რუსეთის ოპოზიცია აყენებს ამ მოთხოვნილებებს, ეს მიტომაა, რომ პოლიტიკურად სოლიდარული უნდა იყოს ჩვენს ჯგუფთან“—სწერენ ისინი.

ჩვენ აქ არ ავწერთ ცილისწამების და დისკრედიტაციების მთელ „სურნელოვან ნაკადს“, რომელსაც ხელახლა და ხელახლა მიუძღვნიან კომინტერნს, გერმანიის კომპარტიას, ჩვენს პარტიას და მის ხელმძღვანელობას. მოვიხსენიებთ მხოლოდ იმას, რაც უშუალოდ შეეხება ოპოზიციას და მის შემდგომ ამოცანებს, ის შეფასება, რომელსაც აძლევენ ეს „პროფესიონალური მკვეხარები“ ჩვენს შინაპარტიულ მდგომარეობას, არის მამლაყინწურად მედიდური და სასაცილო. ისინი ფიქრობენ, რომ ც. კ. და ც. ს. კ. უკანასკნელ გაერთიანებულ პლენუმზე „გაიმარჯვა“ ოპოზიციამ, პარტიის უმრავლესობა კი „დამარცხდა“.

„სტალინი დამარცხდა. ნამდვილად მას მიზნად ჰქონდა გამოეწვია ოპოზიციონერთა გაძორიცხვა პარტიიდან. ეს მიზანი ვერ იქნა მიღწეული“.

„სტალინის ეს დამარცხება ოპოზიციის გამარჯვებაა“.

მაგრამ მამლაყინწური „ბაქიაობით“ ჩვენი „გმირები“ „მიზნად“ ისახავენ თავის გამხნევებას და გულის დამშვიდებას.

„დამარცხება“, რომელიც ვითომ „განიცადა“ პარტიის უმრავლესობამ, შემოწმების შემდეგ რაღაც ახირებულ „დამარცხებად“ მოსჩანს. მათი საკუთარი სიტყვებით, ამ დამარცხებას აქვს არაჩვეულებრივი თვისება—მისცეს „დამარცხებულთ“ მთელი რიგი „უპირატესობებიც“. თურმე „დამარცხებულნი“ აღწევენ „ერთგვარ წარმატებას პოლიტიკურად ჩამორჩენილ (!) წრეებში ჩვენი ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, ვინაიდან გამოდიან მშვიდობიანობისათვის მზადმყოფთა და სულგრძელთა როლში“. ამაში იძულებული არიან პირდაპირ გამოტყდენ კომინტერნიდან გამოფერთხილი „მოწინავენი“ (რომელთაც „წრეების“ წარმომადგენელნი). ამ აღიარებიდან უეჭველად და თვალსაჩინოდ გამომდინარეობს ის, რომ მშვიდობიანობის დამრღვევთა როლში, პარტიის მოთმინების გამომცდელთა როლში, სათანადო „პარტიულ წრეების“ (რომლებიც კომინტერნში იმყოფებიან და არა ურბანსის და მასლოვის ჯგუფში) თვალში გამოვა ყველა ის, ვინც კიდევ განაგრძობს ოპოზიციის ფრაქციულ ბრძოლას ეს იქნება ჩვენი შინაპარტიული ურთიერთობის სწორი გაგება.

შემდგომი სრულიად არაჩვეულებრივი თვისება იმ „დამარცხებისა“, რომელიც განიცადა პარტიამ ოპოზიციისაგან. მდგომარეობს იმაში, რომ, წერილის ავტორის სიტყვებით, „უეჭველია უსუსტეს ელემენტებში (ოპოზიციის. რედ.) მოხდება გახრწნა და დემორალიზაცია“. ამის საილიუსტრაციოდ წერილის ავტორს მოჰყავს იმ ამხანაგების მთელი რიგი სახელები, რომლებიც გამოვიდენ ოპოზიციიდან.

გულწრფელად ვულოცავთ ოპოზიციას და ულტრა-მემარცხენეებს ამისთანა „გამარჯვებას“. დეე კიდევ მეტი იყოს ასეთი „გამარჯვებები“, რადგან ეს არის პარტიის „გამარჯვება“ ოპოზიციაზე.

8 აგვისტოს განცხადებას და ც. კ-ს დადგენილების შემდეგ დამყარებულ მდგომარეობას პარტიაში, ავტორები „კომუნიზმის დროშიდან“ ახასიათებენ. როგორც „შეიარაღებულ ზავს“. ისინი „უწინასწარმეტყველებენ“ ოპოზიციის შემდეგი ბრძოლების გზას. პარტიის უმრავლესობას „არც ერთ პოლიტიკურ საკითხში არ უღალატნია თავის თვალსაზრისისათვის“.

მაგრამ, მისი ხაზი მიიმართება კომუნიზმის ლიკვიდაციისაკენ კომინტერნში. და რომ ოპოზიცია არ იყვეს ამაში დარწმუნებული, მთელი მისი ყოფა-ქცევა იქნებოდა მიუტევებელი.—უმატებს ულტრა-მემარცხენე ფურცელი. ს. კ. პ. (ბ)-ის უმრავლესობის ხაზი მიიმართება „კლასიურ ურთიერთობათა თანდათანობითი შეცვლისაკენ მუშათა კლასის საზიანოთ“ (!), ეს იმ დროს, როდესაც ოპოზიცია, თითქოს, მუშაობს „პროლეტარიატის სასარგებლოდ“.

ავტორების აზრით, ოპოზიციას თავის მხრივ „არაფერი წაუღია უკან პლენუმზე“ მთელი თავისი ხაზიდან. „მემარცხენე“ ოპორტუნისტები უკარნახებენ ჩვენ ოპოზიციას პარტიასთან ბრძოლის შემდეგი გამწვავების ხაზს. მათი აზრით „თუ ოპოზიცია არ იმოძრავებს, ე. ი. თუ კი არ გამოიყენებს შეიარაღებულ ზავს თავისი პოზიციების გასაძლიერებლად, მაშინ მისი ფაქტიური გამარჯვება პლენუმზე გადაიქცევა დამარცხებათ. ამიტომ იგი უნდა მოძრაობდეს“.

ავტორები ამხედრებულნი არიან შინაპარტიულ „პაციფიზმის“ და „ფორმალურ გაერთიანების“ წინააღმდეგ პარტიის შიგნით და შემდეგ ურცხვად „აცხადებენ (თითქოს მათ უნდათ გააცინონ არა მარტო კაცობრიობა, არამედ ფრინველთა სამეფოც), რომ ისინი მომხრენი არიან კომინტერნის „გაერთიანებისა“ (!).

როგორც ხედავთ, ასი-ათასი და მილიონი ყველა ქვეყნების კომუნისტები უნდა „გაერთიანდენ“ პოლიტიკურად საეჭვო ჯგუფთან, რომელიც გაძევებულია კომინტერნიდან ოპორტუნიზმისათვის და რომელიც სპეკულაციას ეწევა ჰინდენბურგის „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებით“ და ს. კ. პ. (ბ) ოპოზიციის ბელადების მიერ მიწოდებულ პოლიტიკურ „საქონელით“.

უცხადებენ რა სოლიდარობას ჩვენს ოპოზიციას, ულტრა-მემარცხენე კომედიანტები იმიჯნებიან ჩვენგან. სამწუხაროდ ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ ჩვენი ოპოზიციაც იმიჯნებოდეს ულტრა-მემარცხენეებისაგან.

ეთანხმებიან თუ არა, მაგალითად ჩვენი ოპოზიციონერები ულტრა-მემარცხენეთა ფურცლის იმ მტკიცებას, რომ ოპოზიციის ახლანდელი შეხედულებები ეთანხმებიან იმ იდეოლოგიას, რომელსაც ქადაგებენ მასლოვი, რუტ ფიშერი და სხვები „მთელ რიგ წლების“ განმავლობაში? ამ საკითხში, ისე როგორც მთელ რიგ საკითხებში, გარკვეულობა ფრიად სასარგებლო იქნებოდა.

ულტრა-მემარცხენენი, როგორც ვხედავთ, მოუწოდებენ ოპოზიციას, რათა მან არ შესწყვიტოს ბრძოლა პარტიასთან, 8 აგვისტოს განცხადებას კი ისინი ხსნიან, როგორც ტაქტიკურ „გამარჯვებას“ (ე. ი. როგორც მანევრას), რომლითაც ოპოზიციამ უნდა ისარგებლოს „თავის პოზიციების გასაძლიერებლად“. „შეიარაღებულ ზავს“ ულტრა-მემარცხენენი ხსნიან, როგორც შესვენებას ფრაქციულ (სიტყვა „შეიარაღებულ“-ს აქ სხვა მნიშვნელობა არა აქვს) ბრძოლის განახლების წინ.

რამდენად სასარგებლოა ყოველთვის „მემარცხენეთა“ პოზიციის სოციალურ ღირსების შესამოწმებლად ამ პოზიციის შედარება მენშევიკების პოზიციასთან: ისინი აქეზებენ ჩვენს ოპოზიციას ახალ ბრძოლისათვის პარტიის წინააღმდეგ. აქეზებენ მას და არწმუნებენ, რომ მან თითქოს „გაიმარჯვა“ ცეკას პლენუმის უმრავლესობაზე.

„ყველა კავშირები აღმოჩნდა „ოპოზიციის ხელში, სტალინ-ბუხარინის ჯგუფის ყოვლის შემძლებლობას (ეს ტერმინოლოგია, როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჰგავს ოპოზიციის ტერმინოლოგიას. რედ.) სერიოზული ლახვარი ჩაეცა“,—სწერს მოწინავე წერილის ავტორი „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“-ის № 16—17-ში ა.-წ. 20 აგვისტოს..

„შინა-პარტიულ თვალსაზრისით უეჭველად „გაიმარჯვა“ ოპოზიციამ“.

ერთი სიტყვით „გამხნევება“ სწარმოებს მთელი ძალღონით. აქვე აშკარავდება ამ გამხნევების ჭეშმარიტი მიზანი, რომელიც ერთი და იგივე რჩება: „მათ საქმიანობაში (ოპოზიციონერების. — რედ.) ხალხის მასები (მასები, რომლებიც სხედან საზღვარგარეთ თეთრგვარდიულ გაზეთების რედაქციებში.--რედ.) გრძნობენ პარტიულ დიქტატურის შერყევას, რომელიც მათ ასე ესაჭიროება“.

ნაცნობი „ჰანგებია“? მთელი პარტიისთვის ნათელია იმ გარემოების ჭეშმარიტი აზრი, რომ ჩვენი მტრები გამუდმებით აქეზებენ ოპოზიციას პარტიასთან საბრძოლველად. დღემდე ამის გაგება არ სურდათ მხოლოდ მცირერიცხოვან ოპოზიციონერებს. ამ წაქეზებას აწარმოებენ როგორც ოპოზიციის ულტრა-მემარცხენე მეგობრები, ისე „სოციალისტ-მეწოლეები“.

მაგრამ ჩვენი პარტია მეტის-მეტად მტკიცე, მთლიანი და შემჭიდროვებულია და ჩვენი მტრების იმედები პროლეტარიატის დიქტატურის ჩვენი პარტიის შიგნიდან „შერყევის“ შესახებ არ გამართლდება. ზღაპრები ოპოზიციის „გაძლიერების“ შესახებ და მის ცრუ „გამარჯვების“ შესახებ ცეკაზე მხოლოდ გულის დასამშვიდებლად ესაჭიროება მათ. ვისაც ყელში აქვს გაჩრილი ჩვენი პარტიის და მისი მთლიანობის განმტკიცების ფაქტი.

დეე მტრებმა და არაკეთილის მსურველებმა დაიმშვიდონ თავი ზღაპრებით. მით უარესი მათთვის. ლენინის პარტიამ იცის თავისი ნამდვილი ძალა, იცის, თუ სად, როდის და როგორ გამოიყენოს ეს ძალა, რათა უზრუნველჰყოს პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება და დაიცვას იგი ყოველივე „რყევისაგან“.

„პრავდა“, 31 აგვისტო.

ჩან-ძო-ლინმა იაპონიას დაუთმო ძალაუფლება მანჯურიის სამ პროვინციაში

იაპონიამ ჯარები გაიყვანა შანდუნის პროვინციიდან

კომუნისტების დევნა შანხაიში

კონფლიქტი სპარსეთის მთავრობასა და სასულიერო წოდების შორის

მდგომარეობა ჩინეთში

იაპონიის ჯარების ევაკუაცია

ტოკიო, 30 აგვისტო. გამოქვეყნდა მთავრობის ცნობა იაპონიის რაზმების ევაკუაციის შესახებ შანდუნის პროვინციიდან. ცნობაში აღნიშნულია, რომ თუ მშვიდობიანობა და წესრიგი კვლავ დაირღვა ჩინეთის რომელიმე ნაწილში, სადაც იაპონელები ცხოვრობენ, და უკანასკნელთა უშიშროება საფრთხეში ჩავარდა, მთავრობა იძულებული იქნება მიიღოს შესაფერი თავდაცვითი ზომები (ადს).

„პიპლს ტრიბიუნი“-ს უკანასკნელი ნომერი

შანხაი, 30 აგვისტო. გამოვიდა უხანის მთავრობის გაზეთ „პიპლს ტრიბიუნი“-ს უკანასკნელი ნომერი, რომელშიც აღნიშნულია, რომ გაზეთის გამოცემა შანხაიში განახლდება. (ადს).

სტუდენტების დაპატიმრება

პეკინი, 30 აგვისტო. გომინის საგენტო იუწყება, რომ ნაციონალურ სასოფლო-სამეურნეო კოლეჯში 8 სტუდენტის დატუსაღების შემდეგ პოლიციამ კიდევ დააპატიმრა კოლეჯის 7 სტუდენტი და 4 მოსამსახურე. (ადს).

სასტიკი ბრძოლა ჩრდილოელებსა და ნანკინელებს შორის

შანხაი, 31 აგვისტო. ნანკინის ჯარებმა ბაი ცზუნ-ჩის და ლი ჩუნ-ჟენის სარდლობით მოიგერიეს ჩრდილოელთა ახალი ცდა, რომელიც მიმართული იყო ლუნტანის ხელში ჩასაგდებად შანხაი - ნანკინის რკინისგზაზე, ჩინცზიანის ქვემოდ. ჩრდილოელთა ჯარებმა ახალი იერიში მიიტანეს ნანკინის ჯარის წინააღმდეგ ლუნტანის სექტორში, მაგრამ უკუგდებულ იქნენ სასტიკი ბრძოლის შემდეგ. ჩრდილოელთა განმეორებულ ცდებს იერიშის გასაახლებლად იგივე შედეგები მოჰყვა. შანხაის ინგლისური პრესა ამტკიცებს, რომ დამარცხებისა და დიდი დანაკლისის გამო, ჩრდილოელ ჯარების სარდლობა განაგრძობს დამხმარე ძალების გადასხმას იანცზის სამხრეთ ნაპირზე რამოდენიმე პუნქტში ნანკინსა და ჩინცზიანის შორის. ამასთან ერთად უცხოელთა პრესა ადასტურებს, რომ ანცინში (ანხუეს პროვინციის დედაქალაქი) ჩამოვიდა უხანის ბევრი ჯარები (ადს).

ბრძოლაში მოკლულია შანხაის მუშების ჯალათი

შანხაი, 31 აგვისტო. ნანკინის საგენტო გომინის ცნობით, სუნ-ჩუან-ფანის ჯარების კიდევ ერთი ჯგუფი 5 დივიზიის და 3 ბრიგადის შემადგენლობით გადავიდა იანცზიზე ტახოკოთან ლუნტანის პირდაპირ (შუაგზაზე ნანკინსა და ჩინ-ცზიანს შორის). გადასხმული ნაწილები ენერგიულად შეუტიეს დასავლეთისკენ ნანკინსა და აღმოსავლეთისკენ ჩინცზიანს. ნანკინის ჯარები გადავიდენ კონტრშეტევაზე და წარმატებას მიაღწიეს. ბრძოლაში, რომელიც 48 საათის გაგრძელდა, სუნ-ჩუან-ფანის ჯარები დამარცხდენ და უკუიქცენ. მათ დაკარგეს 7.000 ტყვე და ამდენივე თოფი. ბრძოლაში მოკლულ იქნა გენერალი ლი-ბაო-ჩენი, რომელსაც 1926—27 წ. ეჭირა შანხაის თავდაცვის უფროსის პოსტი და სახელი გაითქვა მუშების და სტუდენტების სიკვდილით დასჯით იმ პერიოდში რომელიც უშუალოდ წინ უძღოდა შანხაის დაცემას. ნანკინიდან იუწყებიან, რომ უხანის ჯარებმა ჩენ ჩი-ენის და ხო ჩი-ენის სარდლობით უკვე დაიწყეს შეტევა ანხუეის პროვინციის ჩრდილოეთით ტიანცზინ-პუკოუს რკ. გზის უბანზე. სუნ-ჩუან-ფანის ჯარებმა, რომლებსაც ეს უბანი ეჭირათ, თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიეს მათ და საჩქაროდ უკან იხევენ (ადს).

კომუნისტების დევნა

შანხაი, 30 აგვისტო. შანხაის ჩინურმა ხელისუფლებამ საფრანგეთის კონცესიის საერთაშორისო უბნის ხელისუფლებასთან შეთანხმება დასდო საერთო ბრძოლის შესახებ „კონტრ-რევოლიუციონურ“ ელემენტებთან, ე. ი. კომუნისტებთან და რევოლიუციონურ მუშათა მოღვაწეებთან.

ინგლისური გაზეთების ცნობით, ჩინურმა ხელისუფლებამ უბნის მუნიციპალურ პოლიციას გადასცა სია უბანში მცხოვრებ კომუნისტების გვარებით, რომელთა დაპატიმრებასაც სთხოვს ჩინური ხელისუფლება. (ადს).

გაფიცვების აკრძალვა

შანხაი, 30 აგვისტო. ყვითელმა „პროფკავშირთა კომისიამ“ კვლავ გამოაქვეყნა განკარგულება გაფიცვების აკრძალვის შესახებ. (ადს).

იაპონიის პოლიტიკა ჩინეთში

ჩან-ძო-ლინმა მანჯურია მიჰყიდა იაპონიას

შანხაი, 30 აგვისტო. საზოგადოებრივი აზრის ყურადღება უკანასკნელ ხანებში მიპყრობილია იაპონიის პოლიტიკაზე ჩინეთში და კერძოდ კი მანჯურიაში.

„ნორდ ჩაინა დეილი ნიუს“-ი სწერს, რომ უკანასკნელი ცნობებით იაპონიის პოლიტიკამ მანჯურიის მიმართ მიიღო სავსებით გარკვეული ფორმები. „იოშიზავამ,—სწერს გაზეთი,— აგრძნობინა ჩან-ძო-ლინს, რომ დროა შეწყვეტილ იქნას ხელოვნურად გაღვივებული ანტიიაპონური აგიტაცია, რომელიც იწვევს მუშათა მღელვარებას იაპონიის წარმოებებში სამხრეთ-მანჯურიის რკ. გზის რაიონში და ჰქმნის გამწვავებულ მდგომარეობას კორეის საზღვარზე. იოშიზავამ გააფრთხილა აგრეთვე ჩან-ძო-ლინი რომ მომავალში იაპონია არ დაუშვებს ცდებს რუსეთის გამოყენებისას იაპონიის წინააღმდეგ და პირიქით. ის ესაუბრა აგრეთვე ანგლო-ზიუნის სხვა ბელადებსაც, რომელთაც დეტალურად განუმარტა იაპონიის მოთხოვნილებების შინაარსი. პეკინში სხვადასხვა ხმები დადის იო… ვას გამოსვლის … ირები, რომლებიც იაპონიას თვალსაზრისს გამოხატავენ, აცხადებენ, რომ იაპონიისათვის დადგა დრო ბოლო მოუღოს მისი პრივილეგიების დარღვევას და განამტკიცოს თავისი მდგომარეობა მანჯურიაში, რათა მომავალში შესაძლებელი გახდეს ბრძოლა მისი უფლებების შელახვის წინააღმდეგ.

შანხაის ამერიკული ჟურნალი „ჩაინა უიკლი რევიუ“-ც უძღვნის წერილს იაპონიის პოლიტიკას მანჯურიაში. წერილში აღნიშნულია, რომ იაპონიამ ფაქტიურად ანექსია უყო მანჯურიას და აქ სავსებით გაატარა პრაქტიკაში 21 მოთხოვნილება. წერილის ავტორი მიუთითებს ჩინური ხელისუფლების ერთ-ერთ გამოჩენილ წარმომადგენლის სიტყვებზე, რომელმაც შემდეგი განაცხადა: „იაპონიამ მოახერხა მანჯურიის თავის კოლონიად გადაქცევა“-ო.

შემდეგ წერილის ავტორი განაგრძობს, რომ ჩან-ძო-ლინი უკვე დათანხმდა მიეცა იაპონიისათვის მიწის საკუთრების შეძენის უფლება სამხრეთ-მანჯურიის რკ. გზის ქსელის გაფართოების მიზნით და ზოგიერთი ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლოატაციის უფლება. როგორც კომპენსაცია ყოველივე ამისათვის, ჩან-ძო-ლინმა იაპონიისაგან მიიღო დიდი თანხა და სამხედრო მოწყობილობა.

„ამრიგად,—დაასკვნის წერილის ავტორი,— ჩან-ძო-ლინმა თავისი პატრიოტიზმის დაკმაყოფილების მიზნით იაპონიას მიჰყიდა ხელისუფლება სამ პროვინციაში, რომლებიც მალე შევლენ იაპონიის იმპერიის ტერიტორიალურ შემადგენლობაში“. (ადს).

ინგლისის მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთა

ლონდონი, 30 აგვისტო. ინგლისის მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის მდივანმა ბონდმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მოძრაობა სრულებით დამაკმაყოფილებლად ვითარდება.

„ამჟამად,—სთქვა ბონდმა,—ჩვენ მოგვეპოება უკვე მუშათა პარტიის სხვადასხვა ორგანიზაციებში მემარცხ. ფრთის 85 ჯგუფი. მემარცხენე ფრთის მთავარი ჯგუფი იმყოფება ლონდონში, სადაც სულ 32 ჯგუფი არსებობს. ძლიერი ჯგუფებია მოწყობილი მანჩესტერში და ბირმინგამში.

მემარცხენე ფრთის მოძრაობაში მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე კომუნისტებიც“.

დასასრულ ბონდმა განაცხადა, რომ სექტემბერში ლონდონში შესდგება მემარცხენე ფრთის სრულიად ინგლისის კონფერენცია. (ადს).

რატომ გადადგა რობერტ სესილი

რობერტ სესილის წერილი ბოლდუინს

ლონდონი, 30 აგვისტო. რობერტ სესილმა ბოლდუინს მიმართა წერილით, რომელშიაც სთხოვს განთავისუფლოს მთავრობის წევრის მოვალეობისაგან. წერილში სესილი აღნიშნავს, რომ მისი გადადგომა გამოწვეულია არა პირადულ მოსაზრებებით.

„მე ვფიქრობ,—სწერს სესილი,—რომ შეიარაღების შემცირება დღევანდელ დღის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხია. მთავრობის მთავარი ღონისძიებანი იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ მიღებულ იქნეს საერთაშორისო შეთანხმება ამ საკითხში. ბევრი რამ რაც ერთა ლიგის განიარაღების კომისიის გაზაფხულის სესიის შემდეგ მოხდა, მეტად საშიშ ხასიათს ატარებდა. ინსტრუქციები, რომლებითაც მე უნდა მეხელმძღვანელებია მაიძულებდენ მე დამეცვა ისეთი წინადადებები, რომელთა შეთანხმება საქმის წარმატებით დაგვირგვინების სურვილთან მეტად ძნელი იყო.

განიარაღების კონფერენციის ჩაშლა კატასტროფას უდრის. კონფერენციის მიზეზების განხილვა შეიძლება მაშინ, როცა პარლამენტი შეიკრიბება. პირადათ მე არ თანაუგრძნობ იმ ინსტრუქციებს, რომლებიც გაეგზავნა ინგლისის დელეგატებს კონფერენციაზე, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავი, რომ შეთანხმების მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა იმ პირობებში, რომლებიც არავითარ მსხვერპლს არ მოითხოვდენ ინგლისის ინტერესების თვალსაზრისით.

მე არ შემიძლია დავრჩე კაბინეტში და კიდევ ვიმუშაო მშვიდობიანობის საქმისთვის. (ადს).

ბოლდუინის საპასუხო წერილი

ლონდონი, 30 აგვისტო. რეიტერის ცნობით, ბოლდუინი საპასუხო წერილში აღნიშნავს, რომ, მისი აზრით, სესილმა გააზვიადა აზრთა სხვადასხვაობა მისსა და კაბინეტის დანარჩენ წევრებს შორის. ბოლდუინი უარს ამბობს იკისროს პასუხისმგებლობა საზღვაო განიარაღების კონფერენციის ჩაშლის გამო.

შემდეგ ბოლდუინი აცხადებს, რომ ის არ იზიარებს სესილის საერთო პესიმიზმს და ფიქრობს, რომ წარმოშობილი სიძნელენი „არ არის საბაბი იარაღის დასაყრელად“. (ადს).

„ტაქტიკური მანევრი“

ბერლინი, 30 აგვისტო. „ფოსიშე ცეიტუნგი“ კომენტარიებს უკეთებს ბოლდუინის სიტყვას ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ და სწერს, რომ ინგლისის მთავრობის პოლიტიკა უაზროა.

„დეტერდინგის ჯვაროსნული ომი საბჭოთა ნავთის წინააღმდეგ,—სწერს გაზეთი,—ინგლისის ბანკის მოთხოვნილება რომ ფინანსიური დახმარება არ გაეწიათ საბჭოთა პურის ექსპორტისათვის და, დაბოლოს, საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციების მუშაკთა გაძევება ინგლისიდან, რაც ხდება ჩემბერლენის დასტურით,—მთელი ეს კამპანია ტარდება ორაზროვანი ოფიციალური პოლიტიკის წარმოების პირობებში. ეს პოლიტიკა კი შეიძლება შეფასებული იქნეს მხოლოდ როგორც ტაქტიკური მანევრი“. (ადს).

რუსი თეთრგვარდიელები

ერეკებიან დანციგიდანაც

ვარშავა, 30 აგვისტო. დანციგის სენატის კომფრაქციამ შეიტანა შეკითხვა რუს ემიგრანტების გადასახლების შესახებ პოლონეთიდან დანციგის ტერიტორიაზე.

დანციგის სენატმა ფრაქციის შეკითხვის საპასუხოთ განაცხადა, რომ მან ამ საკითხის გამო უკვე განუცხადა პროტესტი პოლონეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს დანციგში. სენატმა აღუთქვა კომფრაქციას, რომ დაწვრილებით პასუხი შეკითხვაზე გაცემული იქნება მაშინვე, როგორც კი პოლონეთისაგან მიღებული იქნება პასუხი სენატის პროტესტზე.

ემიგრანტები ბულგარეთში

ვენა, 30 აგვისტო. ბულგარეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ცნობით, რუს თეთრგვარდიელთა რიცხვი ბულგარეთში 1 აგვისტოსათვის შეადგენს 24.457 კაცს. აქედან 5.000 კაცი უმუშევარია.

ბულგარეთის მთავრობა რუსი თეთრგვარდიელების დასახმარებლად ყოველწლიურად ხარჯავს 12.680.000 ლევს (ადს).

ბარტოშეკის გაძევება რუმინეთიდან

ვენა, 30 აგვისტო. ბორისი სტეფანოვის დამცველი, პრაღელი ვექილი ბარტოშეკი (რომელიც ჩეხო-სლოვაკიის სექციის აღმასკომის წევრი), რომელიც რუმინეთში ჩამოვიდა სამხედრო სასამართლოს ნებართვით, გაჩერებულ იქნა საზღვარზე. რუმინეთის ოხრანკა ურჩევდა ბარტოშეკს არ განეგრძო გზა, ვინაიდან ბუქარესტში თითქოს ადგილი ჰქონდა ნაციონალისტურ გამოსვლებს სტეფანოვის წინააღმდეგ და მის გარდა სასამართლო თითქოს არ დაუშვებდა უცხოელ დამცველს. მაგრამ ბარტოშეკმა არ დაუჯერა ოხრანკას და ჩავიდა ბუქარესტში.

საქმის გარჩევის დღეს სამხედრო სასამართლოს შენობა გარსშემორტყმული იქნა პოლიციის გაძლიერებული კორდონებით, სასამართლოს სხდომის გახსნის დროს ბრალდებული სხდომაზე არ აღმოჩნდა და საქმის გარჩევაც გადაიდო გამოურკვეველ ვადამდე. საქმის გარჩევის გადადების მიზეზათ ასახელებენ სასამართლოს შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებს, რაც გამოწვეული იქნა ერთ-ერთი მოსამართლის ავათმყოფობით.

27 აგვისტოს ოხრანკამ რუმინეთიდან გააძევა ბარტოშეკი, იმ საბაბით, რომ თითქოს ბარტოშეკი ერევა რუმინეთის შინაურ საქმეებში. საზღვრამდე ბარტოშეკი მიაცილეს პოლიციის აგენტებმა. (ადს).

ვახაბიტების შეთქმულება

ალექსანდრია, 30 აგვისტო. ნეჯდაში აღმოაჩინეს ვახაბიტების რამოდენიმე ბელადის შეთქმულება. ისინი აპირობდენ სულთან იბნ-საუდის და მისი შვილის მოკვლას.

შეთქმულებს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. განაჩენი სისრულეშია მოყვანილი (ადს).

ერთა ლიგის სესიის წინ

გერმანიის დელეგაცია ლიგის სექტემბრის სესიაზე

ბერლინი, 30 აგვისტო. გერმანიის დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც დაესწრება ერთა ლიგის 5 სექტემბრისათვის დანიშნულ სესიას შევლენ: გარეშე საქმეთა მინისტრი შტრეზემანი, სტატს-სეკრეტარი შუბერტი, გარეშე საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი გაუსი და რეიხსტაგის მთავარი პარტიების წარმომადგენლები გრაფი ბერნსდორფი (დემოკრატი), ბრეიტშეიდი (სოციალ-დემოკრატი) და გეერი (ნაციონალისტი). (ადს).

„ჯაშუშური ორგანიზაციის“ აღმოჩენა

ვენა, 30 აგვისტო. რუმინეთის სამხედრო ხელისუფლება იუწყება, თითქოს კიშინევში აღმოჩენილია ორგანიზაცია. რომელიც ჯაშუშობას ეწეოდა. ამის გამო დაპატიმრებულია სამი თადარიგის ოფიცერი, კიშინოვის სადგურის საკომენდანტოს ორი ოფიცერი და კიდევ 40 კაცი.

ცნობაში ნათქვამია, თითქოს კიშინოვში აღმოჩენილ ჯაშუშურ ორგანიზაციას კავშირი ჰქონდა ამას წინად ბენდერში და ბუქარესტში აღმოჩენილ ჯაშუშურ ორგანიზაციებთან; ბენდერში და ბუქარესტში დაპატიმრებულია 50 კაცი.

გაფიცვა ავსტრალიაში

„მუშათა“ მთავრობა სდევნის გაფიცულებს

ლონდონი, 30 აგვისტო. რეიტერის სააგენტო იუწყება სიდნეიდან (ავსტრალია), რომ კვინსლენდის მთავრობა, სადაც ძალაუფლება მუშათა პარტიის ხელშია, სასტიკ ზომებს ღებულობს იმ რკინისგზელების წინააღმდეგ, რომლებმაც შაქრის ლერწამის პლანტაციების გაფიცულ მუშების მიმართ სოლიდარობის ნიშნათ, უარი სთქვეს პლანტაციების საქონლის გადატან - გადმოტანაზე, ვინაიდან პლანტაციებში შტრეიკბრეხერები მუშაობენ.

კვინსლენდის პრემიერმა მაკ - კორმიკმა განაცხადა, რომ მთავრობა სამსახურიდან დაითხოვს ავსტრალიის რკინისგზელთა კავშირის ყველა წევრებს და მიიღებს უკან მხოლოთ იმათ, ვინც შეასრულებს მთავრობის მიერ რკინისგზელთათვის დანიშნულ რწმუნებულების ყველა განკარგულებებს (ადს).

ახალი „საბუთი“

ვენა, 30 აგვისტო. გაზეთმა „დერ ტურმ“-მა, რომელიც ახლოს დგას ვენის საპოლიციო წრეებთან, გამოაქვეყნა გუშინ ახალი „საბუთი“, რომელიც უნდა წარმოადგენდეს „ვენის მე-19-ე ოლქის კომუნისტური ორგანიზაციის აგიტპროპის სხდომის ოქმს; ოქმი ეხება ივლისის ამბებს“.

ოქმში მოყვანილი გვარები აღნიშნულია მხოლოდ სახელის და გვარის პირველი ასოებით და ფანტასტიური ციფრებით.

გაზეთმა საბუთი გამოაქვეყნა შემდეგი სათაურით: „15 ივლისის ამბების მეორე მხარე. კომუნისტები ამზადებენ იერიშის მოტანას მთავრობის შენობებზე და პოლიციის სამართველოზე“.

კომუნისტური „როტე ფანე“ ამხილებს ამ „ოქმის“ წარმოშობის ისტორიას. როდესაც აღნიშნული „საბუთი“ გამოქვეყნებული იქნა „დერ ტურმ“-ში, რომელიც ეკუთვნის ყოფილ სოციალ-დემოკრატ ვეის, „როტე ფანეს“ რედაქციაში შევიდა ერთი სოციალ-დემოკრატი ჟურნალისტი, რომელმაც განაცხადა, რომ „ოქმი“ მან შეადგინა იმ მიზნით, რომ ემხილებია ამ გზით ვეისი, რომელმაც მაშინათვე შეიძინა ეს „საბუთი“; თავისი ასეთი განზრახვა აღნიშნულმა ჟურნალისტმა წინასწარ აცნობა სოციალ-დემოკრატიული გაზეთების „არბეიტერ ცეიტუნგ“-ის და „აბენდ“-ის რედაქციებს. „ოქმში“ მოყვანილი გვარების პირველი ასოები, წარმოადგენენ ავსტრო-უნგრეთის ყოფილი პოლიტიკური მოღვაწეების გვარის პირველ ასოებს, ციფრები კი ნომრებს, რომლის ქვეშ იყო მოყვანილი მათი ბიოგრაფიები ავსტრო-უნგრეთის პარლამენტის ერთ-ერთ ძველ გამოცემაში. (ადს).

გაფიცვების ტალღა

მბეჭდავთა გაფიცვა

ვენა, 30 აგვისტო. ბუქარესტში გაიფიცა ათასამდე მბეჭდავი მუშა, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის გადიდებას. ამ გამოსვლას წინ უსწრებდა დედაქალაქის მბეჭდავთა დემონსტრატიული ერთდღიური საყოველთაო გაფიცვა. მწარმოებლებმა მთლიანად დააკმაყოფილეს გაფიცულთა ნაწილის მოთხოვნილებები. დანარჩენი სტამბების მუშები განაგრძობენ გაფიცვას. (ადს).

მელითონეთა გაფიცვა

ვენა, 30 აგვისტო. ჰუნგრეთის მელითონეთა გაფიცვა მწარმოებლების მიერ ნაწილობრივად ჩაშლილი იქნა პროფკავშირების ბიუროკრატიის დახმარებით. მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც გამართა ცალკე წარმოებებში, ზოგიერთმა მსხვილმა წარმოებებმა, მათ შორის შლიკნიკოლსონის მანქანების ქარხანამ, დაიწყეს მუშაობა, იმ პირობით, რომ ამ წარმოებებში მომუშავეთა 60—80 პროცენტს გაუდიდებენ ხელფასს 4—5 პროცენტით. სხვა მსხვილ წარმოებებში მოლაპარაკება გრძელდება. მუშაობის დაწყებას მოელიან უახლოეს მომავალში. (ადს).

მუშების გამარჯვება

პარიზი, 30 აგვისტო. უკანასკნელ ხანებში ესპანეთში იზრდება მუშათა მოძრაობა, რომელიც ბევრ ადგილას სტიქიურ ხასიათს იღებს.

ბარსელონაში ამას წინედ მოხდა გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 50.000 ფეიქარმა-მუშამ. გაფიცვა გამოწვეული იყო იმით, რომ საფეიქრო მრეწველობაში შემოღებულ იქნა 56 საათის სამუშაო კვირა. გაფიცვა დამთავრდა მუშების გამარჯვებით, აღდგენილი იქნა 48 საათის სამუშაო კვირა.

ავსტრიის მუშათა დელეგაცია

ვენა, 30 აგვისტო. ავსტრიის მთლიანობის კომიტეტმა, რომელიც უმთავრესად შესდგება სოციალ-დემოკრატებისაგან, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წევრებისაგან და პარტიის თანამდებობის პირთაგან, მიმართა მუშებს მეორე მოწოდებით, სადაც წინადადებას აძლევს აირჩიონ მუშათა მეორე დელეგაცია საბჭოთა კავშირში გასაგზავნათ. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ზეიმზე ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის აღსანიშნავად გაიგზავნება ავსტრიის მუშების უფრო მრავალრიცხოვანი დელეგაცია. (ადს).

სპარსეთში

ხოლერის ეპიდემიასთან ბრძოლა

თეირანი, 30 აგვისტო. სპარსეთის მთავრობამ სამხრეთ პროვინციებში ხოლერის ეპიდემიასთან საბრძოლველად გამოაცხადა ექიმების ნებაყოფლობითი გაწვევა. მთავრობამ სასწრაფოთ გამოიწერა ბერლინიდან ხოლერის საწინააღმდეგო შრატის 400.000 დოზა.

მადლობა საბჭოთა წითელ ჯვარს და წითელ ნახევარ მთვარეს

თეირანი, 30 აგვისტო. საბჭოთა წითელი ჯვარის და აზერბეიჯანის წითელი ნახევარმთვარის წინადადების საპასუხოთ ხოლერის ეპიდემიასთან საბრძოლველათ სანიტარული რაზმის გაგზავნის შესახებ, წითელი ლომის და მზის საზოგადოება იუწყება, რომ ეს წინადადება გადაეცა სპარსეთის მთავრობას და ტახტის მემკვიდრეს, რომელიც საზოგადოების საპატიო თავმჯდომარეთ ითვლება. წითელი ლომის და მზის საზოგადოება მადლობას უძღვნის საბჭოთა წითელი ჯვარის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათ ამ წინადადებისათვის და აღნიშნავს, რომ ის იძულებულია უარყოს აღნიშნული წინადადება, ვინაიდან სპარსეთის მთავრობის მიერ მიღებული ენერგიული ზომებით, ეპიდემია ცხრება. მაგრამ წითელი ლომის და მზის საზოგადოება ამასთანავე იტოვებს უფლებას, იმ შემთხვევაში თუ ეპიდემია კვლავ გაძლიერდა, მიმართოს დახმარებისათვის საბჭოთა წითელი ჯვარის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათ (ადს).

სპარსეთის მთავრობა სამღვდელოების წინააღმდეგ

თეირანი, 30 აგვისტო. ისფაგანის (სამხრეთ სპარსეთში) სამღვდელოებამ დეპეშით სთხოვა შაჰს განთავისუფლოს მოლა, რომელიც დაპატიმრებულ იქნა მთავრობის წინააღმდეგ ქადაგობისათვის და დააბრუნოს იგი ისფაგანში. თეირანის სამღვდელოებაც შუამდგომლობს დაპატიმრებული მოლას განთავისუფლების შესახებ.

მაგრამ შაჰმა უარი განაცხადა მოლას განთავისუფლებაზე და წინადადება მისცა ისფაგანის მეჩეთში ჩაკეტილებს დაიშალონ და გააღონ ბაზარი. იუწყებიან, რომ ისფაგანის სამღვდელოებამ წამოაყენა მოთხოვნილება, რომ მეჯლისში არჩეულ იქნას ხუთი მუშტეხიდი, როგორც სამღვდელოების წარმომადგენელნი, კანონმდებლობაზე სარწმუნოებრივი კონტროლის გაწევის მიზნით.

სპარსეთის მთავრობამ ამ მოთხოვნილების შესრულებაზე გადაჭრით უარი განაცხადა.

გაზეთები მკაცრ მოწინავე წერილებს და კარიკატურებს ათავსებენ სამღვდელოების წინააღმდეგ (ადს).

გადაფრენები დედამიწის გარშემო

ამერიკელი მფრინავები

ბერლინი, 30 აგვისტო. მიუნხენიდან მიღებული ცნობით, ამერიკელი მფრინავები, რომლებიც ახდენენ გადაფრენას დედამიწის ირგვლივ, 30 აგვისტოს მიუნხენის აეროდრომიდან გადაფრინდენ სტამბოლის მიმართულებით. (ადს).

ავიატორ რედფერნის ბედი

ნიუ-იორკი, 30 აგვისტო. დღემდე გამოურკვეველია ბედი ავიატორ რედფერნის, რომელიც ბრუნსვიგიდან გაფრინდა და იძულებული გახდა ჩამოშვებულიყო გაზოლინის გამოლევის გამო, დღემდე არავითარი ცნობა არ არის მიღებული იმის შესახებ, თუ სად იმყოფება ავიატორი. (ადს).

მფრინავ ბროკის გადაფრენა

ბერლინი, 30 აგვისტო. მფრინავი ბროკი, რომელიც ახდენს გადაფრენას დედამიწის ირგვლივ, დაეშვა მიუნხენის აეროდრომზე.

მფრინავ ლევინის გაქცევა

პარიზი, 30 აგვისტო. აეროპლან „მის კოლუმბია“-ს პატრონი ლევინი 29 აგვისტოს მივიდა ჰაეროდრომზე, რომელიც იმყოფება პარიზის მახლობლად და გასცა ბრძანება, რომ „მის კოლუმბია“ მომზადებულიყო გასაფრენათ. ლევინი გაფრინდა, ნაშუადღევის 3 საათზე პარიზში მიღებულ იქნა ცნობა, რომ აეროპლანი შენიშნეს ქალაქ აბევილთან და ჩრდილოეთისაკენ მიფრინავდა.

გაზეთი „პარი სუარ“ იუწყება, რომ აეროპლან „მის კოლუმბია“-ს გამოედევნა მეორე აეროპლანი, მფრინავ დარუენის და მატიხის ხელმძღვანელობით.

„მის კოლუმბია“-ს პატრონმა ლევინმა, რომელმაც ჩემბერლინთან ერთად ლინდბერგის შემდეგ გადაფრინდა ნიუ-იორკიდან ბერლინში, ხელშეკრულება დასდო მფრინავ დარუენთან და ბორტ-მექანიკოს მატიხთან, რომ აეროპლანის მართვის ხელმძღვანელობით მოახდენდა გადაფრენას პარიზიდან ნიუ-იორკში. მაგრამ ლევინმა მოისურვა დამოუკიდებლად ემართა აეროპლანი ნიუ-იორკში გადაფრენის დროს და განაცხადა, რომ ხელშეკრულობა დარღვეულია; ამასთანავე მან უარი სთქვა ჯარიმის გადახდაზე მფრინავის და ბორტ-მექანიკოსის სასარგებლოდ. (ადს).

ლონდონი, 30 აგვისტო. ლევინი ჩაფრინდა კროიდონში, ლონდონის მახლობლად. (ადს).

ინგლისის ჯაშუშთა ორგანიზაციის აღმოჩენა

ლენინგრადი, 31 აგვისტო. ამას წინად ლენინგრადის სახელმწიფო პოლიტსამმართველომ აღმოაჩინა ინგლისის ჯაშუშთა ორგანიზაცია, რომელიც მოწყობილი იყო „მისი უდიდებულესობის ფლოტის“ კაპიტანის ბოიმის მიერ.

ბოიმმა ჯაშუშური ჯგუფის ხელმძღვანელად ტერიოსკში დანიშნა ტაგანცევის შეთქმულების მონაწილე მეფის ყოფილი ოფიცერი სოკოლოვი. ბოიმმა ჯაშუშური მუშაობისათვის მიიწვია აგრეთვე ძველი საერთაშორისო ჯაშუში გოიერი.

სოკოლოვი მუშაობას შეუდგა 1920 წელში და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოაწყო მთელი რიგი კონსპირატიული ბინები.

ოდესაში დაპატიმრებული გოიერი გამოტყდა, რომ ლენინგრადში იგი თავისი მუშაობით დაკავშირებული იყო ინგლისის კონსულ პრისტონთან.

დაპატიმრებული არიან აგრეთვე მათი ხელისშემწყობნი, რომელთა შორის არიან სატყეო ინსტიტუტის დოცენტი ნიკიტინი, რომელიც ინგლის-ფინეთის კონტრ-რაზვედკას აწვდიდა ცნობებს საბჭოთა კავშირის გზებისა და ქიმიური მრეწველობის შესახებ.

სულ პასუხისგებაშია მიცემული 24 ჯაშუში და მათი ხელისშემწყობი. საქმეს 2 სექტემბერს გაარჩევს ლენინგრადში საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელი სესია. (ადს).

ეგვიპტის ბამბა საბჭოთა კავშირში

ალექსანდრია, 30 აგვისტო. ბამბის მწარმოებელთა კავშირმა ეგვიპტის მთავრობას მიმართა თხოვნით, რათა დახმარება აღმოუჩინოს ეგვიპტის ბამბის ექსპორტს საბჭოთა კავშირში.

მექრთამეობისათვის

რიგა, 30 აგვისტო. „სოციალ-დემოკრატი“ იუწყება, რომ რიგას ციხის უფროსი ვანგი მიცემულია პასუხისგებაში, მას ბრალად ედება მექრთამეობა (ადს).

ქარიშხალი

ქარიშხალი ოკეანეზე

ბერლინი, 30 აგვისტო. გემები, რომლებიც მიდიან ნიუ - იორკში, იუწყებიან, რომ ოკეანეზე მძვინვარებს საშინელი ქარიშხალი. ქარის სისწრაფე უდრის 80—100 მილს საათში. იტალიის გემზე „მართა“-ზე ქარიშხალის დროს დაზარალდა 60 მგზავრი (ადს).

ქარიშხალის შედეგები იაპონიაში

ლონდონი, 30 აგვისტო. ტოკიოდან მიღებული ცნობების თანახმად, სიკოკუს კუნძულს ქარიშხალმა მიაყენა ზარალი. ნაგასაკი ძლიერ დაზარალდა. ოფიციალური ცნობებით კოჩიში დაიღუპა 27 კაცი, ნაგასაკში — 11 კაცი. უკვალოთ დაიკარგა 8 კაცი.

საქართველოს … ბიბლიოთეკა

ღამის ცნობები

გერმანიის დელეგაცია ერთა ლიგის სესიაზე ჟენევაში გაემგზავრა

ბერლინი, 31 აგვისტო. ვოლფის სააგენტო იუწყება: გუშინ 20 საათსა და 25 წუთზე ჟენევაში გაემგზავრა გერმანიის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: გარეშე საქმეთა მინისტრი შტრეზემანი, სტატს - სეკრეტარი ფონ შუბერტი და სხვ. (ადს).

სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების უარყოფა

ბერლინი, 31 აგვისტო. საყოველთაო კონფერენციის შემდეგ ბერლინის საქალაქო რკინისგზების მუშებმა ერთხმად უარჰყვეს სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება 9 საათის ხანმუშაო დღის და 15 პროცენტიან დამატების დატოვების შესახებ უკანასკნელი ნახევარ საათისთვის (ადს).

შესტაკოვმა გაასწრო სკალას

ტოკიო, 31 აგვისტო. სააგენტო შიმბუნ რენგო იუწყება: „დღეს დილით საბჭოთა მფრინავი შესტაკოვი გაფრინდა პინიანიდან (კორეა). ჩეხოსლოვაკელი მფრინავი სკალა, როგორც სჩანს ჯერ კიდევ არ გაფრენილა" (ადს).

ამხ. შესტაკოვი გადაფრინდა იაპონიაში

ტოკიო, 31 აგვისტო. (დეპეშა გამოგზავნილია 5 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით). სააგენტო შიმბუნ რენგო იუწყება: „საბჭოთა მფრინავი შესტაკოვი ნაშუადღევის 4 საათსა და 20 წუთზე გადაფრინდა ოკაიამაში.

შენიშვნა: ოკაიამა — ქალაქია, რომელიც მდებარეობს რკინისგზაზე სიმონესკი — ოსაკას შორის (ადს).

დუნკის ტეხნიკური გეგმა

პარიზი, 30 აგვისტო. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საპარლამენტო კავშირის კონფერენციამ განიხილა განიარაღების საკითხი. მომხსენებლად გამოვიდა დანიის დელეგატი დუნკი, რომელმაც გამოაქვეყნა შეიარაღების განსაზღვრის და შემცირების ტეხნიკური გეგმა.

სხვადასხვა ქვეყნის დელეგატებმა მოიწონეს დუნკის გეგმა (ადს).

სამი კომუნისტის სიკვდილით დასჯა

ამსტერდამი, 30 აგვისტო. ბატავიიდან მიღებული ცნობით, ინდონეზიის გენერალ-გუბერნატორმა დაამტკიცა განაჩენი ჯამბის (დასავლეთი იავა) სასამართლოსი, რომელმაც სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა სამ კომუნისტს, რომელნიც შარშან მონაწილეობას იღებდნენ შეიარაღებულ აჯანყებაში იავაზე (ადს).

ჰავასი აშინებს ჟურნალისტებს

პარიზი, 30 აგვისტო. ჰავასი აქვეყნებს შემდეგ შენიშვნას ბრუნის გაძევების გამო: „გაზეთების ცნობით მოსკოვის სააგენტო „ტასს"-ის პარიზელი კორესპონდენტი ბრუნი გაძევებულია საფრანგეთის საზღვრებიდან. ეს ჟურნალისტი აგზავნიდა მოსკოვში დეპეშებს, რომლებიც იძლეოდენ სრულიად არასწორ გაშუქებას წარსულ კვირაში პარიზში მომხდარ ამბებისას, მიუხედავად საბჭოთა საელჩოს ჩარევისა, ამ ტენდენციურ ინფორმატორის წინააღმდეგ მიღებული ზომა ძალაშია დატოვებული. უმაღლესი ინსტანციებში გადაწყდა ასე მოექცნენ ყველა იმათ, ვინც გაავრცელებს ყალბ ცნობებს" (ადს).

დაიხურა პრესის წარმომადგენელთა კონფერენცია

ჟენევა, 30 აგვისტო. პრესის ექსპერტთა საერთაშორისო კონფერენცია დაიხურა (ადს).

„ბეჭდვის თავისუფლების" „სერიოზული დარღვევა".

ლონდონი, 31 აგვისტო. „მანჩესტერ-გარდიენ"-ის პარიზელი კორესპონდენტი, უკეთებს რა კომენტარიებს ამხ. ბრუნის გაძევებას, აშკარად აკრიტიკებს საფრანგეთის ხელისუფლების ამ ნაბიჯს. „იმას, რასაც ბრუნი იუწყებოდა თავის დეპეშებში, არ აცხადებს კორესპონდენტი, არ აქვს მნიშვნელობა. სარო (შინაგან საქმეთა მინისტრი) მიერ მიღებული ზომა წარმოადგენს ბეჭდვის თავისუფლების სერიოზულ დარღვევას. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ბრუნის გაძევება თან მოჰყვა მუქარა უცხოელ კორესპონდენტების მიმართ საერთოდ საფრანგეთში" (ადს).

ახალი გემი

ბაქო, 31 აგვისტო. ლენინგრადიდან ბაქოში ჩამოვიდა ახლად შეკეთებული გემი „მოლოდეც"-ი სპეციალურად სატყეო შალანდების საზიდავად. გემი გადაეცა „ვოლგოკასპლეს"-ს. გუშინ აამუშავეს ახლად შეკეთებული ნავთის საზიდი გემი „სოვეტ"-ი და ერთი შალანდა. (ადს).

აგიტპროპაგანდის საძღეისო ამოცანები

ომის საფრთხე და აგიტაციის საკითხები
ამხ. მოლოტოვის მოხსენება

მოსკოვი, 31 აგვისტო. 29 აგვისტოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებაში გაიმართა ცენტრალური და პროვინციალური დიდი გაზეთების რედაქტორებისა და აგრეთვე პარტიისა და აგიტპროპ მუშაკების თათბირი. სამხედრო საფრთხესთან დაკავშირებით ზეპირ და ბეჭდვითი აგიტაციის ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. **მოლოტოვი**.

„პლენუმის გადაწყვეტილებაში, განაცხადა ამხ. მოლოტოვმა, ნათქვამია, რომ ომის მუქარა ყველაზე უფრო აქტიურ საკითხად ხდება და პლენუმის გადაწყვეტილებები ამ საკითხის შესახებ უნდა გახდეს ძირითად დირექტივად იმ მუშაობაში, რომელიც დაკავშირებულია ომის საფრთხესთან. ომის საფრთხე ამ უკანასკნელი თვის განმავლობაში გაძლიერდა. მაგრამ არავის არ შეუძლია იმის თქმა დანამდვილებით, თუ როდის იქნება ომი. ამიტომ გასამხედროების საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ზედმეტ ნერვიულობის გარეშე მოვამზადოთ მასები საბჭოთა კავშირის ეხლანდელი მდგომარეობის სრულ შეგნებისათვის.

ახლანდელი ომის საფრთხის საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოთ იმ იმპერიალისტურ ინტერვენციას, რომელიც საბჭოთა ქვეყანამ განიცადა 1918—20 წ.წ.

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია სამოქალაქო ომის წარსული წლების შესწავლა. ამ საკითხებს უნდა მიექცეს ამჟამად ჯეროვანი ყურადღება. ამ მიზნით პირველ რიგში გაშუქებულ უნდა იქნეს შესაფერი თარიღები, რომლებიც გამოაშკარავებდნენ სამოქალაქო ომის ყველაზე უფრო საინტერესო და საყურადღებო მომენტებს. საჭიროა ამ მომენტების აღდგენა მასების მეხსიერებაში, რომ ამით მოვამზადოთ განწყობილება მოსალოდნელ ინტერვენციისა და ომის ეხლანდელი საფრთხისათვის. ისეთ რესპუბლიკებსა და რაიონებში, როგორიცაა უკრაინა, კავკასია, ბელორუსია, ციმბირი, ლენინგრადი და არხანგელსკი, რომლებიც დიდი ხანი განიცდიდენ ინტერვენციას და მის საფრთხეს, სამოქალაქო ომის მომენტების გაშუქებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. საჭიროა იმ დროის მასალებისა და დოკუმენტების ფართოდ გამოყენება პრესაში. სამოქალაქო ომის ამბების გაშუქებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ ომის უშუალო მონაწილეებმა. მონაწილეთა მოგონებები და მოთხრობები უნდა თავსდებოდეს გაზეთებში, რათა მეტი ინტერესი გაღვიძოთ მასებს სამოქალაქო ომის ხანისადმი. კამპანიის შინაარსი უნდა მდგომარეობდეს ცალკე კლასებისა და პარტიების როლის გაშუქებაში და ცალკე სახელმწიფოების და სხვადასხვა ქვეყნების მუშების პოზიციის გარკვევაში წინანდელ ინტერვენციის მიმართ.

ინტერვენციის გაკვეთილებზე შესაძლებელი და აუცილებელია მასების აღზრდა. კამპანიის დროს უნდა ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება მეტ შედეგებს მივაღწიოთ — უნდა ჩავაბათ მასები სამხედრო ცოდნის პროპაგანდაში, სამხედრო სწავლებაში, სამხედრო მრეწველობისათვის ყოველმხრივ მხარის დაჭერაში და სხ.

დაბოლოს, კამპანიის მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს მასების ინტერნაციონალური აღზრდა.

გასამხედროების კამპანიაში უნდა გავაძლიეროთ მასების ყურადღება საერთაშორისო მდგომარეობისა, ცალკე კაპიტალისტური ქვეყნებისა და ამ ქვეყნებში მცხოვრებ მუშების მდგომარეობის საკითხებისადმი. იმის გაშუქება, თუ როგორ ემზადებიან სხვადასხვა ქვეყნების მუშები ომის საფრთხეს, რეფორმისტული პარტიების მხილება, უცხოეთის ძმური კომპარტიების მუშაობის გაშუქება, — ყოველივე ეს იქითკენ უნდა იქნეს მიმართული, რომ ავამაღლოთ მასებში ინტერნაციონალიზმის გრძნობა".

ამხ. მოლოტოვის სიტყვამ გაცხოველებული აზრთა გაცვლა -გამოცვლა გამოიწვია.

საბოლოო სიტყვაში ამხ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ ომის მუქარა რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. მართალია, ზოგიერთ სამხედრო პროპაგანდაში ადგილი აქვს დიდ ნერვიულობას და ყოველგვარ საზიანო გადაჭარბებას, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, თავიდან უნდა ავიცილოთ. საჭიროა სამხედრო პროპაგანდის შეთანხმება სამეურნეო მშენებლობის პროპაგანდასთან.

პრესამ უნდა გააძლიეროს მუშაობა პურის დამზადებისა და მრეწველობის რაციონალიზაციის გასაშუქებლად, უნდა გააძლიეროს ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს მასებს, ვინაიდან ეს ამოცანები ამჟამად კიდევ უფრო მწვავედ დგანან ომის საფრთხესთან დაკავშირებით.

ოქტომბრის 10 წლის თავის მომზადება
ამხ. კრინიცკის მოხსენება

ამხ. მოლოტოვის სიტყვის დამთავრების შემდეგ მოხსენებით ოქტომბრის ათი წლის თავის ამოცანებისა და მომზადების შესახებ გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპგანყოფილების გამგე ამხ. **კრინიცკი**.

„ჩვენ გამოვდივართ სამი მთავარი ამოცანიდან — სთქვა ამხ. კრინიცკიმ. პირველად საჭიროა ოქტომბრის რევოლუციის, როგორც პროლეტარული რევოლუციის არსებისა და მნიშვნელობის გამორკვევა.

მეორე მხრით უნდა გამოვარკვიოთ კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გარდამავალი პერიოდის არსება.

მესამე მხრით, საჭიროა, რომ უზრუნველყოფილი იქნეს დღესასწაულის აშკარად მასიური ხასიათი და ჩაბმულ იქნეს დღესასწაულის მომზადებაში და თვით დღესასწაულში ქალაქისა და სოფლის - პროლეტარიატისა და გლეხობის და ყველა ეროვნებათა მშრომელი მასები.

უნდა გავშალოთ მასიური მუშაობა

მუშაობა ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობისა და შედეგების ახსნა - განმარტებისათვის ძირითადათ ჯერ კიდევ არ დაწყებულა. მთავარი ლიტერატურა ჯერ კიდევ არ გამოჩენილა.

მასიური მუშაობა ოქტომბრის ათი წლისთავის დაკავშირებით, სრულებით არ დაწყებულა. მისი გაშლა ამჟამად წარმოადგენს ჩვენი მუშაობის ძირითად ამოცანას. პირველ ყოვლისა საჭიროა აქტიური მასიური ზეპირი და ბეჭდვითი აგიტაციის გაშლა უკვე სექტემბრის დასაწყისიდან იმ მიზნით, რომ განემარტოს მუშებს და გლეხებს ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობა და ის ბრძოლის ძირითადი შედეგები, რომლებსაც აწარმოებდა საბჭოთა ხელისუფლება თავის არსებობის ათი წლის განმავლობაში. პირველ რიგში ეს ახსნა - განმარტებითი მუშაობა უნდა დაუკავშირდეს 1917 წ. ძირითადი ფაქტების აზრისა და მნიშვნელობის გაშუქებას ოქტომბრის რევოლუციის მოსამზადებელი პერიოდის დასაწყისიდან.

ოქტომბრის რევოლუციას მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ამ რევოლუციამ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი ჩააყენა მსოფლიო პროლეტარიატის სათავეში კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირი წარმოადგენს სოციალიზმის ქვეყანას, რომელიც იბრძვის კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ყოველივე ეს დაკავშირებული უნდა იყოს საავიტაციო კამპანიასთან, რომელიც ეხლა სწარმოებს ომის საფრთხესთან დაკავშირებით.

სამეურნეო და კულტურულ მიღწევათა გამოფენა

ოქტომბრის რევოლუციამ გზა გაუხსნა ჩვენი ქვეყნის მეურნეობის სოციალისტურ განვითარებას. უკანასკნელი წლები არის მეურნეობის აღდგენის პერიოდიდან ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე აგების პერიოდისაკენ გარდამავალი წლები. ეს მომენტი ჩვენს მასიურ აგიტაციასა და პროპაგანდაში უკავშირდება გამოფენებს, რომლებიც მოეწყობა ათი წლის თავისთვის. ამასთანავე მუშათა და გლეხთა მასები უნდა გაეცნონ ჩვენს კაპიტალურ მშენებლობას, ექსკურსიებისა და პრესის საშუალებით.

ოქტომბრის რევოლუციამ სოფელი დააყენა სამეურნეო აღორძინებისა და სოციალისტური გარდაქმნის გზაზე. ოქტომბრის რევოლუციამ უზრუნველჰყო სოფლის „გენერალური გზა" სოციალიზმისაკენ კოოპერაციის საშუალებით. მასიურმა მუშაობამ სოფლად და ქალაქად ეს მომენტი უნდა აღნიშნოს მოსავლის დღეების მზადებასთან დაკავშირებით.

ეს მომენტი ფართოდ უნდა იქნეს გაშუქებული აგრეთვე ყველა კრებებზე, კოოპერაციის ყრილობებზე, რომლებიც მოწვეულ იქნება სექტემბერში და ოქტომბერში. პრესამ ამ თვალსაზრისით დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს მოსავლის დღეს.

ოქტომბრის რევოლუციამ ჩვენი ქვეყანა დააყენა კულტურული რევოლუციის გზაზე. ამ მომენტს ხაზი უნდა გაესვას სკოლებისა და სხვადასხვაგვარ კულტურულ დაწესებულებათა გახსნის დროს, სასწავლო წლის დაწყებამდეც კი.

კლასთა გადაჯგუფება

ოქტომბრის რევოლუციამ ძირიან - ფესვიანად შესცვალა კლასების ურთიერთობა ჩვენს ქვეყანაში, დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდი, შექმნა პირობები მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებისათვის, შექმნა ნამდვილი დემოკრატიის — საბჭოების დემოკრატიის ფორმები. ამ მომენტს ნათლად უნდა გაესვას ხაზი ყველა მომავალ ფართო პოლიტიკურ კამპანიებში, კერძოდ პროფკავშირთა მომავალ ყრილობებზე.

4 სექტემბერი — ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეა. მასიურმა აგიტაციამ ახალგ. საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ახალგაზრდათა რიგებში ნათლად უნდა გააშუქოს ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობა ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობისათვის.

10 ოქტომბერს დაიწყება მთელი საბჭოთა კავშირის მუშა - ქალთა და გლეხ - ქალთა ყრილობა. ყრილობის წინ, ადგილებზე, დაწყებული წარმოებიდან და სოფლიდან, ჩატარებულ უნდა იქნას დიდი მოსამზადებელი მუშაობა. ამ კამპანიას აუცილებლად უნდა მიეცეს ფართო პოლიტიკური მნიშვნელობა. აუცილებელია ნათლად დაუმტკიცოთ პრესისა და ზეპირი აგიტაციის საშუალებით, რომ მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ გაანთავისუფლა ქალი მონობიდან და დააყენა იგი სოციალისტური აღმშენებლობის აქტიურ მონაწილეთა რიგებში.

ცხადია, რომ ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულისათვის მზადებას აუცილებლად უნდა მიეცეს სწორი, სავსებით — გამძლე იდეოლოგიური საფუძველი, არ უნდა იქნას დაშვებული ოქტომბრის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მომენტების მიჩქმალვა და გადახრა „კულტურნიჩესტვო"-საკენ.

აგიტაციისა და პროპაგანდის გაფართოება მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს პარტიის მასიური მუშაობის ამოცანებს. აუცილებელია ისე ჩატარდეს მზადება დღესასწაულისათვის, რომ მართლა ფართო მონაწილეობა მიიღონ მთელ მუშაობაში მუშათა და გლეხთა მასებმა, რომ ჩვენ ნამდვილად მივაღწიოთ მასიური შემოქმედების გამომჟღავნებას. ამ დარგში უნდა გავატაროთ მთელი რიგი პრაქტიკულ ღონისძიებები: უმთავრესი ამ ღონისძიებათაგანი არის: ოქტომბრის კომისიების ფართო ანგარიშების მოთავსება პრესაში. მუშათა მასების დაინტერესება მათი მუშაობით, ანგარიშის წარდგენა მუშათა კრებების, მომავალ ყრილობების წინაშე და ამით საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია ამ მუშაობის ირგვლივ.

უპარტიო მშრომელი მასა ოქტომბრის დღესასწაულში

ოქტომბრის კომისიების მუშაობაში აუცილებლად უნდა იქნან ჩაბმული მუშათა და გლეხთა უპარტიო აქტივისტების ფართო ფენები და შეძლების დაგვარად, ყოველი აქტიური მუშა და გლეხი ჩაბმულ უნდა იქნას რაიმე მუშაობაში ათი წლის თავისთვის მზადების საქმეში. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კომუნისტების, კომკავშირლების, მუშათა და გლეხთა უდიდესმა რაოდენობამ მიიღოს მონაწილეობა დღესასწაულისათვის მზადებაში.

მოსამზადებელი მუშაობით აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველმა მუშამ და ყოველმა გლეხმა მთელი მოსამზადებელი დღესასწაულის განმარტებითი მუშაობის განმავლობაში შეიგნოს ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის მნიშვნელობა, რომ ეს ათი წლის თავი უდიდესი მასიური მუშაობის ბუნებრივი დამთავრება იყოს.

ადგილობრივ უნდა ჩავატაროთ მთელი მუშაობის შემოწმება იდეოლოგიური, საერთო - პოლიტიკური საფუძვლებისა და საორგანიზაციო თვალსაზრისით. დღემდე მუშაობას ორგანიული ნაკლი აქვს. ეს ჯერ კიდევ არ არის მთელი პარტიის, მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის მუშაობა. ამ მხრივ უნდა შევამოწმოთ მუშაობა და საქმე უნდა დავაყენოთ ისე, რომ პარტია და კომკავშირი ჩაებას ამ მუშაობაში, გახდეს ამ მუშაობის ხელმძღვანელნი, რომ მას პარტიული კომიტეტები ან უჯრედთა ბიუროები ხელმძღვანელობდნენ წარმოებებში, სოფლად და რაიონში, რომ პარტიული ხელმძღვანელობა სავსებით იქნას უზრუნველყოფილი. ეს არის ძირითადი პირობა იმისა, რომ მომავალი მუშაობა უფრო ენერგიულად გაფართოვდება და ადგილი აღარ ექნება ნაკლულოვანებას მთელი მუშაობის შინაარსში".

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა ახალ კადრ[illegible]

ქართულ მეთაურთა სკოლის მეშვიდე გამოშვება

დღეს ქართული მეთაურთა გაერთიანებული სკოლა უშვებს მეთაურების ახალ კადრს. ეს გამოშვება არის უკანასკნელი, ვინაიდან სამოსწავლო წლის დასაწყისიდან ამიერ-კავკასიის ეროვნული სკოლები გაერთიანდებიან ერთ მთლიან სკოლაში, სადაც ყველა ცალკე ეროვნებას ექნება თავისი სექტორი.

წრეულს სკოლა დაამთავრა 107 კურსანტმა, საიდან 90 არის ფეხოსანთა, 17-კი საარტილერიო განყოფილებიდან.

კურსდამთავრებულთა სოციალური მდგომარეობა შემდეგია: მუშა—24, გლეხი—78, დანარჩენი—5, აქ ყურადღებას იპყრობს, შედარებით წარსულ წლებთან, მუშების დიდი პროცენტი.

პარტიული თვალსაზრისით ახალ მეთაურების შემადგენლობა ასეთია: პარტიის წევრები და კანდიდატები—37, კომკავშირის წევრები—53, უპარტიო—17.

განათლების მხრივ: საშუალოთი—8, დაბალით კი 99.

როგორი კვალიფიკაციის არიან ახალი მეთაურები? უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი გამოშვება არის ერთად ერთი, რომელმაც თავისი სამწლიანი მუშაობა ჩაატარა ნორმალურ პირობებში და შეუფერხებლად.

ახლად გამოშვებულ მეთაურების დიდი ნაწილი მოვიდა სკოლაში 1924 წ. ეს იყო იმ დროს, როდესაც საქართველო საბოლოოდ გაიწმინდა ავანტიურისტ მენშევიკების ბანდებიდან. ამავე წელში საბჭოთა კავშირის სამეურნეო პოლიტიკამ მოიპოვა გამარჯვება. ყველა ამას ჰქონდა დადებითი გავლენა კურსანტების ფსიქიკაზე და მათ მატერიალურ უზრუნველყოფაზე.

ამავე ხანაში სამხედრო სკოლების სამ-დან მიღებულ იქნა დამუშავებული სამოსწავლო პროგრამები ყველა საგნებში. ამით შესაძლებელი იქნა უსისტემობის და პარალელიზმის მოსპობა სწავლების სხვადასხვა დარგში. უმაღლესი სარდლობის მიერ მოცემულ იქნა დირექტივა ერთმმართველობის შესახებ. კურსანტებს წარ[illegible] მრავალი მოთხოვნილება, რის გამო ისინი ძალიან იყვნენ დატვირთული და მათი სამუშაო დღე გრძელდებოდა ათ საათს.

კურსანტების მომზადებას ჰქონდა პრაქტიკული ხასიათი. მთავარი ყურადღება ექცეოდა საინსტრუქტორო მუშაობას და მეცადინეობის ჩატარების მეთოდიკას. ამ მხრივ დიდი დახმარება გაუწია კურსანტებს მიგლინებამ საერთო ტერიტორიალურ შეკრებაზე. ამის გარდა, კურსანტები უმცროს მეთაურთა ზედამხედველობით ატარებდნენ სამწყობრო და პოლიტმუშაობას წითელარმიელებთან. მიქცეული ჰქონდა ყურადღება საკლუბო და სკოლის გარეშე მუშაობას. რაც ტარდებოდა ტრამვაის მუშებსა და სოფლის გლეხებს შორის, ყველა ეს გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ დღევანდელი გამოშვება იქნება ნაბიჯი წინ მუშურ-გლეხური ჯარის წითელარმიელთა მომზადების საქმეში. დღევანდელი გამოშვება შეიძლება ჩაითვალოს, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, სავსებით მომზადებულად დამოუკიდებელ მუშაობისათვის.

სკოლა, უეჭველია, ვერ დაიკვეხებს იმით, რომ იგი აძლევს არმიას სავსებით დამუშავებულ მასალას და სამხედრო საქმის ყოვლისმცოდნეებს. სკოლა ამასთანავე ამ ამოცანას ვერ დაისახავდა. მეცნიერების და ტეხნიკის სწრაფი განვითარების დროს, სამხედრო საქმე განიცდის ცვლილებებს. სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებული სამხედრო მუშაკი მალე დაჰკარგავს ორიენტაციის ნიჭს თვით თავის სპეციალურ დარგში, თუ კი ის, არ განაახლებს პროგამოშვებით სკოლაში მიღებულ ცოდნას და არ ადევნებს თვალყურს სამხედრო საქმის და სამხედრო ტეხნიკის განვითარებას და მიღწევებს.

აქედან, აუცილებელია მეთაურთათვის თვით განვითარებითი მუშაობის წარმოება. ეს კარგად უნდა ახსოვდეს ჯარის ნაწილის უფროსთა შემადგენლობას. სკოლა ერთხელ კიდევ მოაგონებს თავის მოწაფეებს, რომ მათი სწავლება არ არის დამთავრებული. საჭიროა შემდეგში ამ სწავლების გაგრძელება, ცოდნის შეძენა უფროს ამხანაგებისაგან. მაშინ ისინი შესძლებენ დაიკავონ შესაფერისი ადგილი წითელი ჯარის რიგებში. ამის გარდა საჭიროა მონაწილეობის მიღება ნაწილის საზოგადოებრივ მუშაობაში, როგორიც არის კლუბი, ლენინის კუთხე, პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციები, საჭიროა მჭიდრო კავშირის დამყარება წითელარმიელთა მასასთან. აქ არ შეიძლება განსაზღვრა მარტო სამოსწავლო საათებით, არამედ საჭიროა ყოველმხრივი მიდგომა ამ მასასთან.

თუ ახალ მეთაურების მიერ ყველა ეს იქნება შესრულებული, მაშინ სკოლას ექნება უფლება სთქვას, რომ მან შეასრულა თავისი ამოცანა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ასე იქნება.

სალამი თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენი მშობლიურ სკოლიდან.

იყავით ყოველთვის მზად მშრომელთა სამშობლოს სადარაჯოზე.

ა. გედევანიშვილი.

ვემზადოთ მომავალ ბრძოლებისათვის, მაგრამ საშიშროებას ნუ გავაზვიადებთ

წერილი მეორე

როდესაც მომავალ ომზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ყველა „სამხედრო საქმის მცოდნე პირი" მოვალედ სთვლის თავის თავს მოიგონოს ქიმია და ავიაცია და იმდენ საშიშროებას ჩამოთვლის, რომ ნახევარის მოსმენითაც კი გული ბუდიდან უვარდებათ დამსწრეებს. უფრო მეტი, ზოგიერთი „სამხედრო მწერლები" კი ამტკიცებენ, რომ „თოფ-ზარბაზნებს მომავალ ომში თავის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა დაეკარგებათ და მის ადგილს დაიჭერს ავიაცია და ქიმია"-ო.

„შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდეს მოწინააღმდეგის ჰაეროპლანები, დააყარონ რომელიმე დიდ ქალაქს ყუმბარები, გამოუშვან მომწამვლავი ჰაერი და ქალაქის ქვა და ნაცარი დარჩება", — ჰქადაგებს „სამხედრო საქმის მცოდნე" და თვალებ გადმოკარკლული და გულგახეთქილი უსმენენ მას დამსწრენი. ნამდვილად კი არც ავიაცია და არც ქიმია არ წარმოადგენენ ისეთ საშიშარ იარაღს, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. საკმარისია შევადაროთ „მექანიკური" და „ქიმიური" ყუმბარების მიერ დაზიანებული არეს მოცულობა, რომ დარწმუნდეთ ამაში. აი მაგალითად:*)



თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ ქიმიურ ყუმბარების მიზანში მორტყმის პროცენტი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე არტილერიის სხვა ყუმბარებისა, დამერწმუნებით, რომ, თუ საშიშროებაზე წავიდა საქმე, არტილერია უფრო საშინლად მძლავრი იარაღია, ვიდრე ქიმია. ამის დამამტკიცებელია, თუ გნებავთ, ის ფაქტიც, რომ 1914—1918 წ.წ. მსოფლიო ომში ქიმიურ იარაღისაგან დაზიანებულთა რიცხვი 2—3 პროცენტამდე დაეცა, არტილერიის ყუმბარებისაგან დაზიანებულთა რიცხვი კი 50 პროცენტზე ნაკლები არ ყოფილა.

რაც შეეხება ავიაციას, საკმარისია გავიხსენოთ პროფ. ვერხოვსკის მიერ მოყვანილი ცნობები.**) იმისათვის, რომ მტრის ავიაციამ შესძლოს ისეთი ქალაქის დანგრევა, როგორიც მოსკოვია, დანგრევა ისე, რომ როგორც იტყვიან, ქვა და ნაცარი და დარჩეს, საჭიროა 80.000 ჰაეროპლანი ე. წ. „ფარმან-გოლიაფის" სისტემისა; ყველაზე ძლიერ ჩვენი მოსაზღვრე სახელმწიფოს პოლონეთს კი „ფარმან-გოლიაფის" სისტემის ჰაეროპლანები სულ 80 ცალი აქვს. დაუმატეთ ამას ისიც, რომ **ჩვენ კავშირსა ჰყავს საკმარისი რიცხვი ჰაეროპლანებისა**, რომელნიც შეებრძოლებიან მტერს, არ გამოუშვებენ მტრის ავიაციას ზურგისაკენ, ან უკიდურეს შემთხვევაში შეაფერხებენ მის მოქმედებას და დააზიანებენ მას; **ჩვენ გვყავს საკმარისად ძლიერი არტილერია**, რომელიც ყუმბარების დაშენით დიდ ზიანს მიაყენებს მტრის ავიაციას, არის კიდევ სხვა მრავალი მოგერიებითი ხერხი და საშუალებანი, რომელსაც ჩვენ გამოვიყენებთ მტრის ავიაციის წინააღმდეგ და დარწმუნდებით, რომ არც ავიაცია არის ისეთი საშიში იარაღი, როგორც ბევრსა ჰგონია.

ჩახმახიანი თოფის თვისება რომ გაიგო ლეგენდარულმა გმირმა ქოროღლიმ, ხმალი გადატეხა, რადგანაც გადაწყვიტა, რომ ვაჟკაცობა გაჰქრა და ომი შეუძლებელიაო, მაგრამ იმის შემდეგ ბევრს ჩვენგანს ვაჟკაცობაც უნახავს და ომის მოწმენიც ხომ თითქმის ყველანი ვართ. ახალი და უცნობი იარაღი საშიშია იმით, რომ დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე, რის გამოც ის ჰკარგავს მოგერიების უნარს. საკმარისია ადამიანი გაეცნოს ამ იარაღს თვისებებს, რომ გამოიგონოს საშუალება და ხერხიც მასთან საბრძოლველად.

ავიაცია - ქიმიაც შესწავლილია ჩვენ მიერ და გამოგონებულია მთელი რიგი მოგერიებითი საშუალებებისა და ხერხისა. დღეს ჩვენ გვინდა მკითხველს გავაცნოთ მხოლოდ ერთი გარემოება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ავიაციის მოგერიებისათვის, სახელდობრ **მეთვალყურეობა**. ჩვენი აზრის გასაშუქებლად მოვიყვანოთ პატარა მაგალითს.

წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ჩვენს ქარხანას იცავს ჩვენი ავიაცია, რომლის დანიშნულებაა შეებრძოლოს მტრის ავიაციას, თუ ის ქარხნის მახლობლად გამოჩნდება. ცხადია ჩვენ ჰაეროპლანებს არ შეუძლიათ დღე და ღამ ჰაერში ყოფნა, ეს ძალიან ბევრს ხარჯს გამოიწვევდა, ჰაეროდრომზე იქნება მორიგე ჰაეროპლანი თბილი მატორებით, რომელსაც შეუძლია 5 წუთში მომზადება გასაფრენად, ჰაეროპლანისათვის საჭიროა კიდევ სიმაღლის აღება ჰაერში, რომ შეებრძოლოს ჰაერში მყოფ მტრის ავიაციას. ვსთქვათ, 8.000 მეტრის სიმაღლის ასაღებათ ჰაეროპლანს სჭირდება 7 წუთი. უეჭველია, ერთი - ორი წუთი გავა, ვიდრე გაარჩევენ ჰაერში მტრის ავიაციას, მაშასადამე, იმისათვის, რომ მორიგე ჰაეროპლანი შეებრძოლოს ჰაერში მყოფ მტრის ავიაციას, საჭიროა სულ უკანასკნელი 5—7—14 წუთი. დაუშვათ, რომ მტრის ავიაცია მოდის სისწრაფით 150 კილომეტრის ერთ საათში; ე. ი. 2 ნახევარ კილომეტრის ერთ წუთში. 14 წუთში იგი გაივლის 35 კილომეტრს, მაშასადამე, თუ მტრის ავიაცია ამაზე ახლო აღმოაჩინეთ ვსთქვათ, 10 ან 15 კილომეტრის დაშორებით ჩვენი ჰაეროპლანი ვერ მოასწრებს ჰაერში აფრენას და, უეჭველია, მტერთან შებრძოლებასაც და მტრის ავიაცია შეასრულებს თავის ამოცანას, ე. ი. ზიანს მიაყენებს ქარხანასაც და ადგილობრივ მოსახლეობასაც. ასეთ დიდ მანძილზე (35 კილომ.) ადამიანი ვერ დაინახავს ჰაეროპლანს და რომ აღჭურვილმა რომელიმე თვალის იარაღით, შეამჩნიოს კიდეც, ვერ გამოარჩევს მტრის ჰაეროპლანს ჩვენისაგან. საჭიროა განსაკუთრებული, მეთვალყურეთა სადარაჯოები ისეთ მანძილზე, რომ დროულად გადასცენ ცნობა მტრის [illegible] ჰაეროდრომს, მეთვალყურეობა ძნელი საქმე არ არის, მაგრამ მაინც თხოულობს ერთგვარ გამოცდილებას.

აი, მიზეზი იმისა, რომ ინგლისში მეთვალყურეობის სამსახურს დიდ ყურადღებას აქცევენ. ლონდონში, მაგალითად, არსებობს რამოდენიმე გუნდი მოხალისე მეთვალყურეებისა, შედგენილი ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან.

რასაკვირველია, ზღაპარია ამბავი მის შესახებ, რომ მტრის ავიაციამ ქალაქები დაანგრიოს, მაგრამ დასაშვებია, რომ ერთი ან ორი ჰაეროპლანი, რომელიც შემთხვევით გამოეპარება ჩვენი ფრონტის ავიაციას, (ხომ ვერ შემოკრავენ ჰაეროპლანების კედლით მთელ საზღვარს) — გამოჩნდეს ჩვენი რომელიმე ქალაქის ან სოფლის თავზე. თუ მზად არ ვიქნებით მათ შესახვედრათ, ამ, შედარებით უმნიშვნელო, ძალას შეუძლია თავზარი დასცეს ადგილობრივ მცხოვრებლებს.

მაშ, საჭიროა მზადება მომავალი ბრძოლისათვის, შექმნა ავიაქიმის მეთვალყურეთა გუნდების. არ უნდა დავივიწყოთ, რომ **მზად მყოფ ადამიანისათვის საშიში არაფერია**.

ლეო. გარსიაშვილი

*) იხ. ჟურნალი „ტეხნიკა მსოფლიო ომში" გვ. 8.

**) პროფ. ვერხოვსკის ჟურნალში „30 ДНЕЙ" 1927 წ., ვგონებ, ივნისის №-ში.

მტრის ავიაციისაგან თავდაცვა

თავდაცვა - ავიაქიმის ერთ-ერთ უჯრედის კრებაზე შეტანილი იყო შეკითხვა, თუ რა ზომები იქნება მიღებული ომის დროს მოსახლეობის დასაცავად მტრის ავიაციისაგან.

თავის თავად ცხადია, რომ საკითხის ასე დაყენება, რომ ვიღამაც უნდა დაიცვას და უზრუნველყოს მოსახლეობა მტრის ავიაციის თავდასხმისაგან, არ არის სწორი.

„რაში უნდა გამოიხატოს მოსახლეობის მონაწილეობა მტრის ავიაციასთან ბრძოლაში, რა ზომები უნდა მიიღოს თვით მოსახლეობამ მთელი ქვეყნის დასაცავად მტრის საჰაერო ძალებისაგან"— აი რასა აქვს მნიშვნელობა დღეს და საკითხიც სწორედ ასე უნდა იყვეს დასმული.

ავიაცია იმით განსხვავდება ბრძოლის სხვა საშუალებებისაგან რომ იგი შეიძლება სწრაფად და მოულოდნელად გაჩნდეს დასახლებული ადგილებში მტრის საჰაერო ძალები შეიძლება შემოიჭრან ჩვენ ზურგში, ისევე, როგორც ჩვენი ჰაეროპლანები შეიძლება თავს დაესხან მტრის ზურგს, მიაყენოს მოსახლეობას მატერიალური ზარალი და იქონიონ მასზე მორალური ზეგავლენა.

როგორც ნათქვამია სამხედრო წესდებაში, ავიაციისაგან თავდაცვის საუკეთესო საშუალებებს წარმოადგენენ შენიღბვა და თავშეფარება. ორივე ეს ზომა კი გამოსადეგია მაშინ რომ წინასწარ შეტყობილია თვითმფრინავების მოახლოვება და მოსახლეობაც გაფრთხილებულია განგაშის სიგნალებით.

მტრის საჰაერო ძალების აღმოსაჩენად და მოსახლეობის გასაფრთხილებლად, იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც შესაძლებელია თავდასხმის მოხდენა, იქნება მთელი რიგი საყარაულო პოსტებისა. — პარიზში, იმპერიალისტური ომის დროს, არსებობდა 80 საყარაულო პოსტი, რომელნიც ისე იყვნენ განაწილებულნი, რომ იცავდნენ მთელ ქალაქს.

საყარაულო პოსტები, განუწყვეტლივ, დღისით და ღამით ზვერავენ ჰაერს და შედეგებს აწვდიან სათანადო დაწესებულებას, რომელიც საშიშროების მოახლოვების შესახებ ატყობინებენ მოსახლეობას განგაშის სიგნალებით.

სიგნალებისათვის გამოსადეგია და მიზანშეწონილი ხმიანი სიგნალი. თბილისში „თავდაცვის კვირეულის" ჩატარების დროს მოსახლეობას თვითმფრინავების მოახლოვება ემცნო რკინის გზის სახელოსნოს და ორთქლმავალთა საყვირებით.

ჰაერის ზვერვის საქმის ორგანიზაცია ძალიან რთულია. აქ არ შეიძლება განისაზღვრა მარტო სამხედრო უწყების მუშაობით. საჭიროა მოსახლეობის ფართო მონაწილეობა და დახმარება კერძოდ, ეს მონაწილეობა უნდა გამოიხატოს საყარაულო პოსტების ძირადი შემადგენლობის (მზვერავთა) მომზადებით, რომელსაც გამოჰყოფს მოსახლეობა სამხედრო უწყების დასახმარებლად.

მზვერავთა მომზადების საქმე ადვილათ შეიძლება მოეგვარდეს იმ ადგილებში, სადაც არსებობენ ავიაქიმიური რაზმები.

მოსახლეობის მონაწილეობის ავიაციისაგან თავდაცვის საქმეში აქვს მრავალი დადებითი მხარეები. უპირველეს ყოვლისა, ამით მიღწეულ იქნება ეკონომია წითელი ჯარის პირად შემადგენლობაში, რასაც აქვს დიდი მნიშვნელობა. შემდეგ, თვით ჰაერის ზვერვა იდგება სათანადო სიმაღლეზე, რადგან ყოველი მოქალაქე, მცხოვრები არა თუ იმ რაიონში, დაინტერესებულია თავის რაიონის დაცვაში, რადგან იგი გრძნობს, რომ მოსახლეობის და მისი საკუთარი ბედი, დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მასზე.

მზვერავთა მომზადება არ წარმოადგენს თითქმის არავითარ სიძნელეს, მხოლოდ მოხალისეთა გადარჩევის დროს უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ყოველი მოქალაქე, რომელიც სურს იმუშაოს მზვერავთა რაზმებში, იყვეს ფიზიკურად ჯანმრთელი, ჰქონდეს საუკეთესო მხედველობა და სმენა. აგრეთვე, საჭიროა, რომ მოხალისეებს ჰქონდეთ შეგნება დისციპლინის და იმ საქმის პასუხისმგებლობისა, რომლის სამსახური მათ სურთ.

ე. ცინცაძე.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში

ამიერ-კავკასიის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმის მიერ მიღებულია დადგენილება სამხედრო ცოდნის გავრცელების შესახებ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობის შორის.

ვინაიდან მუშაობა სოფლის და ქალაქის მოსახლეობის გასამხედროებლად ჯერ-ჯერობით არ არის ფართოდ გაშლილი, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმი საჭიროდ სთვლის მიღებულ იქნეს ამ დარგში სხვათა შორის შემდეგი კონკრეტული ზომები:

ჩამოყალიბებულ იქნება მშრომელთა სამხედრო მომზადების სექცია, რომელიც გააერთიანებს და გაუწევს ხელმძღვანელობას სამხედრო ცოდნათა წრეების მუშაობას, მუშაობას თადარიგის მეთაურებთან, წვევამდელებთან და ცვალებად წითელ არმიელებთან, სექციას მჭიდრო კავშირი ექნება საჰაერო-ქიმიურ თავდაცვის და ქალთა შორის მომუშავე სექციებთან;

ქალთა შორის მომუშავე სექციაში შეყვანილ იქნებიან საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის, წითელი ჯვრის; არმიის სანიტარულ განყოფილების და პარტიის საოლქო კომიტეტის წარმომადგენლები.

ადგილებს დაეგზავნებათ მითითებები, რათა მუშაობის გამოსაცოცხლებლად საბჭოების და სექციებში მიზიდულ იქნეს სამუშაოდ პროფორგანიზაციები, კომკავშირი, პოლიტგანათლების და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები;

მიღებულ იქნება ზომები ამიერ-კავკასიის ბაზრის უზრუნველსაყოფად ლიტერატურით, პლაკატებით, სასწავლო ხელსაწყოებით, ნიმუშებით და სხვა თვალსაჩინო საგნებით:

საავიტაციო-საპროპაგანდო დარგში მიღებულ იქნება ზომები ქოხ-სამკითხველოების გამგეების და სოფლის სკოლების მასწავლებლების მოსამზადებლად სამხედრო პროპაგანდის წარმოებისათვის.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში მასიური მუშაობის საწარმოებლად გადაიდება საზოგადოების ბიუჯეტის 30 პროც.

სამხედრო ქრონიკა

მიღება ამიერ - კავკასიის სამხედრო სკოლაში

ამიერ - კავკასიის სამხედრო სკოლაში კურსანტების მიღება იწარმოებს სექტემბრის პირველ რიცხვიდან. სკოლას აქვს რუსული, ქართული, თათრული და სომხური განყოფილებები. მეცადინეობა საერთო საგანმანათლებლო საგნებში იწარმოებს ეროვნულ ენებზე, სამხედრო საგნები კი ისწავლება რუსულად.

სკოლაში მიიღებიან მშრომელი ახალგაზრდები წლოვანებით არა ნაკლებ 17-სა და არა უმეტეს 21 წლისა.

განცხადებას სკოლაში შესვლის შესახებ თან უნდა ჰქონდეს დართული მოწმობები წლოვანების, განათლების, სოციალური მდგომარეობის და სამხედრო სამსახურისათვის ვარგისობის შესახებ.

გამოცდების წარმოება დაიწყება 15 სექტემბრიდან.

გამოცდების დროს კანდიდატებს მიეცემათ უფასო ბინა სკოლასთან და საჭმელი დაკლებულ ფასებში.

კანდიდატები, რომელნიც არ იქნებიან მიღებული სკოლაში და რომელნიც მსახურობდნენ რაიმე დაწესებულებაში, უბრუნდებიან სამსახურს, რადგან, თანახმად არსებულ კანონისა, მათ ადგილი ენახებათ.

1905 წ. დაბადებულთა გაწვევა წითელ ჯარში

თბილისში გაწვევას აწარმოებს თბილისის ძირითადი და ერთი დამატებითი გამწვევი კომისიები, რომელნიც მოთავსებულნი არიან თბილისის მაზრის სამხ. კომისარიატის შესაკრებ პუნქტზე (სადგურის ქუჩა, 24). მოქალაქეთა გაწვევის წეს-რიგი ასეთია:

1, 2, 3, 5, 6 და 7 სექტემბერს ცხადდებიან 1-ლ რაიონის მცხოვრებნი 8, 9, 10 და 12 სექტემბერს—მე-2-ე რაიონის მცხოვრებნი, 13, 14, 15 და 16 სექტემბერს—მე-3-ე რაიონის მცხოვრებნი, 17, 19, 20 და 21 სექტემბერს—მე-4-ე რაიონის მცხოვრებნი, 22, 23, 24, 26 და 27 სექტემბერს—მე-5-ე რაიონის მცხოვრებნი. ყველა ეს მოქალაქენი უნდა გამოცხადდნენ ძირითად გამწვევ კომისიაში.

1, 2, 3, 5, 6 და 7 სექტემბერს ცხადდებიან მე 6 და 7-ე რაიონის მცხოვრებნი, 8, 9 და 10 სექტემბერს—მე-8-ე რაიონის მცხოვრებნი, 12, 13, 14, 15, 16 და 17 სექტემბერს—მე-9-ე რაიონის მცხოვრებნი, 19, 20, 21, 22 და 23 სექტემბერს—მე-10-ე რაიონის მცხოვრებნი 24, 26, 27 და 28 სექტემბერს—მე-11-ე რაიონის მცხოვრებნი, 29 და 30 სექტემბერს—მე-12-ე რაიონის მცხოვრებნი. ყველა ეს მოქალაქენი უნდა გამოცხადდნენ დამატებითი გამწვევ კომისიაში.

რა საბუთებია საჭირო

ყველა გასაწვევ ახალგაზრდას თან უნდა ჰქონდეს აუცილებლივ შემდეგი საბუთები, რომელნიც უნდა წარუდგინონ გამწვევ კომისიას: გასაწვევ წერტზე მიწერილებს პირველი წიგნაკი, სხვა დანარჩენებს კი—მეტრიკული მოწმობა და პროფკავშირის წევრობის წიგნაკი. პარტიის წევრები და კანდიდატები და აგრეთვე კომკავშირლები, ვალდებულნი არიან წარუდგინონ გამწვევ კომისიას საწევრო ბილეთები.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

დაჯილდოვება შრომის წითელი დროშის ორდენით

მოსკოვი, 31 აგვისტო. სრ. რუს. ცაკის პრეზიდიუმმა ტრეგერი დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით იმ სასარგებლო მუშაობისათვის, რომელსაც იგი ეწეოდა გამოგონებათა დარგში.

ტრეგერის გამოგონებანი დიდის წარმატებით არიან გამოყენებულნი ტრანსპორტში და სახელმწიფოს აძლევს დიდ მოგებიანობას (ადს).

წითელი დროშა „თურქესტანის" დივიზიას

სამარყანდი, 30 აგვისტო. უზბეკისტანის ცაკმა დაადგინა უზბეკისტანის მეოთხე მსროლელ დივიზია დააჯილდოვოს წითელი დროშით, ორდენით 6 წლის მუშაობისათვის თურქესტანში და უზბეკისტანში. საბჭოთა კავშირის ცაკისა და რევ. სამხ. საბჭოს წინაშე აღძრულია შუამდგომლობა, რათა ამ არმიის მე-4 წითელდროშიან დივიზიას ეწოდოს უზბეკისტანის ცაკის მე-4 დივიზია. (ადს).

საკავშირო შეჯიბრი სროლაში

მოსკოვი, 31 აგვისტო. მოსკოვში დაიწყო პირველი საკავშირო შეჯიბრი სროლაში (სნაიპერების). შეჯიბრში მონაწილეობას იღებს 8 გუნდი, რომელმაც მიიღეს პირველი ჯილდოები ამასწინად დამთავრებულ საკავშირო შეჯიბრზე. შეჯიბრს დაესწრნენ სამხედრო საზღვაო კომისარის და საბჭ. კავშირის რევ. სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. უნშლიხტი, საბჭ. კავშირის რევ. სამხ. საბჭოს წევრი ამხ. ბუდიონი, მუშათა და გლეხთა წითელ-არმიის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. ლევიჩევი, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მდივანი ამხ. ფელდმანი და პრესის სხვა წარმომადგენლები.

ამხ. შესტაკოვი გაფრინდა ოკაიამაში

მოსკოვი, 31 აგვისტო. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ იაპონურ გაზეთ „ასახი"-საგან მიიღო ცნობა, რომ მფრინავი შესტაკოვი დილის 0 საათ. 12 წუთზე გაფრინდა ოკაიამაში. შესაძლებელია, რომ ის იმავე დღეს მიაღწევს ტოკიოს. (ადს).

უცხოელ მუშათა დელეგაციები

ესტონეთის მუშათა დელეგაცია

მოსკოვი, 31 აგვისტო. 30 აგვისტოს მოსკოვში ჩამოვიდა ესტონეთის მუშათა დელეგაცია 9 კაცის შემადგენლობით. დელეგაციის თავმჯდომარეა ესტონეთის პარლამენტის წევრი **კრიმპელი**. დელეგაციის წევრები ეკუთვნიან ესტონეთის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთას. როგორც დელეგაციის თავმჯდომარე კრიმპელმა განაცხადა, 16 დელეგატის ნაცვლად საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა მხოლოდ 9, **ვინაიდან დანარჩენი დელეგატები დააპატიმრეს გამომგზავრების წინ**. ყველა დელეგატები არჩეული არიან მუშათა კრებებზე. დელეგაცია საბჭოთა კავშირში სამი კვირა დარჩება (ადს).

ნორვეგიის მუშათა დელეგაცია ლენინგრადში

ლენინგრადი, 31 აგვისტო. დღეს ჩამოვიდა ნორვეგიის მუშათა დელეგაცია 86 კაცის შემადგენლობით; მათ შორის 4 ქალია. დელეგაციის მონაწილეთა მესამედი კომუნისტებია. დანარჩენები (4 უპარტიოს გარდა) ნორვეგიის მუშათა პარტიის წევრები და პროფმოძრაობის მემარცხენე მიმდინარეობის მომხრენი არიან.

პროფ. ეგიაზაროვის გამგზავრება სომხეთში

ლენინგრადი, 31 აგვისტო. სომხეთში კამენკის და ძორაჰესის ჰიდრო - ელსადგურების სამშენებლო მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ მიემგზავრება ინჟენერთა ჯგუფი პროფ. ეგიაზაროვის მეთაურობით.

ამიერ - კავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში პროფ. ეგიაზაროვმა განაცხადა, რომ ლენინგრადში უკვე დამთავრდა მუშაობა კამენკის ჰიდრო - სადგურის პროექტის შესადგენათ; პროექტს უმთავრესი ნაწილი უკვე დამტკიცებულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ. სადგურის აგებას შეუდგებიან მიმდინარე წელში გათხრილ იქნება შემოსასვლელი გვირაბი და საძირკველი ჩაეყრება ელექტრო - სადგურს.

ჰიდრო - სადგურში დადგმულ იქნება სამი ტურბო - გენერატორი 7.500 კილოვატის ძალით თითო. კილოვატ - საათი ეღირება 0,7 კაპ. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

არქეოლოგიური გამოკვლევები ნუხის მაზრაში

ბაქო, 30 აგვისტო. აზერბეიჯანის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა ამხ. შარიფოვმა, რომელიც არქეოლოგიურ გამოკვლევებს აწარმოებდა ნუხის მაზრაში, ამიერ კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ გამოკვლევებმა დაადასტურეს მჭიდრო კავშირის არსებობა ეგრეთ წოდებულ „იაილუტაპინისა" და ძველ ალბანურ კულტურათა შორის. გამოკვლევები სწარმოებდა ნუხიდან 120 ვერსის მანძილზე კავკასიონის მთავარი მთაგრეხილის გასწვრივ. აღმოჩენილია იქნა ძველი სამარხები დაინიადარაში, ჯარილანში, მიხინგონაში და გუმში. სამარხები „იაილუტაპინის" კულტურის აშკარა ნიშნებს ატარებენ. გამოკვლეული იქნა აგრეთვე ფილფილინის ხეობის კალთები, სადაც აღმოჩენილი იქნა იმავე ტიპის სამარხები. ფილფულინის ციხის გამოკვლევის დროს აღმოჩენილი იქნა გვირაბი, რომელიც გადიოდა მიწის ქვეშ რამოდენიმე ვერსის მანძილზე და თითქმის ვარტაშენამდე აღწევდა.

გამოკვლევების დროს ექსპედიციამ მოაგროვა მრავალი კერამიკული ნაწარმოები და ლითონის ნივთები.

გამორკვეულია, რომ სამარხები და ნაპოვნი ნივთები ეკუთვნიან 2.000 წლის წინადროინდელ ხანას (ადს).

ზულფუგაროვის საქმე

ბაქო, 30 აგვისტო. დასრულდა ცენტრალურ მუშათა კლუბის საქმეთა მმართველის თანაშემწის ზულფუგაროვის საქმის გარჩევა. ზულფუგაროვს ბრალდებოდა 9.000 მანეთის გაფლანგვა. სასამართლომ ზულფუგაროვს მიუსაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. (ადს).

პროფ. დევისი თავისი შთაბეჭდილებების შესახებ

ბაქო, 30 აგვისტო. ამერიკის დელეგაციის იმ ჯგუფის წევრმა, რომელიც ეწვია ამიერკავკასიას პროფ. დევისმა ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები.

„როდესაც ვეცნობი საბჭოთა კავშირს და ვადარებ იმას, რაც აქ ვნახე იმას რაც ამერიკაში არის, **უფრო და უფრო ვრწმუნდები საბჭოთა სისტემის უპირატესობაში**. მე და ჩემი ამხანაგები განცვიფრებაში მოგვიყვანა თქვენი მრეწველობის არაჩვეულებრივმა სისწრაფემ. საბჭოთა მრეწველობის კოლოსალური უპირატესობა მდგომარეობს მის გეგმიანობაში და ის გეგმიანობა საბჭოთა მრეწველობას უწევს ამერიკის ტეხნიკის მაგიერობას. ჩვენ დავრწმუნდით, რომ შრომის პირობები საბჭოთა კავშირში, ბევრათ სჯობია ამერიკაში არსებულ პირობებს. ჩვენ დავრწმუნდით აგრეთვე იმაშიც, რომ საბჭოთა ხელისუფლება მტკიცეა და პოპულარულია მოსახლეობის უმრავლესობაში. საბჭოთა კავშირში სხვა ხელისუფლებაზე არავინ არც ფიქრობს. ეს ჩემი შთაბეჭდილებები მე ვეცდები გადავცე ამერიკის მცხოვრებთა რაც შეიძლება მეტ რიცხვს".

თბილისის უჯრედები ერთსულოვნად კიცხავენ ოპოზიციას

რეზოლიუცია ამხ. ასრიბეკოვის მოხსენების გამო

მოისმინა რა ამხ. ასრიბეკოვის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც: ს: კ: გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ, ტყავეულობის ქარხნების 1-ის და 2-ის, ფეხსაცმლის ფაბრიკის, ქიმიკოსების და მებაღეების უჯრედების ჯგუფური კრება უერთდება თბილისის აქტივის რეზოლიუციას და მთლიანად იწონებს პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებიც იძლევიან ჩვენი პარტიის საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის ერთად-ერთ სწორ ლენინურ-ბოლშევიკურ შეფასებას. კაპიტალისტური მსოფლიო, აწარმოებს რა ყოველგვარ რევოლიუციონურ მოძრაობის ჩაქრობის საზიზღარ პოლიტიკას, უკანასკნელ ხანებში ძლიერ ამწვავებს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან.

მიუხედავად მშვიდობიანობის პოლიტიკისა, რომელსაც ადგია ჩვენი მთავრობა, ბურჟუაზია ამზადებს ომს.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც: ს: კ: გაერთიანებულმა პლენუმმა გამოიტანა ლენინური გადაწყვეტილება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებში და აღმოსავლეთის რევოლიუციონ. მოძრაობის სწორ ხელმძღვანელობისათვის. ოპოზიციის გამოსვლამ ამ საკითხებში გამოააშკარავა ტროცკიზმის სრული იდეური სიკოტრე. ამასთანავე ოპოზიცია არ სწუხობდა არავითარ საშუალებებს თავის მიზნების მისაღწევად—თავის ანტიპარტიულ მუშაობას უპარტიო მასებში გადატანამდეც კი. მიუხედავათ იმისა, რომ მთელმა პარტიამ ერთსულოვნად უკუაგდო და დაგმო ოპოზიციის შეხედულებები, ოპოზიციას დაყენებით არ სურდა ეცნო თავისი შეცდომები და განაგრძობდა გამთიშველ მუშაობას; მხოლოდ იმ მუქარის შემდეგ, რომ ოპოზიციის ლიდერები გარიცხულნი იქნებოდნენ საკ. კ. პ. (ბ) ცეკადან, ოპოზიცია დათანხმდა ელემენტარულ მოთხოვნილებებზე, რომლის მიზანს შეადგენს საკ. კ. პარტიის (ბ) მთლიანობის შენარჩუნება, და მისცა პარტიას ახალი ვალდებულება ა.-წ. 8 ივლისის თარიღით; ეს განცხადება, როგორც ორაზროვანი, არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ოპოზიცია ნამდვილად შესწყვეტს ფრაქციულ მუშაობას.

კრება სავსებით უერთდება თბილისის აქტივის გადაწყვეტილებას და სთხოვს საქ. კომპ. ც. კ-ს და ც. ს. კ. მიიღოს სასტიკი ზომები თავაშვებულ ოპოზიციონერების მიმართ გამოუსწორებელ უკლონისტ - ფრაქციონერთა პარტიიდან გამორიცხვით.

ძირს ფრაქციონერი დეზორგანიზატორები!

გაუმარჯოს ს. კ. პ. (ბ) ფოლადისებურ მთლიანობას და მის ბელადს ს. კ. პ. (ბ) ც. კ-ს.

მთავარ სახელოსნოების და საწყობის ჯგუფურ კრებაზე

გუშინ საღამოთი ამხ. პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგა მთავარ სახელოსნოების კოლექტივის და მთავარ საწყობის უჯრედების ჯგუფური კრება.

კრებას დაესწრო 900 მეტი ამხანაგი.

ვრცელი მოხსენებით ც. კ-ს და ს. კ. პ. (ბ) ც: ს: კ-ს პლენუმის შედეგებზე გამოვიდა ამხ. მ. კახიანი.

მოხსენება გადაითარგმნა რუსულად. კამათი, რადგან კრება გაჭიანურდა, გადაიდო დღეისთვის.

რეზოლიუცია ამხ. რუბენის მოხსენების გამო

გუშინ მუშათა ახალ კლუბში შესდგა თბილისის აღმასკომის მეორე სტამბის, პოლიგრაფტრესტის მესამე სტამბის, „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბის, პოლიგრაფტრესტის მეორე სტამბა—ლიტოგრაფიის, ლენინის ფაბრიკის, სტამბა „წითელ მეომრის", კამოს სახელობის საფ.საქარხნო სკოლის, მშენებლობის, ცეკავშირის, „გუპო"-ს და „ელექტროსტრო"-ს, სახლის მუშათა, აგურის ქარხნების, ტელეფონის ქსელის და გამოკვების უჯრედების ჯგუფური კრება.

მოხსენებით საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. ს: კ: აგვისტოს პლენუმის შედეგების შესახებ გამოვიდა ამხ. **რუბენი**.

მოხსენების მიხედვით ერთხმად მიღებულია შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. **რუბენის** მოხსენება, საკ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონის საწარმოო უჯრედების ჯგუფური კრება მთლიანად უერთდება და ერთსულოვნად იწონებს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. ს: კ: ივლისის გაერთიანებულ პლენუმის ყველა გადაწყვეტილებებს.

კრება კმაყოფილებით აღნიშნავს ოპოზიციის სრულ სიკოტრეს და უკან დახევას სამეურნეო პოლიტიკის მთელ რიგ საკითხებში (ფასების პოლიტიკა). ოპოზიციის წინასწარმეტყველება სამეურნეო კრიზისის შესახებ და იერიშები პარტიის საშინაო პოლიტიკაზე უარყოფილია ფაქტებით, ჩვენი ქვეყნის ძალების ზრდით, სოციალისტურ მშენებლობის გეგმაშეწონილი გაშლით.

დეზორგანიზატორული ფრაქციული მუშაობა როგორც პარტიის შიგნით, ისე კომინტერნის მოძმე სექციებში, განსაკუთრებით დღეს არის დაუშვებელი ბოროტმოქმედება და მას ბოლო უნდა მოეღოს. იწონებს რა ც. კ. ს. და ს. კ. პ: ც: ს: კ-ს გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებას ტროცკის და ზინოვიევის მიმართ, როგორც უკანასკნელ გაფრთხილების, და ც. კ-ს და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. ს. კ-ს დადგენილებას ადგილობრივ ოპოზიციის ხელმძღვანელთა შესახებ, კრება მოითხოვს ოპოზიციისაგან არა ნახევრად, არამედ უთქმელად ხელის აღებას ფრაქციონურ-დეზორგანიზატორულ მუშაობისაგან და პარტიის გადაწყვეტილებისადმი დამორჩილებას.

კრება მოითხოვს ოპოზიციისაგან კომკავშირის რიგებში ფრაქციონულ მუშაობის შეწყვეტას და კომკავშირის პარტიისადმი დაპირისპირების ცდებზე ხელის აღებას.

კრება მოითხოვს, რომ დისციპლინის და პარტიის ნების დამრღვევნი შემდეგში გამორიცხულ იქნენ პარტიიდან.

გაუმარჯოს ს. კ. პ. (ბ) მთლიანობას!

რეზოლიუცია ამხ. ლუკაშინის მოხსენების გამო

გუშინ, საღამოს მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა ტრამვაის, „მკერავის" ფაბრიკის, ცეკავშირის, მეტყავეთა, აღმასკომის კეთილ-მოწყობის განყოფილების მტვირთავთა, „ზაკსოიუზი"-ს, ფურნეების, საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მთავარ საავადმყოფოს, მკერავთა კოლექტივის, შინა - მრეწველ - ხელოსანთა, განათლების მუშაკთა, გემო - კვების მუშაკთა და სხვა უჯრედების ჯგუფური კრება, რომელსაც დაესწრო 500-მდე ამხანაგი.

მოხსენებით ც. კ-ს და ს. კ. პ. (ბ) ც. ს. კ-ს აგვისტოს პლენუმის შედეგებზე გამოვიდა ამხ. **ლუკაშინი**. კამათში მიიღო მონაწილეობა 10-ზე მეტ ამხანაგმა.

მოხსენების ირგვლივ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„კრება აღნიშნავს ჩვენი ქვეყნის მეურნეობის უეჭველ წინსვლას, რაც გამოიხატება პროდუქციის ზრდაში, თანხების გადიდებაში კაპიტალური მშენებლობისათვის. მრეწველობის და ელექტროფიკაციის ხაზით, რეალურ ხელფასის გადიდებაში, საწარმოო საქონელზე ფასების დაკლებაში და სხვა მთელ რიგ მიღწევებში.

აქნობამდის ოპოზიცია ეწეოდა სპეკულიაციას სამეურნეო დაბრკოლებებით. ეხლა, როდესაც თითქოს საერთაშორისო გართულებებს ოპოზიციის უნდა მიეყვანა ის დასკვნამდე, რომ საჭიროა ბრძოლის შეწყვეტა პარტიასთან, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ფაქტმა ოპოზიცია არამც თუ არ შეაჩერა, არამედ ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ გამოიხატა ჯერ უნახავ ანტიპარტიულ ფორმებში და არას დროს ტროცკისტულ იდეოლოგიას არ მიუღია ასეთი საშიში და საზიანო გადახრა, რომელიც გამოიხატა თეზისებში კლემანსოს შესახებ.

უჯრედების ჯგუფური კრებები გამოთქვამენ რწმენას, რომ პარტია, დასძლევს რა თავზე ხელაღებულ ოპოზიციონერთა უმნიშვნელო რიცხვის წინააღმდეგობას, მივა მე-15-ე პარტყრილობაზე მთლიანი, ლენინური რიგებით.

გაუმარჯოს ს. კ. პ. (ბ) მთლიანობას!

პარტიული ცხოვრება

ოპოზიციის ანტილენინურ გამოსვლის წინააღმდეგ

ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლის პარტორგანიზაციის კრებამ მოისმინა რა ამხ. ოკუჯავას მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ც. ს. კ. გაერთიანებული პლენუმის შედეგებზე, მთლიანად იწონებს პლენუმის ყველა გადაწყვეტილებებს, რომლებიც სახავენ ერთად-ერთი ლენინურ ხაზს საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის საკითხებში.

ოპოზიციის გამოსვლები და მის მიერ წამოყენებული წინადადებები ზემოაღნიშნული საკითხების ირგვლივ, ააშკარავებს მის სრულ პოლიტიკურ გაკოტრებას. მისი წინადადებები, არამც თუ ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობას, პირიქით დაღუპავს უთუოდ მას. სკოლის პარტორგანიზაცია მთლიანათ გმობს იმ ამხანაგების გამოსვლას, რომლებიც ხელს უშლიან ცეკას ლენინისებურ ხაზის გატარებაში.

სკოლის პარტორგანიზაციას საჭიროდ მიაჩნია ცეკამ სასტიკი ზომები მიიღოს იმ ამხანაგების მიმართ, რომლებიც ხელს უშლიან მას სწორი ხაზის გატარებაში, თუ მათ მიერ ასეთი გამოსვლები იქნება განმეორებული.

ღირსეული პასუხი პარტიის გამთიშველებს

(ლეჩხუმიდან)

ლეჩხუმელი „ოპოზიცია", როგორც ვიცით, მხოლოდ 2-3 კაცისაგან შესდგება, რომლებიც ორბელის თემიდან არიან. ამიტომაც იყო, რომ ოპოზიციის სულის ჩამდგმელმა ამხ. გორგასლიძემ ამ თემში მოინდომა ოპოზიციონური მუშაობის წარმოება იმ იმედით, რომ ორბელის თემის ორგანიზაცია მას გაჰყვებოდა უკან. მაგრამ ლეჩხუმელ 2 ნახ. ოპოზიციის ეს ისედაც გაუქარწყლდა.

მოწვეული იქნა ორბელის თემის პარტ-ორგანიზაციის კრება კომკავშირთან ერთად. კრებაზე დაუძახეს ერთ ოპოზიციონერს—ამხ. აპოლონ ყიფიანს, მაგრამ ის არ გამოცხადდა, როგორც გავიგეთ, ლაშხეთში წასულა „საგარაკოდ".

სამაგიეროთ კრებაზე ბლომად გამოცხადდა, როგორც პარტიის, ისე კომკავშირის წევრები. დღის წესრიგში ერთი საკითხი—სამაზრკომის გაფართოებული პლენუმის შედეგები, ოპოზიციის გამოსვლასთან დაკავშირებით. მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ანდრია სიმაშიშვილი**, რომელიც ვრცლად შეეხო ოპოზიციონერ ბლოკის უპრინციპო მოქმედებას და განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ლეჩხუმელი გაკოტრებული ოპოზიციონერების დემაგოგიურ მოქმედებას, რაც მივიდა იქამდე, რომ უპარტიო მასასაც აღარ ერიდებიან პარტიის წინააღმდეგ მტკნარი სიცრუის გავრცელებას.

მოხსენების გარშემო გამოვიდა ბევრი ამხანაგი, რომლებმაც ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ლეჩხუმელ ოპოზიციონერთა „სამეული", არასოდეს ყოფილა გლეხური მასის ერთგული. ყველა მოითხოვდა, რომ სამაზრკომს ეღო სასტიკი კურსი გაუსწორებელ ოპოზიციონერების წინააღმდეგ.

მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლიუციაში გაერთიანებული კრება—სავსებით უერთდება სამაზრკომის პლენუმის დადგენილებებს ყველა დარგში. განსაკუთრებით გაერთიანებულმა კრებამ მოიწონა სამაზრკომის პლენუმის დადგენილება ამხ. თ. გორგასლიძისა და პეტრე ყიფიანის პარტიიდან გარიცხვის შესახებ. გაერთიანებული კრება სთხოვს სამაზრო კომიტეტს, რათა პარტიიდან გარიცხულ იქნეს ამხ. აპოლონ ყიფიანი, რომელიც ეწევა გამთიშველ მუშაობას.

ასეთია ორბელის თემის პარტორგანიზაციის გორგასლიძე ყიფიანებისადმი მიმართული პასუხი. ამით ორბელის თემის პარტ-ორგანიზაციამ დაამტკიცა თავისი ბოლშევიკური ტრადიციებისადმი ერთგულება.

პ. ფრუიძე.

კომკავშირში

დემონსტრაციის წესი ახალგაზრდათა დღეს

(მარშრუტის გეგმა და გამოსვლების შინაარსი)

1. პირველი, მეორე და მესამე რაიკომი უნდა შეიკრიბონ სრულ ნაშუადღევის 4 საათზე, ხოლო მეოთხე რაიკომი ხუთ საათზე.

2. შესაკრები პუნქტები რაიონებში არის შემდეგი ადგილები: პირველი რაიკომი რაიკომის მახლობლად, მეორე რაიკომი—საქ. ახალგ. ლენ. კომკავშირის კლუბში, მესამე რაიკომი—კახეთის მოედანზე, მეოთხე რაიკომი—ლენინის და ვერის დაღმართის კუთხე (ყოფ. ზემელის აფთიაქის მახლობლად).

3. რაიონებში შეკრების შემდეგ მოეწყოს მფრინავი მიტინგები.

4. დემონსტრაციის ხასიათი (შინაარსი) რაიონებში.

ა) პიონერები —12 წელზე მეტი ხნისა, აჩვენებენ პიონერთა ორგანიზაციის ბრძოლის უნარიანობას (სანიტარული წრეების გამოყვანა და სხ.); ბ) მათ მისდევენ კარნავალები; გ) ორკესტრს მისდევს ფიზკულტურის წრეები; დ) მათ თან მისდევენ თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების წრეები; ე) ამის შემდეგ ისინი წითელ-არმიელებთან და უპარტიო მასებთან ერთად მიდიან მწყობრად; ვ) მსვლელობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ველოსპორტსმენებმა ჩირაღდნებით; ი) რაიკომებს დაევალოს მთელ მწყობრში რაციონალურად გაანაწილონ სამხატვრო ძალები (მომღერალთა წრეები, მუსიკალური წრეები და სხ.); ..) ყველა რაიონები (უჯრედებში) ამზადებენ პლაკატებს, ლოზუნგებს ღამის მსვლელობისათვის და ამავე დროს იმზადებენ ჩირაღდნებს; ზ) რაიკომებმა უნდა გამოჰყონ ის ამხანაგები, რომელნიც იცნობენ მწყობრის წესებს და რომელთაც შეუძლიათ ხელმძღვანელობის გაწევა. ყოველ წყებაში უნდა იყოს 8 ამხანაგი.

5. პირველი რაიონის მარშრუტი: ჩერქეზიშვილის ქუჩით, შემდეგ კირკის ქუჩით (შეჩერდებიან პლეხანოვის პრ. კუთხეში). მეორე რაიონის მარშრუტი:რაიონული კლუბიდან მიდიან და შეჩერდებიან კირკის და პლეხანოვის პრ. კუთხეში (ზემო მხარ.). მე-3 რაიონის მარშრუტი: კახეთის მოედნიდან ციციანოვის დაღმართით, შემდეგ 19 თებერვლის ქუჩით, მარქსის მოედნის გზით, პლეხანოვის ქუჩით და შეჩერდებიან კირკის ქ. და პლეხანოვის პრ. კუთხეში (ქვევით).

6. ყველა სამი რაიონი (1, 2, 3) ზემოდასახელებულ ადგილზე უნდა იყვნენ საღამოს სრულ 5 საათზე. დემონსტრაციამ უნდა გაიაროს შემდეგი წესით: პირველი რაიონი მიდის ელბაქიძის (ვერის დაღმ.) დაღმართით, მას მისდევს მეორე და მესამე რაიონი,ხოლო მეოთხე რაიონი იცდის თავის შესაკრებ პუნქტზე და მისდევს მესამე რაიონს.

7. მთელი დემონსტრაცია მიდის რუსთაველის პროსპექტით, გაივლის თავისუფლების მოედანს, გაივლის პუშკინის ქუჩას, მუხრანის ხიდს, ციციანოვის აღმართს და მიდის ერის, ავლაბრის და ლაზარევის ქუჩით კახეთის მოედანზე, სადაც ჩერდება დემონსტრაცია საქართველოს კომკავშირის პირველად მოწყობის ადგილას.

8. ტრიბუნები მოეწყობა საქ. ახალ. ლენ. კომკავშირის ცეკას და თბ. კომიტ. შენობის წინ, თავისუფლების მოედანზე და კახეთის კუთხის მოედანზე.

9. პასუხისმგებელი ხელმძღვანელები რაიონებში არიან რაიკომების მდივნები.

საქ. ახალგ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი

მტკიცედ დავიცავთ კომკავშირის მთლიანობას

ჩვენი მაზრკომის გაფართოებულ პლენუმზე, ს. ა. ლ. კ. კ. მე-6 პლენუმის შედეგებზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. კუპრაძემ.

მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლიუციაში პლენუმმა სასტიკად გაკიცხა ერთი მუჭა კომკავშირული ოპოზიცია, რომელიც აშკარა პროვოკაციას ეწევა კომკავშირის ცეკას მიმართ. პლენუმმა აღნიშნა, რომ ოპოზიციის გამოსვლები აშკარად ეწინააღმდეგება პარტიის მე-14 ყრილობის დადგენილებებს და მიმართულია ლენინიზმის საფუძვლების უარყოფისაკენ. ზუგდიდის ორგანიზაცია, ნათქვამია რეზოლიუციაში, მუდამ გვერდით ედგომება პარტიას და კომკავშირს ჩვენი რიგების მთლიანობის დასაცავათ.

ფ. შამუგია.

საბჭოთა საქართველო

დ ე პ ე შ ე ბ ი

პროტესტების ტალღა

ქუთაისი, 30 აგვისტო. ქალაქ ქუთაისში მეორედ შესდგა მრავალ - რიცხოვანი საპროტესტო მიტინგი საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. მიტინგზე მონაწილეობა მიიღეს მუშებმა, მოსამსახურეებმა, პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივ და პროფკავშირთა ორგანიზაციებმა, წითელარმიელებმა და მოწაფეებმა. გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელიც სასტიკად გმობს და ზიზღს უცხადებს მუშათა კლასის ჯალათებს.

საპროტესტო მიტინგები გამართულ იქნა აგრეთვე ქუთ. მაზ. თემებში და სოფლებში. გლეხები და მუშები ყველგან პროტესტს აცხადებენ ბურჟუაზიის უკანონობისა და ძალადობის წინააღმდეგ და ზიზღს უცხადებენ მუშათა კლასის ჯალათებს (ადს).

სიმინდის მოსავალი ცუდია

ოზურგეთი, 29 აგვისტო. სიმინდის მოსავალი მთელს დასავლეთ გურიაში და კერძოთ-კერიონის ნაპირას მდებარე რაიონებში, სადაც გამუდმებით წვიმდა, ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია.

მრავალ ადგილებში სიმინდის ყანები წყალში მოქცეულია. მოსავალი მოსალოდნელია შარშანდელზე 75 პროც. უფრო ნაკლები. (ადს).

ახალი აფთიაქები

თელავი, 29 აგვისტო. „სახმედაპრობამ" სოფ. ნაფარეულში და ჯოკოლოში გახსნა აფთიაქები და უზრუნველყო ისინი საჭირო მოწყობილობებით და მედიკამენტებით. (ადს).

ახალი საავადმყოფო

თელავი, 29 აგვისტო. სამაზრო აღმასკომმა დაადგინა „გიგოს გორაზე" ააგოს ახალი საავადმყოფო 50 საწოლით. (ადს).

საქ. ახალგ. კომკავშირის 10 წლის თავის დღესასწაულის ჩატარება

ფოთი, 30 აგვისტო. კამპანია ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის ჩატარებისათვის ფოთში გაგრძელდება 4 სექტემბრამდე. კომკავშირის ყველა უჯრედებთან მოწყობილია სპეციალური კომისიები, რომელთაც ევალება ახალგ. საერთაშორისო დღესასწაულის ჩატარება. ყველა პარტუჯრედებში შეუდგენ მოხსენებების წაკითხვას ახალგ. საერთაშორისო დღის შესახებ.

ამასთან ერთად სწარმოებს კამპანია 1905 წელში დაბადებულთა ჯარში გაწვევისა და ახალგაზრდობის გასამხედროებისათვის. 3 სექტემბერს შესდგება საქ. ახალგ. ლენ. კომკავშირის წევრთა საზეიმო სხდომა პიონერთა, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანიზაციების თანადასწრებით. 4 სექტემბერს შესდგება ახალგაზრდობის მიტინგი და დემონსტრაცია. საღამოთი ყველა კლუბებში გაიმართება უფასო წარმოდგენები. ამ დღეს გაიხსნება ბავშვთა სახლი (ადს).

სამხრეთ-ოსეთი

ახალი ამბულატორია

ცხინვალი, 29 აგვისტო. სამხრეთ-ოსეთის ჯანსახკომმა დაიწყო შენობის აგება ახალ ამბულატორიისათვის. შენობა აგებული იქნება ქალაქის ახალ ნაწილში. (ადს).

რძის ნაწარმოების ქარხნები

ცხინვალი, 29 აგვისტო. სულ მცირე დროის განმავლობაში წონის, ერბოს და რძიანის მერძევეთა არტელმა დაამზადა 800 ფუთი პირველხარისხოვანი ყველი და 120 ფუთი ერბო. არტელებმა პირობა დასდევს სამხრეთ-ოსეთის სასოფლო - სამეურნეო კოოპერ. კავშირთან თავიანთი ნაწარმოების გასაღების შესახებ კოოპერაციის საშუალებით. (ადს).

წ ე რ ი ლ ე ბ ი

სენაკის მაზრა

თემ - აღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი

ამას წინად შესდგა სენაკის მაზრის თემ-აღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი. თათბირს დაესწრნენ ყველა თემ - აღმასკომების თავმჯდომარეები და მაზრის პასუხისმგებელი მუშაკი ამხანაგები. თათბირზე სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ ქურულოვიამ გააკეთა მოხსენება მაზრაში მიმდინარე წელს საგზაო ბეგარის ჩატარების შესახებ.

მიიღო რა გზის ბეგარის გატარების შესახებ სახელმძღვანელოდ დირექტივები, თათბირმა განიხილა საკითხი ტყის დაცვის შესახებ. ტყის დაცვის წესების დარღვევას ჩვენს მაზრაში აქვს ადგილი. რომ ასეთი არ მოხდეს თათბირმა მიიღო შემდეგი ღონისძიებები: თემებში შედგენილ იქნება სამეურნეო და სასოფლო კომისიები, რომლებიც გამოიმუშავებენ ტყის დაცვის წესებს, და აგრეთვე გაარჩევენ ის საქმეებს, რომლებიც ეხება ტყის წესების დარღვევას. ასეთი საქმეები განხილული იქნება სასწრაფო წესით მოკლე ვადებში.

ჯარში გაწვევის შესახებ თათბირმა დაადგინა ყოველგვარი ზომები მიიღოს, რომ გამოძახებულთა ასი პროც. გავიდეს ნაწილში სამეცადინოთ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკოლების შენობების შეკეთებას და მოწყობის საქმეს. მაზრაში სკოლების მრავალ შენობა შეკეთებას მოითხოვს. ზოგიერთი სკოლა მოუწყობელია ინვენტარით, ამის გამო მოუხერხებელია მეცადინეობა და მუშაობა სკოლაში.

თათბირმა აუცილებელ საჭიროდ სცნო: აგებულ იქნას საკუთარი შენობები იმ სკოლებისათვის, რომლებსაც ბინა არა აქვთ. შეკეთდეს ყველა სკოლების შენობები, უზრუნველყოფილ იქნას სკოლები საჭირო ინვენტარით, მოეწყოს ეზოები, მოეწყოს ჰები, სადაც არ არის, უზრუნველყოფილ იქნას სკოლები სათბობი მასალით, და აეკრძალოს მოწაფეებს სკოლაში შეშის მოტანა და სხვ.

სახელმწიფო დაზღვევის შესახებ მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის მიხედვით ჩატარებულ უნდა იქნეს ფართო აგიტაცია თემის ფარგლებში, სახელმწიფო დაზღვევის ობიექტთა აღრიცხვის დროს.

შემდეგ ამხ. ქურულოვიამ მიუთითა თემ-აღმასკომებს გეგმიანი მუშაობის სწორად და მტკიცედ გატარების და სათანადო წესების დაცვის შესახებ, რომ ამით მიღწეულ იქნას მთლიანი გეგმიანობა ყველა სამუშაოებში. შემდეგ გაირჩა მოსავლის საკითხი, რის შემდეგ თათბირი დაიხურა. თათბირი საქმიან ხასიათს ატარებდა.

ბ. უჩანეიშვილი.

დიდი ჯიხაიში, ქუთაისის მაზრა

დაწინაურებული თემი

1923 წელს ამ თემში დაიწყო ტეხნიკუმისათვის შენობის აგება, რისთვისაც გლეხებიდან აკრეფილი იქნა 15.000 მანეთი. ამ თანხით აგებულია ტეხნიკუმის შენობა, ხუთი საკლასო ოთახი დამთავრებულია, დანარჩენი ოთახები კი დაუმთავრებელია. ამ თანხიდანვე იქნა აგებული აღმასკომისათვის შენობა, შეკეთებულ იქნა არსებულ სასწავლებლების შენობები.

ქუთაისის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილების გამგემ შეპირდა ჩვენ თემს ოქტომბრიდან ათ საწოლიან საავადმყოფოს გახსნას, თუ თემი შეაკეთებდა საექიმო პუნქტის შენობას. ამ მიზნისათვის თემმა დაიბეგრა თავი 2.000 მანეთით.

საბჭოს დადგენილებით თვითდაბეგვრიდან თავისუფლდებიან უღარიბესი მოსახლეობის 15 პროც. გადამხდელები ნაწილდებიან ხუთ კატეგორიათ შეძლების და გვარად. აღნიშნულ თემის მოსამსახურეებმა თავის გაერთიანებულ კრებაზე დაადგინეს თავისი ხელმძღვანელობით გაიშენონ თემში ბაღი, რისთვისაც გაიღეს თავის ჯამაგირიდან ერთდროულად ორი პროც.

ამავე მოსამსახურეებმა ივლისში დაადგინეს შეიძინონ თემში რადიო და ამისათვის გაიღეს თავისი ჯამაგირიდან ერთდროულად სამი პროც.

მაყურებელი.

წ ე რ ი ლ ე ბ ი დ ა ნ

სოფ. ყანდურა, სიღნაღის მაზრა

გაგვიხსენით საექიმო პუნქტი

ზემოხსენებულ სოფელში ექიმი არ არის. ხსენებულ სოფელს დაშორებულია ექიმი ხუთი ვერსის მანძილზე. ხშირად ხდება შემთხვევა ავადმყოფს წაიყვანენ ექიმთან, ის კი იქ არ დახვდება, რადგანაც ბევრი სოფლები აბარია და ჩვენ სოფელს ვეღარ სწვდება.

ვსთხოვთ ჯანმრთელობის კომისარიატს გაგვიწიოს დახმარება და დაგვინიშნოს ექიმი.

ალ. ბიჭიკაშვილი.

ს. ჭელიაღელე, რაჭა

ექიმბაშები სოფლად

რაჭის მაზრაში ექიმბაშების გავრცელების მიზეზია ექიმის უყოლობა. გლეხს, რომ ავად გაუხდება ოჯახის წევრი ექიმს ეძებს ორი-სამი დღის განმავლობაში. ექიმს ვერ მიაგნებს და, გლეხი იძულებულია ხდება მიმართოს კარზე ექიმბაშს, არც აფთიაქი გვაქვს, თუ გლეხმა საიდღაც სადა ექიმს, ერთი კიდე წამალს უნდა უცადოს.

ნიკო ჭელიძე.

მუშათა ცხოვრება

თავის მოვალეობას ბოროტად იყენებენ

(რკ. გზის სამართველოს საყურადღებოთ)

15 აგვისტოს მატ. № 4, მიუახლოვდა სადგ. საკრისავს დაახლოვებით 150 ნაბიჯზე. უეცად რევიზორი გიორგაძე გადმოხტა მატარებლიდან და გაეშურა უკანა ვაგონისაკენ, საიდაც შენიშნა, რომ უკანა ვაგონიდან გადმოხტა ვიღაც. ეს ყოფილა რკინის გზის წესის დარღვევა, დამნაშავე ყოფილა ექსკურსანტი სტუდენტი ჯაში. გიორგაძემ ეს სტუდენტი შეიყვანა სადგურის სამოლოდინო ოთახში და წინადადება მისცა გადეხადა ათი მან. სულ მე თან მაქვს! ათი მანეთი, ამ ფულით მე უნდა ვიცხოვრო ერთი თვე, დაბეჯითებით გაიძახდა ... ჯარიმა—ცრემლით ეხვეწებოდა სტუდენტი ჯაში, რომელიც იმყოფებოდა მოსარჩელედ ... ცემში; „რატომ თქვენ არ აჯარიმებთ იმ სამ მოქალაქეს, რომლებიც გადმოხტნენ"—დაუმატა ჯაშმა. ამაზე ძალიან აღელდა ჩვენი რევიზორი და უბრძანა დამცველ საგარეიშვილს დაეჭირებინა ჯაში. მატარებელზე მყოფი მოქალაქენი აღელდნენ, რადგანაც მატარებელი ოთხი წუთის მაგიერ 15 წუთით შეჩერდა. „მატარებელი იქნება გაჩერებული მანამდე, სანამ დამნაშავე არ გადაიხდის ათ მანეთს"—განუცხადა მგზავრებს გიორგაძემ. მოითმინეთ—ჩაერია ერთი რკინიგზელი—რატომ აჯარიმებთ ჯაშს ათი მანეთით, როცა კანონით ერგება ჯარიმა ერთ მანეთიდან ხუთ მანეთამდე. გთხოვთ მე ნუ მასწავლით, გადაიხადეთ თქვენ ჯარიმა—ჯავრად მიმართა გიორგაძემ სტუდენტს, საწყალმა ჯაშმა, რომ არ გაეჩერებინა მატარებელი ამოიღო ჯიბიდან უკანასკნელი ათი მან. და გადასცა გიორგაძეს. მატარებელი 25 წუთის დაგვიანებით გამოვიდა სადგურიდან.

კანონით ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს 5 მანეთს, გიორგაძემ კი თავისი სურვილით აუმატა ჯარიმა 10 მან. და მატარებელიც 20 წუთით გააჩერა...

როგორ უყურებს ამ მოვლენას რკინის გზის სამართველო მით უმეტეს, რომ არა ერთხელ მიუმართავს რევიზორ გიორგაძეს ასეთი ზომისათვის.

ა. ხტრიშკო.

საქმეს ტყუილად აჭიანურებენ

(ქალაქის კეთილ - მოწყობ განყ. საყურადღებოდ)

სათანადო განკარგულებით ყველა სახლის პატრონებმა უნდა გაიყვანონ კანალიზაციები, წყალსადენის მილები და სხვა. როგორ ატარებს ... ამ განკარგულებას აღმასკომის კეთილ - მოწყობის განყოფილება? თუ მიმართავ სახლის პატრონმა, კეთილ - მოწყობის განყოფილებას, განცხადების მიცემის შემდეგ უნდა ... არა ნაკლებ 6 თვისა, რომ ნებართვა აიღოთ. შეგიმოწმეს განცხადება, ეხლა უნდა სდიოთ ... — ინჟენერ - ტეხნიკს არა ნაკლებ; მოისურვა, მოვიდა, დაათვალიერა, მეგპირდებათ შემოვალს ხვალ - ზეგ, ასე მიდის დღეები. ბოლოს მოვა, მოიყვანს მუშებს, ამოთხრიენებს თხრილს, ერთი კვირის შემდეგ ჩააწყობენ მილებს ჩაყრიან მიწას, დარჩა ონკანის ადგილი გათხრილი. სდიეთ ეხლა ონკანის დასადგმელათ კიდევ რამოდენიმე დღე თუ კვირა, დატოვებულია გაფარღლებული ეზო, თუ რომ ქუჩის კარებშიც გადის თხრილი შესვლა-გამოსვლა შეუძლებელია.

როდის მოეღება ბოლო საქმის ასეთ გაჭიანურებას?

ვ. გვარამიძე.

კარგათ მოიქცა, თუ შესცდა ადგილკომი

(გურჯაანი)

19 აგვისტოს სოფ. გურჯაანში იყო დღეობა ცერისცვალება. აურაცხელი ხალხი მოვიდა აქ. როგორც წნორის წყალიდან, ისე თელავის მაზრიდანაც.

ამბობენ რკინისგზებმაც ისარგებლეს ამით მატარებლების შემადგენლობები გადიდდა რამოდენიმე ვაგონებით.

არც სადგ. გურჯაანის ადგილკომი ჩამორჩა რკინისგზას და მანაც მოაწყო მუშათა კლუბში საღამო სეირნობა, რომელსაც აგრეთვე აურაცხელი ხალხი დაესწრო. ადგილკომის შეცდომა მდგომარეობს ამ შემთხვევაში იმაში, რომ მან ამ დღეობას არ მისცა ანტირელიგიური ხასიათი. რელიგიურ დღესასწაულს უნდა დაუპირდაპიროთ ანტირელიგიური პროპაგანდა, როგორიც მოხსენებები, ისე ანტირელიგიური პიესების დადგმით და სხვა. ასეთები, რასაც ადგილი ჰქონდა 19 აგვისტოს შემდეგისათვის მაინც არ უნდა განმეორდეს.

ხლიდოტიპი.

მუშების პროტესტი

(ქ. სამტრედია)

25 აგვისტოს ქ. სამტრედიაში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი ამხ. საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის გამო.

მიტინგზე საპროტესტო სიტყვების წარმოთქმის შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ, რა ცნობა ამერიკის შეერთებულ შტატებში ბურჟუაზიული კლასიური იუსტიციის მიერ ამხ. საკოსა და ვანცეტის ჯალათური მკვლელობის შესახებ, სამტრედიის მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი პროტესტს აცხადებს ამერიკის „კულტურულ" ... წინააღმდეგ. გამხეცებულმა ამერიკის ბურჟუაზიამ სიცოცხლე მოუსპო ორ უდანაშაულო რევოლიუციონერს ამხ. საკოსა და ვანცეტის. იმ დროს, როცა მსოფლიო მუშათა კლასის პროტესტების ტალღა მოედო მთელ მსოფლიოს, მეორე ინტერნაციონალის პარტიებმა თავისი თვალთმაქცური პოლიტიკით დეზერტირობის პოზიცია დაიჭირეს. მათ მთელ რეაქციონურ პრესასთან ერთად საძაგელი განგაში ასტეხეს საბჭოთა კავშირში რამოდენიმე კონტრრევოლიუციონერის დახვრეტის გამო. უდანაშაულო საკოსა და ვანცეტის დასაცავად კი მათ დაავიწყდათ არა მარტო სოციალისტური სოლიდარობის პრინციპები, არამედ უბრალო კაცთმოყვარეობის გრძნობაც, მათ უარი განაცხადეს საკოსა და ვანცეტის დასაცავად საპროტესტო ... მოწყობაზე. ამრიგად ამერიკის ბურჟუაზიას დიდი სამსახური გაუწია სოციალ-მოღალატეებმა მეორე ინტერნაციონალიდან. საკოსა და ვანცეტის მოკვლის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდება რევოლიუციონური ბრძოლა მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ.

კრება აღშფოთებული მეორე ინტერნაციონალის კიდევ მორიგი ღალატით, სასტიკ პროტესტს და ზიზღს აცხადებს მსოფლიო მტაცებლებს და ლაქია-მენშევიკების წინააღმდეგ.

გაუმარჯოს ამერიკის და მსოფლიო რევოლიუციონურ მუშათა კლასის ძლევამოსილ მოძრაობას!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

შ.

მუშათა ქრონიკა

— ავიაქიმის სასარგებლოდ თბილისის აღმასკომის წყალსადენის მუშა-მოსამსახურეებისაგან შეგროვილია 318 მანეთი 63 კაპ.

— **უმაღლეს პროფკურსებზე.** მოსკოვის უმაღლეს პროფკურსებზე სამთო-მადნო კავშირის ც. გ. თავის ხარჯზე მიავლინა ამხ. შალვა ტაბატაძე.

— **ბიბლიოთეკის მუშაკთა კრება** დანიშნულია საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში სექტემბრის 3-ს დილის 10 საათზე;

— **2.000 მანეთი.** ზუგდიდის მუშათა კლუბის შესაკეთებლად ზუგდიდის პროფბიურომ დახმარების სახით გამოითხოვა საქართველოს პროფსაბჭოდან 2.000 მ.

— **სტადიონისათვის.** აჭარისტანის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ყოველ მიზეზის გარეშე ადგილობრივ სტადიონის აგება დამთავრდეს 1 ოქტომბრისათვის.

— **კავშირში აღდგენა.** ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ც. გამგეობამ აღადგინა თავის უფლებებში კავშირის წევრთა რიგებიდან მექანიკურად გამორიცხული მოქ. ნიკოლოზ ვარაძე.

— **წარმომადგენლის გამოყოფა.** საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა თავის წარმომადგენლად გამოჰყო საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან არსებულ სამხატვრო კომისიაში ამხ. ჯაფარიძე.

— **მუშაობის გამოკვლევა.** საქართველოს პროფკავშირთა საბჭო უკვე შეუდგა ყველა კავშირების ხაზით ფაბქარხადგილკომებში ამერიკულ ... ლების ინსტიტუტის მუშების გამოკვლევას.

— **საქალაქო კონფერენცია.** სექტემბრის 15-ს, საღამოს 6 საათ. მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგება თბილისის ფაბქარხადგილკომების საქალაქო კონფერენცია.

რა კეთდება აჭარისტანში

(საუბარი აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარე ამხ. მოიდინ სურმანიძესთან)

ამხ. მოიდინ სურმანიძე

თბილისში ჩამოვიდა აჭარისტანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **მოიდინ სურმანიძე**, რომელმაც აჭარისტანში წარმოებულ აღმშენებლობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს განუცხადა:

— ბათომში ახლო ხანში დამთავრდება ორი ახალი დიდი სახლი, რომლებშიაც ჩასახლებული იქნებიან მუშები. ქალაქში დაწყებულია ქვაფენილების და კომუნალური სახლების შეკეთება. უკვე დამთავრებული და ამუშავებულია ხეჯის ქარხანა, რომელიც ამ დღეებში შეუდგა კასრების დამზადებას.

შედგენილი და დამტკიცებულია ტრამვაის და კანალიზაციის პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა. ამჟამად სწარმოებს თანხების გამონახვა მუშაობის დასაწყებად.

ფართო მუშაობაა დაწყებული „აზნეფტ"-ის ქარხნების ასაგებად, რომელზედაც მუშაობს ...00-მდე კაცი. დაწყებულია წინასწარი მუშაობა ქარხნებისათვის წყალსადენის გამოსაყვანად.

რაც შეეხება აღმშენებლობას მაზრებში, აქ აღსანიშნავია საგზაო მშენებლობა, რომელიც ფართოდაა განვითარებული. კეთდება უჩამბის გზა (ხულოს მაზრაში), რომლის სიგრძე იქნება 8 ვერსი, ეს გზა ერთმანეთს დაუკავშირებს ორი თემის სოფლებს. გზის გაყვანა დამთავრდება ოქტომბრამდე. ამას გარდა, დაწყებულია გზების გაყვანა სოფ. ჭახათიდან, ჩაქვიდან და აჭარის აღმართზე.

დიდი მუშაობაა აგრეთვე დაწყებული ხიდების ასაკეთებლად. შენდება ოთხი დაკიდებული ხიდი სოფ. აჭში (ქობულეთის მაზრა), სოფ. დოლოგანში (ბათომის მაზრა), სოფ. ბაბუჩალევში და ვოჯიიდში (ქედის მაზრა): ხიდების აგება დამთავრდება ოქტომბრამდე, თითო ხიდის აგება დაჯდება 5-6.000 მანეთი.

შენდება აგრეთვე სამი ახალი შენობა სკოლებისათვის სოფ. ქობულეთში (ქობულეთის მაზრა), სოფ. ყარადერეში (ბათომის მაზრა) და აჭარის-წყალზე. საჭირო თანხები უკვე გადადებულია. დაწყებულ და ზოგან უკვე დამთავრებულია სკოლების რემონტი. 15 სექტემბრიდან მეცადინეობა დაიწყება მაზრის ყველა სკოლებში.

მუშაობა აჭარის-წყალის ჰიდრო-ელსადგურის დასამთავრებლად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, წყალი უკვე გადაშვებულია ქვედა გვირაბში, 1928 წლის ბოლოს აჭარისტანსაც ექნება თავისი ჰიდრო-სადგური.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირმა წვიმებმა საგრძნობლად დააზარალა ნათესები, ამჟამად ამინდები კარგია. თუ ასე გაგრძელდა მოსავალი, შეიძლება საშუალო იქნეს.

წრევანდელი მოსავალი

(საქ. ცენტრალური სტატ. სამმართველოს ცნობებით)

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სტატისტიკური სამმართველო, მიმდინარე წლის მოსავლის გამოსარკვევად სარგებლობს საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებით. ეს ცნობები, (რომლებიც აქ ... უნდა აღინიშნოს, წინასწარია და ამიტომ საბოლოო შედეგის გამორკვევის დროს მასში შესაძლოა მცირე ცვლილებები) შემდეგ სურათს გვიხატავენ:

პირველ ყოვლისა, მიმდინარე წელს ნათესების სივრცე, რომელიც სპეციალურად ჩატარებულ შერჩევითი გამოკვლევით იქნა გამორკვეული, საშემოდგომო ხორბლისათვის შეადგენს 221.800 დესეტინას, ნაცვლად 226.700 დესეტინისა წარსულ წელში, გაზაფხულის ხორბლისათვის 27.300 დეს., წარსულ წელში კი გაზაფხულის ხორბალს ეჭირა 27.000 დეს. სიმინდის დათესილი სივრცე უდრის 335.900 დეს., ხოლო შარშან კი სიმინდს 351.800 დეს. ეკავა. საშემოდგომო და საგაზაფხულო ქერის ნათესების სივრცე წელს უდრის 57.200 დესეტინას, წარსულ წელში კი იყო 56.900 დეს.,

ეგრეწოდებულ მეორე ხარისხოვან პურეულის (შვრია, ფეტვი, ღომი, ბრინჯი) ნათესების სივრცე წელს უდრის შარშანდელს, ე. ი. 4.500 დეს.

რაც შეეხება ტეხნიკურ კულტურებს, უნდა ითქვას, რომ წელს ბამბის ნათესების სივრცე შარშანდელთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა. საქართველოს საგეგმო კომისია ბამბის შარშანდელ ნათესებს 9.000 დესეტინით განსაზღვრავს, ხოლო წრევანდელს—4.900 დეს., ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ფიქრობს, რომ ბამბის შარშანდელი ნათესების სივრცე უდრიდა 8.200 დეს., მიმდინარე წლის კი ... 5,400 დეს.; თამბაქოს წელს უკავია 12.900 დეს., თითქმის იმდენივე, რამდენიც წარსულ წელს ეკავა (თუ შემცირებას აქვს ადგილი, —ის უმნიშვნელოა). ვენახების სივრცე უცვლელი დარჩა.

ამრიგად, წელს ნათესების სივრცე, როგორც პურეულის, ისე ტეხნიკური კულტურების,—რამდენადმე შემცირდა. ამის და მიხედვით მცირდება მოსავლის ციფრიც.

საშემოდგომო ხორბლის მოსავალი წელს წინასწარი ცნობების მიხედვით 9.483.000 ფუთი უნდა იქნეს, შარშანდელი 13.824. 700 ფუთის ნაცვლად. გაზაფხულის ხორბალი კი—1.104.300 ფ., შარშანდელი 1.296,600 ფ. მაგიერ: სიმინდის მოსავალს წელს 30.403.900 ფ. განსაზღვრავენ.

უკანასკნელ უამინდობასთან დაკავშირებით, შესაძლებლად მიაჩნიათ გაუარესებაც. ქერმა წელს უნდა მოგვცეს 3.696,200 ფუთი მოსავალი, ნაცვლად შარშანდელი 3.280,000 ფუთისა.

მიუხედავად ბამბის ნათესების სივრცის მნიშვნელოვანად შემცირებისა, წრევანდელი მოსავალი შედარებით დიდათ არ ჩამოუვარდება შარშანდელს: წელს მიღებული იქნება 172.500 ფუთამდე ნედლი ბამბა; ბამბის შარშანდელი მოსავალი კი უდრიდა 215,700 ფ. აიხსნება ეს იმით, რომ საქართველოს ზოგიერთი რაიონების მოსახლეობა იჩენს ბამბის კულტურას და უფრო რაციონალურად უვლის მას.

თამბაქოს მოსავალი რამდენიმე ნაკლებია შარშანდელზე: 686.300 ფ. შარშანდელი 735,500 ფუთის ნაცვლად.

ასეთია წრევანდელი მოსავლის ციფრები, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ამ ციფრებს სოფლის საშუალო ყველა კულტურებისათვის. მოსავლის საერთო ხასიათი იმის მაჩვენებელია, რომ მომავალში აუცილებელია, ზომების მიღება ნათესების სივრცის გასადიდებლად და აგრეთვე საქართველოს გლეხურ მეურნეობაში ტეხნიკური კულტურების უფრო ფართოდ გასავრცელებლად.

ნ.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

საუბარი ინჟ. ტრონთან

ამას წინად თბილისში ჩამოვიდა ამერიკის ელექტრობის საყოველთაო კამპანიის („ჯენერალ ელექტრიკ კომპ".) ერთ-ერთი დირექტორი ინჟ. **ტრონი.**

ინჟ. ტრონი ჯერ კიდევ ომამდე რამდენჯერმე იყო რუსეთში, სადაც აწარმოებდა თავის კომპანიის საქმეებს.

ტრონი ამერიკის ერთ-ერთ ცნობილ ინჟენერ-ელექტრიკად ითვლება, ხოლო მისი ფირმა ელექტრობის ერთ-ერთი უდიდესი ფირმა მსოფლიოში.

ინჟ. ტრონი რამოდენიმე დღის განმავლობაში ეცნობოდა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სურამის საუღელტეხილო უბნის საელექტროფიკაციო სამუშაოებს, რისთვისაც მან ეს უბანი მოიარა მთლიანად.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ინჟ. ტრონმა განაცხადა:

— მე დეტალურად გავეცანი სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციო სამუშაოების მიმდინარეობას. ჩემის აზრით, ენერგიის გადაცემის ხაზისათვის ადგილი ამორჩეულია უაღრესად შესაფერისი: საერთოდ ეს მუშაობა მშვენივრად არის დაყენებული.

სურამის უბანი შექმნილია მხოლოდ ელექტროფიკაციისათვის.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის ეს ხაზი ძალიან წააგავს შეერთებულ შტატების ჩრდილო-სამხრეთის გზას, სადაც დაახლოვებით ასეთსავე მთაგორიან ადგილებში გაყვანილია ელექტრონის რკინის გზა ჩიკაგო-მილოკი-სენტპოლის შუა.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის რეალური შესაძლებლობანი დიდია. ამით თქვენს ქვეყანას საშუალება ეძლევა გააიაფოს ტვირთზიდვა.

— თქვენი ფირმა არ არის დაინტერესებული მიიღოს დაკვეთები საბჭოთა კავშირიდან?

— უეჭველად, ჩვენ ვფიქრობთ მივიღოთ საბჭოთა კავშირის დაკვეთები, ამ დაკვეთების შესრულებისათვის ჩვენ ყოველგვარი შესაძლებლობა გვაქვს. ყველაზე უფრო თვალსაჩინო ელექტრონის გზები მთელს მსოფლიოში აშენებულია ჩვენი ფირმის მიერ. ამ მხრივ ჩვენ დიდი გამოცდილება გვაქვს.

— როგორია თქვენი აზრი ჩვენ სამრეწველო აღმშენებლობის შესახებ?

— ამ საკითხზე შემიძლია გიპასუხოთ მხოლოდ ერთი: ჩვენ ამერიკაში არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს საბჭოთა კავშირის ტეხნიკური მშენებლობის შესახებ.

რევოლუციამდე 10—20.000 ძალიანი ელექტრო სადგურები რუსეთში მხოლოდ ერთეულებად ითვლებოდა, ეხლა კი თქვენ მოგეპოებათ 100.000 ძალიანი ელსადგურები.

თქვენი ელსადგურები თავისი მოწყობილობით და კონსტრუქციით ძალიან უახლოვდებიან ამერიკის სადგურებს, რომლებიც იქ სამაგალითოდ ითვლებიან.

ელექტროფიკაციის გარდა მე განვცვიფრდი მომიყვანა თქვენში ტორფის (ახალი საშუალებაა) დამუშავების საქმემ. მსოფლიოში არც ერთი ხალხი არ იყენებს ისე ტორფს, როგორც ამას აქვს ადგილი საბჭოთა კავშირში.

ეს მუშაობა აქ დიდის ენერგიით სწარმოებს და იძლევა კარგ შედეგებს.

— ჩვენ დავრწმუნდით—ამბობს დასასრულ ინჟ. ტრონი, რომ საბჭოთა კავშირში ფართოდ სწარმოებს აღმშენებლობა და ჩვენი სურვილია ვიმუშაოთ თქვენთან, თქვენთვის სავსებით მისაღებ პირობებზე, რაც უსათუოდ ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის და ამერიკის დაახლოებას.

გუშინ ინჟ. ტრონი გაემგზავრა ბაქოში, სადაც დარჩება რამოდენიმე დღე, იქიდან კი გაემგზავრება მოსკოვში, საიდანაც შემდეგ დაბრუნდება ამერიკაში.

სასოფლო-სამ. მანქანებით მომარაგება 1927-28 წ.

მოსკოვიდან დაბრუნდა „ზაკსელმაშ"-ს დირექტორ-გამწესრიგებელი ამხ. ი. ს. წივწივაძე, რომელიც იქ დაესწრო საკავშირო თათბირს სასოფ.-სამ. იარაღებით მომარაგების შესახებ.

ჩვენს თანამშრომელს, ამხ. წივწივაძემ თათბირის შედეგების შესახებ აცნობა:

აღნიშნული თათბირი მოწვეული იყო საკავშირო ვაჭრობის კომისარიატთან სასოფ.-სამ. მანქანებით მომარაგების მომწესრიგებელ კომიტეტის მიერ.

თათბირზე განხილულ იქნა: 1) ცალკე რესპუბლიკების 1927-28 წ. სასოფ.-სამ. მანქანებით მომარაგების გეგმები, 2) მანქანების მშენებლობის საწარმოო პროგრამები, მათი სასოფ.-სამ. მანქანების მოთხოვნილებებთან დაკავშირებით, 3) 1927-28 წ. საკრედიტო პოლიტიკა და კრედიტების საკონტროლო ციფრები, რომლებიც აუცილებელია 1927-28 წ. გეგმის განსახორციელებლად და 4) 1927-28 წ. სასოფ.-მეურნეობის ტრაქტორებით მომარაგების გეგმა.

სასოფ.-სამ. მანქანებით მომარაგების გეგმა მთელი კავშირის მასშტაბით გამოიხატა 150 მილიონ მანეთში.

წამოყენებულ მოთხოვნილებათა განხილვამ თათბირზე მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ წარმოების გაძლიერებული ზრდა იძლევა საშუალებას, დაკმაყოფილებულ იქნეს ჩვენი მოთხოვნილება ზოგიერთ სახის და მარკების სასოფ.-სამ. მანქანა-იარაღებზე.

ამასთანავე გამოირკვა, რომ ზედმეტად მოგვეპოვება გუთნები და სათესი მანქანები, ამისათვის საჭიროდ იქნა ცნობილი საწარმოო პროგრამის გადასინჯვა,—ასეთ მანქანების წარმოების შეკვეცის მხრივ და ამის სანაცვლოდ გადიდება ისეთი მანქანების დამზადებისა, რომლების მხრივ განიცდით ნაკლებობას (ამკრები და მარცვლის გამწმენდი მანქანები).

საწარმოო პროგრამების გადასინჯვა არსებულ ქარხნებში ერთის მხრით და ახლო მომავალში ახალ ქარხნების გახსნა—მეორეს მხრივ, იმედს გვაძლევს, რომ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება სასოფ.-სამ. მანქანებზე სავსებით იქნება დაკმაყოფილებული საკუთარ საბჭოთა წარმოების მიერ.

„ზაკსელმაშ"-ს მიზანი მდგომარეობს იმაში, რათა ამ.-კავკასიის მოთხოვნილება სასოფ.-სამ. იარაღ-მანქანებზე შეტანილი ყოფილიყო მთლიანად საბჭოთა ქარხნების საწარმოო პროგრამებში, ან ის ნაწილი, რომელსაც ვერ დააკმაყოფილებს ეს წარმოება შეყვანილიყო სათანადო საიმპორტო გეგმაში.

ეს ამოცანა გადაწყვეტილ იქნა სავსებით დაკმაყოფილებლად. ამ გვარად 1927-28 წ. ა.-კ. სასოფ.-მეურნეობა უზრუნველყოფილია, ნიადაგის დამმუშავებელ მანქანებით.

დიდი კამათი გამოიწვია მოთხოვნილებამ ტრაქტორებზე, ამკრებ და მარცვლის გამწმენდ მანქანებზე. როგორც ჩვენი, ისე სხვა რესპუბლიკების, მოთხოვნილებები ამ მხრივ აღემატება დაკმაყოფილების რეალურ შესაძლებლობებს. ამისათვის პირველ რიგში ყურადღება მიექცა ტრაქტორების და რთულ მანქანების მომარაგების სათადარიგო ნაწილებით, რათა აღდგენილ იქნეს უმოქმედო ტრაქტორები და რთული მანქანები.

საიმპორტო კონტინგენტი ამიერ-კავკასიის საერთოდ წინასწარი გამონაგარიშებით მიღებულია 1.500,000 მანეთის რაოდენობით. (ნაცვლად გასული წლის 2.100.000 მანეთის), ასეთი შემცირება აიხსნება, ერთის მხრივ, შაბიამნის იმპორტიდან გამორიცხვით და საიმპორტო ტრაქტორების შემცირებით.

რაც შეეხება 27—28 წ. საკრედიტო პოლიტიკას, თათბირის მიერ ცნობილ იქნა საჭიროდ მანქანების ნისიად გაცემის წესის გატარება დეცენტრალიზაცია ქმნილი წესით,—ცალკე რაიონებისათვის დამტკიცებულ გეგმების მიხედვით ამასთანავე მიზანშეწონილად იქნა ცნობილი საკრედიტო შკალის გაფართოება იმ მხრივ, რომ მეტი შეღავათები იქნეს დაწესებული სათის და ამკრებ მანქანების გაყიდვის დროს.

პირველ რიგის სესხით ისარგებლებენ: კოლექტიური მეურნეობები, კომუნები, არტელები, სამანქანო ამხანაგობები და სხვა კოლექტიური მეურნეობანი, ხოლო უკანასკნელ რიგში ერთეული მეურნეობანი.

სასოფლო მეურნეობის ტრაქტორებით მომარაგების საკითხში მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის თანახმად უნდა მოეწყოს სატრაქტორო მეურნეობათათვის ტეხნიკური სამსახურის გაწევა, გაიხსნას სატრაქტორო კურსები, შეკეთებული სახელოსნოები, სათადარიგო ნაწილების საწყობები და სხვა.

ჩემი პრაქტიკული მუშაობა გენერალურ ხელშეკრულებათა დასადებად გამოიხატა იმაში, რომ სხვადასხვა ტრესტებთან და ქარხნებთან დადებულია ხელშეკრულება 1.800,000 მან. ფარგლებში და გათვალისწინებულია ასეთივე ხელშეკრულების დადება მომავალში 1.200,000 მან. რაოდენობით.

ყველა იმ საკითხების გამოსარკვევად ადგილობრივ, რომლებიც განხილულ იქნა თათბირზე, ოქტომბრის დამლევს მოწვეულ იქნება ანალოგიური თათბირი ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

სას.-სამეურნეო აღწერა

საქართველოს ცენტრალური სტატისტ. სამმართველო დღეიდან შეუდგება სოფლის მეურნეობის შერჩევითი აღწერას.

აღწერის მიზანს შეადგენს გამოიკვლიოს, თუ რა ცვლილებები მოხდა წლის განმავლობაში ჩვენს სასოფლო მეურნეობაში და ამასთანავე—რა კლასიური დიფერენციაცია არსებობს ამჟამად ჩვენს სოფელში. აღწერილი იქნება ხუთი რაიონი, რომლებიც დამახასიათებელი არიან ჩვენი მეურნეობის უმთავრეს დარგებისათვის: **თელავის მაზრა** — მევენახეობა (აღწერილი იქნება — 1950 მეურნეობა), **დუშეთის მაზრა**—მეცხვარეობა (აღწერილი იქნება—1.850 მეურნეობა), **გორის მაზრა** — მეხილეობა (აღწერილი იქნება — 1.550 მეურნეობა), **სენაკის მაზრა** (აღწერილი იქნება 2.050 მეურნეობა) და **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა** — მეთამბაქოეობა (აღწერილი იქნება 1.500 მეურნეობა).

გასულ წლის შემოდგომაზე ჩატარებული იქნა ანალოგიური აღწერები ყველა ზემო-ხსენებულ რაიონებში, გარდა აფხაზეთისა. აღმწერლებს წელს შედარებისათვის და ცვლილებების გამოსარკვევად, თან ექნებათ გასული წლის აღწერის შედეგები თვითეულ ცალკე მეურნეობის შესახებ.

აღმწერლებისათვის დამზადებულია სპეციალური ბარათები, იმის გამოსარკვევათ, თუ რა ხასიათი და ეკონომიური სახე აქვს საქართველოში ... პროგრამაში შეტანილია აგრეთვე გლეხების კონების ღირებულების გამოკვლევა (შენობები, საქონელი, ინვენტარი და სხვა).

გამორკვეული იქნება აგრეთვე მეურნეობის წლიური საერთო შემოსავალი, რა მიზეზითაც დაკითხული იქნება აღწერილ მეურნეთა 16,7 პროცენტი. აღწერილ რაიონებში გამოკვლეული იქნება აგრეთვე სახ. ხამ. საკრედიტო ამხანაგობების მუშაობა.

აღწერილი იქნება სოფლის მიწით სარგებლობა (მიწის საერთო სივრცე და მისი დანაწილება მოხმარების მიხედვით).

გლეხის საერთო შემოსავლის გამოსარკვევათ ადგილობრივ იქნება გამორკვეული ყოველგვარ სოფლის ნაწარმოების საშუალო ფასები.

აღწერა დასრულდება ოქტომბრის პირველ რიცხვებში. მასალების დამუშავება დაიწყება ოქტომბრის დამლევიდან.

რიონჰესი

დამთავრდა ჭაბურღილების გათხრა ჯებირის რაიონში, რომელიც სწარმოებდა მთავარი ჯებირის ასაგებ ადგილის გეოლოგიურ გამოკვლევის მიზნით. ეხლა სწარმოებს გათხრა არხის მიმართულებით.

რიონის მარცხენა ნაპირზე მოწყობილია წყალსაქაჩავი, დადგმულია 25 ცხენის ძალის მატორი, დაგებულია მილები 400 მეტრის სიგრძეზე და მოწყობილია წყალსადენის რეზერვუარი.

დამხმარე შენობებიდან დამთავრებულია კიდევ ერთი საბინაო და სამი მატერიალური საწყობების აგება ჯებირის რაიონში. ამას გარდა, მოწყობილია ბორანი.

პურის შემოზიდვა

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატში მიღებული ცნობებით 20 აგვისტოდან ჩრდილოეთ კავკასიიდან ა.-კავკასიაში შემოზიდულა 262 ვაგონი პურის ფქვილი, 34 ვაგონი ქვავი, 4 ვაგონი სიმინდი და 80 ვაგონი ხორბალი. გარდა ამისა ამ დღეებში კიდევ მოელიან პურის და სიმინდის რამოდენიმე პარტიას.

სულ აგვისტოს განმავლობაში შემოზიდული იქნება 1.265.000 ფუთი პურის ფქვილი და სიმინდი.

ამჟამად პურის ნაკლებობას უკვე აღარა აქვს ადგილი.

საკავშირო მნიშვნელობის გზები

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მიიწონა სია ამიერ-კავკასიის იმ გზებისა, რომლებიც დამატებით უნდა იქნეს შეტანილი საერთო საკავშირო მნიშვნელობის გზების მომზადე სიაში. მიღებული სია სასწრაფოდ გაეგზავნა ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობის საშუალებით შრომისა და თავდაცვის საბჭოს, რომლის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა, რომ ზოგიერთი გზები ამ დამატებითი სიიდან შეტანილ იქნეს 1927—28 წლ. სამუშაოების პროგრამაში.

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა, რათა მუშაობა დაწყებულ იქნეს შემდეგ გზებზე:

საქართველოში: ბათომ-გოდერძის უღელტეხილი—126 კილომეტრი, სოხუმი-წებელდა—25 კილომეტრი და აჭარის-წყალი-მარადიდი—10 კილომეტრი.

აზერბეიჯანში: ბაქო-შემახა-აზსუ—173 კილომეტრი.

სომხეთში: ერევანი-ბაჯაიარნი—42 კილომეტრი და დელიჟან-კარაკლისი—40 კილომეტრი.

რესპუბლიკანურ ეკონომიურ საბჭოებს დაევალა ცვლილებები შეიტანონ რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების სიაში, და აგრეთვე შეადგინონ ადგილობრივ მნიშვნელობის გზების სია.

საგზაო ბეგარა

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მიიღო პროექტი დადგენილებისა შრომის საგზაო ბეგარის შესახებ ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის რედაქციით. ა.-კ. საგეგმო კომისიის პროექტში ა.-კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ შეიტანა ზოგიერთი დამატებები.

პირველ მუხლს დაემატა ორი შენიშვნა, რომლების თანახმად დადგენილება მოსახლეობის შრომის საგზაო ბეგარის წესით გამოწვევის შესახებ რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების გამოცემული უნდა იქნეს სამაზრო აღმასკომის ან და სარაიონო და სათემო აღმასკომების პლენუმების მიერ.

მათ შეუძლიათ ასეთივე დადგენილებები გამოსცენ საერთო საკავშირო მნიშვნელობის გზების შესახებაც, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს დადგენილებები დამტკიცებული უნდა იქნეს რესპუბლიკანურ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების მიერ.

პროექტი შრომის საგზაო ბეგარის შესახებ დასამტკიცებლად გადაეცა ა.-კ. ცაკს.

აბრეშუმის მოსავალი

მიმდინარე წელში აბრეშუმის დამზადების კამპანიამ ასეთი შედეგები გამოიღო: ქუთაისის მაზრაში დამზადებულია 634.791 კილო, ზუგდიდის მაზრაში—363.148 კილო; ოზურგეთის მაზრაში—329.140 კილო; სენაკის მაზრაში—268.966 კილო; თელავის და სიღნაღის მაზრებში—83.466 კილო; შორაპნის მაზრაში—23.303 კილო; თბილისის, გორის და დუშეთის მაზრებში—6.245 კილო; წრევანდელი მოსავალი შარშანდელთან შედარებით ნაკლებია 15 პროც., რაც აიხსნება აბრეშუმის ჭიის არა საკმარისი გამოკვებით, ტემპერატურის ხშირი ცვალებადობისა და წვიმიანი ამინდების გამო. დაზიანებულია თუთის ხეების დიდი რაოდენობა.

სატყეო კულტურა

სატყეო კულტურის გავრცელების მუშაობის გამოკვლევამ დუშეთის მაზრაში გამოარკვია, რომ ქალაქ დუშეთის ახლოს გაშენებულია ორი სატყეო სანერგე, სივრცით ნახევარი დესეტინა, რომელზედაც დათესილია ცაცხვი, ნაძვი, აკაცია და სხ. ჯიშები. ნათესები კარგ შედეგებს იძლევა. დუშეთის ქვედა რაიონში გამოყოფილია შვიდი დესეტინა ნაკვეთი, რომელზედაც დათესილია მუხა. კობი-ყაზბეგის რაიონი წარმოადგენს ალპიურ ველებს. 50 ვერსის მანძილზე აქ სრულებით არ არის ტყეები. ამ რაიონში ტყეების გაშენების მიზნით დუშეთის სატყეომ სოფის ახლოს მოაწყო საცდელი სატყეო სანერგე, სადაც დათესილია ცაცხვი, ნაძვი, და სხვა ჯიშები. ნათესებმა კარგი შედეგები გამოიღო. ახლო მომავალში განზრახულია ტყეების გაშენება მთელ ამ რაიონში.

ბ ა მ ბ ა

ა.-კ. საბამბო კომიტეტმა, ნედლი ბამბის გაწმენდის რაციონალიზაციის მიზნით, დაადგინა 1927-28 წელში ნედლი ბამბის გაწმენდა აზარმიის ყარიაგის და შულავერის ქარხნებში; ყარიაგის ქარხანაში გაწმენდილი იქნება კახეთში დამზადებული ნედლი ბამბა, შულავერის ქარხანაში კი—ბორჩალოს მაზრაში დამზადებული ბამბა.

დასავლეთ საქართველოში დამზადებული ბამბა გაწმენდილი იქნება ქუთაისის ქარხანაში. ამასთანავე ყარიაგის ბამბის საწმენდი ქარხანა გადაყვანილი სარეზერვო ქარხნების რიგში, იმ დრომდე, სანამ გაფართოებული არ იქნება ამ რაიონებში ბამბის ნათესების სივრცე.

კ. მაყაშვილის ცხედარის ჩამოსვენება თბილისში

გუშინ, ნაშუადღევის პირველ საათზე წაღვერიდან თბილისში ჩამოასვენეს პოეტი კოტე მაყაშვილი. ცხედარს სადგურზე შეხვდენ მწერლები, პოეტები, რეჟისორები, განსვენებულის პირადი მეგობრები, ნათესავები და მრავალი მოქალაქენი.

სრულ ორ საათზე პოეტის ნეშტი სადგურიდან წაასვენეს ხელოვანთა სასახლეში. საღამოს 7 საათზე გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი.

პოეტის ავადმყოფობა

გასული წლის ოქტომბრამდე პოეტ კოტე მაყაშვილის ავადმყოფობა გარეგნულად თითქოს შეუმჩნეველი და მსუბუქი იყო. 24 ოქტომბერს კი ავადმყოფის მდგომარეობა მოულოდნელად შეიცვალა. მოიწვიეს პროფესორი მაჭავარიანი. მისი დასკვნით, ავადმყოფობა იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ იმავე დღესვე საჭირო იყო ოპერაციის გაკეთება. კოტე მაყაშვილი წაიყვანეს საავადმყოფოში. ერთი თვის შემდეგ გაუკეთეს ბრმა ნაწლავის ოპერაცია. არავინ არ ელოდა მის გადარჩენას, მაგრამ კარგმა მოვლამ და მკურნალობამ შეუნარჩუნა მას სიცოცხლე.

ოპერაციის შემდეგ კოტე მაყაშვილი ნახევრად ავადმყოფი დადიოდა სამსახურში, გრძნობდა ტკივილებს, მაგრამ მაინც განაგრძობდა მუშაობას.

მიმდინარე წლის 15 მარტს ავადმყოფობამ ისევ იჩინა თავი. კოტე გაცივდა და იმავე დღესვე ჩავარდა ლოგინად. პირველად ექიმებმა მისი ავადმყოფობა მუცლის სახადით სცნეს. შემდეგ პარატიფათ, ჯირკვლების გადიდებათ, ბოლოს კი, მშრალ პლევრიტად. შემდეგ პოეტის ავადმყოფობა უფრო სამძიმო შეიქნა. მარჯვენა ფილტვი დაუსუსტდა და შიგ წყალი ჩაუდგა.

მიმდინარე წლის 20 ივნისს, ექიმების რჩევით პოეტი წაღვერში წაიყვანეს. მიუხედავად ამ ღონისძიებისა, მისი მდგომარეობა არ შეიცვალა. არავითარი გაუმჯობესება ავადმყოფს არ ეტყობოდა. პირიქით, ყოველდღიურად 38—39,6 გრადუსი სიცხე ჰქონდა. ავადმყოფს ექიმობდა: **პროფ. ალადაშვილი, მიქელაძე და ჯანდიერი.**

სიკვდილის წინა დღით

განსვენებული კოტე მაყაშვილი კარგად გრძნობდა თავის სიცოცხლის უკანასკნელი წუთების მოახლოებას. სიკვდილის წინა დღით ცოლსა და შვილებს უთხრა: „ხვალ გადაწყდება ჩემი ბედი"-ო.

ორშაბათს, 29 აგვისტოს, საღამოს 9 ნახ. საათზე მართლაც უეცრად ხმა ჩაუწყდა, მოძრაობა დაეკარგა, ხელებმა კანკალი დაუწყო. ბოლოს გონებაც დაეკარგა. შეეცადნენ წამლებით მობრუნებას. ორი საათი კიდევ იცოცხლა.

მაგრამ არაფერმა უშველა... განსვენებულს დარჩა ცოლი და სამი შვილი; ერთი ექვსი წლის ქალი, ერთიც 21 წლისა და ერთი ვაჟი 24 წლისა.

წაღვერში

კოტე მაყაშვილის გარდაცვალების ამბავი სწრაფად გავრცელდა მთელ წაღვერში. განსვენებულის ბინაზე მრავალ საზოგადოებამ მოიყარა თავი. ყველა სწუხდა პოეტისა და პატიოსან მოქალაქის დაკარგვას.

პოეტის ნეშტის თბილისში ჩამოსასვენებლად შესდგა საორგანიზაციო კომისია,—გრიშაშვილისა, ვ. რუხაძისა, ს. თავაძისა და სხვათა შემადგენლობით.

30 აგვისტოს, ღამის 12 საათზე ცხედარი მატარებლის ... დაასვენეს თბილისში ჩამოსასვენებლად. ცხედარს თბილისში ჩამოყვა: განსვენებულის ცოლი, შვილები, ნათესავები და მწერალთა კავშირის დელეგაცია.

მწერალთა კავშირის დელეგაცია

კოტე მაყაშვილის ცხედარის შესახვედრად თბილისიდან ხაშურში გაგზავნილი იყო მწერალთა კავშირის დელეგაცია, დელეგაციაში შედიოდნენ: ლეო ქიაჩელი, ვახტანგ კოტეტიშვილი, დ. შენგელაია, პაოლო იაშვილი, და ბეს. ჟღენტი. დელეგაცია ცხედარს შეხვდა ქ. გორში.

დაკრძალვის შესახებ

გუშინ, საღამოს 8 საათზე, სამოქალაქო პანაშვიდის გადახდის შემდეგ, შესდგა პოეტ კოტე მაყაშვილის ნეშტის დამკრძალავი კომისიის სხდომა. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოცხადებული იყო, რომ პოეტ კოტე მაყაშვილის ნეშტის დაკრძალვა განზრახულია ხელოვნების სასახლის ბაღში. კომისიამ ხელმეორედ განიხილა ეს საკითხი და გადასწყვიტა **ნეშტი დაკრძალულ იქნეს დიდუბის პანთეონში, პარასკევს, 2 სექტემბერს, ნაშუადღევს 4 ნახ. საათზე.**

ცერემონიალური კომისია

დამკრძალავ კომისიამ თავის წევრებიდან გამოჰყო ცერემონიალური კომისია, კომისიაში შედიან: იაკობ ნიკოლაძე, პაოლო იაშვილი, არისტო ჭუმბაძე, სანდრო შანშიაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი და პეტრე ქავთარაძე.

დელეგაცია მთავრობასთან

განსვენებულის ოჯახის უზრუნველსაყოფად, დამკრძალავმა კომისიამ აირჩია დელეგაცია დავით კლდიაშვილისა, ვასილ ბარნოვისა და ნიკო ნიკოლაძის შემადგენლობით, რომელთაც დაევალა სთხოვონ მთავრობას, რათა უკანასკნელმა უზრუნველყოს განსვენებულის ოჯახი.

კოტე მაყაშვილის სახელობის ქუჩა

დამკრძალავმა კომისიამ დაადგინა აგრეთვე, რომ შუამდგომლობა იქნას აღძრული თბილისის აღმასკომის წინაშე, რათა არაგვის ქუჩას, სადაც განსვენებული სცხოვრობდა, დაერქვას პოეტ კოტე მაყაშვილის სახელობის ქუჩა.

განსვენებულის ნაწარმოებების გამოცემა

რამოდენიმე თვის წინად, საქართველოს სახ. გამომცემლობასთან მოლაპარაკება სწარმოებდა განსვენებულის პირველი ლექსების კრებულის „ლირიკის" გამოცემის შესახებ. მოლაპარაკება დროებით შეწყდა, დამკრძალავმა კომისიამ დაადგინა — ეთხოვოს „სახელგამს" გამოსცეს აღნიშნული კრებული და მისი სხვა ნაწარმოებები.

დეპეშები

გუშინ, ღამის 10 საათზე, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა და ხელოვნების მთავარ კომიტეტმა პოეტ კოტე მაყაშვილის გარდაცვალების შესახებ დაგზავნა დეპეშები პარიზში, ბერლინში და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. პარიზში დეპეშა გაეგზავნა განათლების სახ. კომისარს დავით კანდელაკს, ბერლინში გრიგოლ რობაქიძეს, მოსკოვში: საბჭოთა მწერლების ფედერაციას, მცირე თეატრის მსახიობ იუჟინს, ამ.-კ. მთავრობის წარმომადგენლობას, სამხატვრო მეცნიერების სახელ. აკადემიას, ლენინგრადში — სამეცნიერო აკადემიის მდივანს ოლდენბურგს. ბაქოში და ერევანში — მწერალთა ასოციაციებს.

ქ უ თ ა ი ს ი

საშენი ქვის მდიდარი მადანი

სახალხო კომისართა საბჭომ დააკმაყოფილა ქუთაისის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა, ქელარის ქვასატეხის მის განკარგულებაში გადაცემის შესახებ.

ხსენებული ქვასატეხი (საშენი ქვის მადანი) მდებარეობს ჭოგნარის თემში, ქუთაისიდან 5—6 ვერსის მანძილზე ცნობილია თავისი საუკეთესო ღირსების საშენი მასალით: თეთრი, ლურჯი და წითელი ქვით.

ქვის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ის გასათლელად, დასამუშავებლად რბილია, შენობაში კი მაგარი და გამძლე. მასთან ქვის ფენები, ან ბუდობები ნიადაგის ზედაპირიდანვე იწყება და მიდის საკმაოდ ღრმად, სადაც ქვის ღირსება თანდათანობით უკეთესდება.

ამ ქვასატეხის ნაწილი, დაახლოვებით 60 დესეტინა, წინად ქალაქის თვითმმართველობის საკუთრებას შეადგენდა; დანარჩენი კი სახაზინო იყო და იჯარით ჰქონდათ აღებული მდ. ანანოვებს. ქალაქის თვითმართველობაც, თავის მხრით ამ ქვასატეხს იჯარით აძლევდა ხან იმავე მდ. ანანოვებს და ხანაც კერძო პირთ. მაგარი იჯარით გაცემის შედეგად მოჰყვა ის, რომ მოიჯარადრეებმა პირდაპირ გაანადგურეს ქვასატეხი. ისინი იმას კი არ ცდილობდნენ, რომ მუშაობა რაციონალურად ეწარმოებინათ, არამედ, რაც შეიძლებოდა, ნაკლები ხარჯის გაწევით მეტი ქვა მოეტეხათ. ამის გამო ქვას სტეხდენ ზედა ფენებში, 1—1½ საჟენის სიმაღლეზე, სადაც საჭირო არ იყო კარიერის ღრმად გაჭრა და მეტი შრომისა და ხარჯის გაწევა. მოტეხილი ქვის „გაკოპიტება" და „გაკეთებაც" ხდებოდა იქვე, კარიერში, სადაც იყრებოდა ნატეხი ქვა და ავსებდა კარიერს. ამას ემატებოდა წყალი, რომელიც წვიმის დროს ბლომად ჩადიოდა კარიერში, რაც სრულიად შეუძლებელს ჰქმნიდა მუშაობის გაგრძელებას, თუ წყალს ვედრებით არ ამოასხამდენ. ამას კი ძლიერ დიდი შრომა სჭირდებოდა. ამიტომ მოიჯარადრეები ამჯობინებდენ ახალი კარიერების გაეხსნათ, ვიდრე ძველებიდან წყალი ამოესხათ და ნაყარი ქვები გაეწმინდათ.

ასეთ მუშაობას შედეგად მოჰყვა ის, რომ ქელარის ქვასატეხის ზედაპირი მთლიად გადითხარა, გადაიჩიჩქნა და ... ნატეხი ქვით სავსე ორმოები. ... წლის წინად ქალაქის თვითმართველობამ თვითონ განიზრახა ხსენებული ქვასატეხის წარმოება; ფიქრობდა მის რაციონალურად მოწყობას, მაგრამ, უსახსრობის გამო, ეს ვერ შესძლო, და სამიოდ წლის უნაყოფო ცდის შემდეგ ქვასატეხის ისევ იჯარით გაცემა დაიწყო.

რადგანაც ამჟამად სამაზრო აღმასკომი ფართო მასშტაბით შეუდგა ქალაქის მშენებლობას (წყალსადენი, ახალი შენობები, ფილიალები და სხ.), მასთან ქუთაისში საფუძველი ჩაეყარა ისეთ წამოწყებებს, როგორიცაა: რიონჰესი, ბარიტის ქარხანა, აბრეშუმის სახვევი ქარხანა და სხ., რისთვისაც დიდძალი ქვის საშენი მასალა იქნება საჭირო,—ხსენებული ქვასატეხის აღმასკომის ხელში გადასვლა სწორედ დროული და მიზანშეწონილია.

მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა აღმასკომმა ახლავე მიიღოს ზომები ქვასატეხში მუშაობის ისეთი პირობების შესაქმნელად, რაც გაადვილებს ქვის მოტეხა-დამუშავებას და გადმოტანას. ეს კი, თავის მხრივ, გააიაფებს ქვას და მოუპოვებს მას ბაზარს არამც თუ ქუთაისსა და საზოგადოდ, საქართველოში, მთელ ამიერ-კავკასიაში.

მხოლოდ, თუ ქვასატეხს, ისე რაციონალურად მოეწყობა, როგორც ამას ტეხნიკა და სამთო მრეწველობის კანონები მოითხოვს, დიდი დრო და ხარჯი დასჭირდება. ამ შემთხვევაში დროებით უნდა მიღებული იქნეს პრიმიტიული ზომები მაინც, უნდა იქნეს მიღებული: უწინარეს ყოვლისა, უნდა გაკეთდეს ქუთაისიდან ქვასატეხისაკენ მიმავალი მოკლე საურმე გზა, სიგრძით 5-6 ვერსი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად ქუთაისში ჩამოტანა ხანდისხან (ცუდ ამინდში) უფრო მეტად ჯდება, ვიდრე თვით დამუშავებულ ქვის ... ადგილობრივ. ამ გზის გასაკეთებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ის აურაცხელი ნატეხი ქვის ნაწილი, რომლებიც ქელარის ტერიტორიაზე ყრია. გზის გასაკეთებლად საჭირო მიწის სამუშაოსა და ნატეხი ქვის ურმით გადატანაში შეიძლება მიიღონ მონაწილეობა გზის გაკეთებით მეტად დაინტერესებულმა ჭოგნარის თემის მცხოვრებლებმა. ამავე სამუშაოზე შეიძლება გაწვეულ იქნენ სხვა თემის მცხოვრებლებიც.

კარიერებში მუშაობა უნდა სწარმოებდეს საფეხურებით (კიბისებურად), რაც გაადვილებს, ერთი მხრით, კარიერში სამუშაოდ ღრმად ჩასვლას და მეორე მხრით—მოტეხილი ქვის ზევით ამოტანას.

უნდა მიღებულ იქნეს ზომები, რომ კარიერებში ზევიდან წყალი არ ჩადიოდეს. ამისათვის საჭიროა იქნება—კარიერის გარშემო გაუკეთდეს თხრილი, რომელიც აიცდენს მას ღვარად მომდგარ წყალს; წვიმისა და მზისგან დასაცავად კი შეიძლება კარიერს გაუკეთდეს ბრეზენტის სახურავი, რაც დიდ ხარჯს არ გამოიწვევს და მასთან საჭიროების დროს სრულიად თავისუფლად შეიძლება ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა.

ეს პრიმიტიული ზომებიც, ჩვენის ფიქრით, შესამჩნევად გაადვილებს ქვის დამუშავება-გადმოტანას, გააიაფებს საშენ მასალას და ხელს შეუწყობს ქალაქის მშენებლობას.

შემდეგისათვის კი, რა თქმა უნდა საქმე რაციონალურად უნდა მოეწყოს და ქვა დამზადდეს არა მარტო ადგილობრივი (ქუთაისის) საჭიროებისათვის, არამედ სხვაგან გასატანადაც.

დონ-ვალინი.

ქ რ ო ნ ი კ ა

წყალსადენი

ამჟამად სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა წყალსადენის გასაყვანად.

ფასების დაკლება

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ნაწარმოებზე ფასები დაკლებული იქნა 20 პროცენტით.

ახალი საავადმყოფო

ბაღდადში ამ დღეებში გაიხსნება ახალი საავადმყოფო.

გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები

ქუთაისის მაზრაში წელს გაიხსნება გლეხთა ახალგაზრდობის 5 ახალი სკოლა.

ქალთა შორის მომუშავეთა თათბირი

30 აგვისტოს საღამოს სხდომა

როგორ უნდა სწარმოებდეს მასიური მუშაობა

30 აგვისტოს საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. შავერდოვას მოხსენება მასიურ მუშაობის შესახებ.

ჩვენ ქალთა შორის მუშაობაში არ გვაქვს ცალკე ამოცანები, — ამბობს მომხსენებელი, ეს მუშაობა მთლიანად დაკავშირებულია პარტიის ამოცანებთან.

ჩვენ თვითეულ საკითხის გარჩევის დროს (მაგ. წარმოების რაციონალიზაცია, სოფლის მეურნეობის განვითარება) უნდა ვეცადოთ რომ მას არ მივცეთ ლექციური ხასიათი, არამედ საკითხი გავშალოთ გასაგები და საინტერესო ენით, რათა მსმენელებში ცალკე საკითხებზე გამოვიწვიოთ ინტერესი. მასიურ მუშაობას ქალთა შორის მარტო ქალთა ორგანიზატორი არ ატარებს. მას ეხმარებიან საბჭოთა და პროფესიონალურ კოოპერატიული ორგანოებიც (პოლიტგანი, გლეხკომი, და სხვა).

გადადის რა თვით ქალთა შორის მომუშავე ორგანიზატორების მომზადების საკითხზე, მომხსენებელი ამბობს, ქალთა ორგანიზატორებმა უნდა იცოდენ პარტიის ყველა დადგენილებანი და უნდა ერკვეოდენ პარტიის ... საკითხებში. ქალთა ორგანიზ. უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს თემკომთან და უნდა მუშაობდეს მისი ხელმძღვანელობის ქვეშ.

მასიურ მუშაობის ერთი სახეს სოფლად წარმოადგენს კლუბები, ქოხსამკითხველო, და გლეხქალთა კუთხეები, მაგრამ ჩვენს სოფლის სინამდვილეში გლეხქალის კუთხეში დაინახავთ მხოლოდ დროშას და რამოდენიმე წიგნს.

ფართო გლეხ ქალთა მასების შემოკრების მიზნით დასაშვებია საერთო კრებები და კონფერენციები. მაგრამ ამას ყველგან თავისებურად ატარებენ, ზოგჯერ კრებას იწვევენ იძულებით—ეს დაუშვებელია. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნება რამოდენიმე გლეხ ქალთა ჯგუფთან დაახლოვება და მათი დახმარებით დანარჩენ ქალთა შორის მუშაობის წარმოება.

ამასთანავე საჭიროა რათა საერთო კრებებზე ისმებოდეს ისეთი საკითხები რომლებიც მათ აინტერესებს და ამავე დროს კრებების წესიერად ჩატარებისათვის წინასწარ უნდა შევარჩიოთ თავმჯდომარეც.

ქალთა საერთო კრებები არ უნდა ატარებდეს მიტინგის ხასიათს და მან არ უნდა მიიღოს შაბლონიური რეზოლიუციები, არამედ აუცილებელია მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებიც გატარებას შევძლებთ.

რაც შეეხება საკლუბო მუშაობას საჭიროა იგი მთლიანად დაუკავშირდეს საერთო მუშაობას და მეტი ყურადღება მიექცეთ ქალთა კუთხეებს და ქალთა კონსულტაციებს. ამასთანავე მასიურ აგროპროპაგანდისათვის საჭიროა გამოვიყენოთ აგრონომიული ძალები.

მომავალში საბჭოს სექციების მუშაობაში უნდა ჩავაბათ, როგორც დელეგატი ქალები, ისე დანარჩენი ქალებიც. რაც შეეხება კოოპერაციაში მუშაობას, ის არ უნდა ამოიწუროს ფორმალურად წევრობით, არამედ საჭიროა ქალთა მასას გავაცნოთ კოოპერაციის მიზანიც და ამით უფრო დავაინტერესოთ. უნდა შევქმნათ აგრეთვე შეღავათიანი პირობები ღარიბ ქალთა კოოპერაციაში შესასვლელად.

დასასრულ, შეეხო ქალთა გასამხედროების საქმეს და დასძინა—მშრომელ ქალს უნდა გავაცნოთ მისი როლი თავდაცვის საქმეში, ამ მიზნით უნდა ჩამოყალიბდეს სამხ. სანიტარული წრეები. ამხ. შავერდოვას სიტყვით დაიხურა 30 აგვისტოს საღამოს სხდომა.

31 აგვისტოს დილის სხდომა

გუშინ დილის სხდომაზე გაიხსნა კამათი ამხ. შავერდოვას მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ჯანიშვილმა, ინჯკარველმა, სტურუამ, მიქაშავიძემ, კვალიშვილმა, კარტოზიამ, ადამიძემ და სხვებმა.** კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ პარტ-მიმაგრებულ ამხანაგთა სისუსტეს და მუშაობის გამოცოცხლებისათვის საბჭოს წევრ ქალთა ... ჩატარებას.

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. შავერდოვა, თავის საბოლოო სიტყვაში მან აღნიშნა, რომ „ქალთა წრეები", როგორც სისტემა ქალთა შორის სამუშაოდ, ზედმეტია, და უნდა ვერიდოთ მას.

მასიურ მუშაობის გამოცოცხლების საქმეში საპატიო ადგილი უკავია პარტხელმძღვანელობის გამაგრებას, ამაზე უნდა სთქვას რაიმე ჩვენმა თათბირმა, რათა მიღებული რეზოლიუცია ჩვენს მიერ გადატანილი იქნას პარტიის ქვედა აქტივში.

დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ უახლოეს პარტ-კონფერენციაზე საჭიროა აქტიური მონაწილეობის მიღება პარტხელმძღვანელობის და ქალთა დაწინაურების საკითხის მოგვარებაში.

დასასრულ არჩეული იქნა კომისია, რომელსაც დაევალა რეზოლიუციის დამუშავება ამხ. შავერდოვას მოხსენების გარშემო. ამავე სხდომაზე მოსმენილი იქნა ქ. ქ. მოხსენება ამხ. მ. გობეჩიასი, საღამოს სხდომაზე კი გაიხსნა კამათი ამხ. მ. გობეჩიას მოხსენების გარშემო.

ქრონიკა

ამხ. რუბაკინის ჩამოსვლა

გუშინ, თბილისში ჩამოვიდა რუსეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობასთან პარიზში — ამხ. ა. ნ. რუბაკინი.

ცეკავშირის ინსტრუქტორთა ყრილობა

10 სექტემბერს თბილისში გაიხსნება ცეკავშირის ინსტრუქტორთა ყრილობა.

სტატისტიკოსების თათბირი

სექტემბრის პირველ რიცხვებში თბილისში შესდგება ყველა მაზრების და ავტონომიური ერთეულების რაიონულ სტატისტიკოსების კონფერენცია.

ზაქსელმაში

ამიერ - კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით შაბიამნის დამზადების საქმე გადაეცა „ზაქსელმაშს".

თბილისის აღმასკომში

◆ **ბაზრის გადაკეთება.** აღმასკომმა დაამტკიცა ყოფ. ჯარისკაცთა ბაზრის გადაკეთების პროექტი, გადაკეთებას შეუდგებიან წრეულს.

◆ **ახალგაზრდობის საერთაშორისო** დღის ჩასატარებლად აღმასკომმა გადასდო 1.200 მანეთი.

◆ **პოლიტგანათლება.** ახალწვეულთა შესაკრებ პუნქტებზე საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის საწარმოებლად პოლიტგანს გადაეცა 600 მანეთი.

◆ **დუშმანისის თემაღმასკომს,** თემის საჭიროებისათვის გადაეცა 1.500 მანეთი.

◆ **ახალი აბანოები.** უახლოეს 5 წლის განმავლობაში ახალ აბანოების ასაგებათ აღმასკომი დახარჯავს 253.000 მანეთს.

◆ **მუშის ქარხანა.** აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება შეუდგა მუშის ქარხნის აგებას.

ჯანსახკომში

◆ **ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის** დირექტორი პროფ. ვირსალაძე ამ დღეებში სამეცნიერო მიზნით მიემგზავრება საზღვარგარეთ.

◆ **პროფსნეულებათა შესწავლა.** ჯანსახკომის პროფსნეულებათა შემსწავლელი ინსტიტუტი ამჟამად იკვლევს თამბაქოს ქარხნებში მომუშავეთა ჯანმრთელობას და მათი დაავადების მიზეზებს.

ფ. - ტ. კომისარიატში

◆ **ტელეფონის ახალი მაგისტრალი.** დამთავრდა ტელეფონის ახალი მაგისტრალის გაყვანა თბილისი - ზესტაფონს და ზესტაფონ ბათომს შუა.

◆ **ტელეგრაფი.** სამხედრო ქუჩაზე არსებული ტელეგრაფი ახლო ხანში გადატანილი იქნება ფოსტის მთავარ კანტორაში (პლეხანოვის პროსპექტზე).

სხვა და სხვა

◆ **საკურორტო სეზონი** ცემსა და წაღვერში დასრულდება 15 სექტემბერს.

◆ **კურსების გახსნა.** ამ დღეებში თბილისში გაიხსნება საბინაო - კოოპერატიული ამხანაგობების ხელმძღვანელთა მოსამზადებელი მოკლე ვადიანი კურსები.

◆ **ავია - ლატარია.** დღემდე მთელ საქართველოში გავრცელდა მეორე ავია - ლატარიის 10.000 ბილეთი.

◆ **შოფერების შემოწმება.** ა.-კ. შრ. სახ. კომისარიატმა დაადგინა სისტემატიურად მოახდინოს შოფერების ფსიქო - ნერვიული შემოწმება.

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ი

რეციდივისტის დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტი გიორგი ჩატკერაშვილი.

◆ **ცენტრალურ ბაზარში** 30 აგვ. ალექსანდრე ოვანესოვს ჯიბიდან ამოაცალეს საფულე 96 მანეთით და 5 ბრილიანტის ქვით.

◆ **ქურდობა.** 30 აგვისტოს ყაზბეგის ქ. 9 გაქურდეს პეტრე ქეშელავას ბინა.

◆ **დაჭრა.** დესიმონოვის მოედანზე 30 აგვისტოს მოქ. კულაგინმა დანით მძიმედ დასჭრა ემელიანე სამოდურქოვი. დამნაშავე შეიპყრეს.

◆ **ქურდობისათვის** 30 აგვისტოს დააპატიმრეს ვაგერსანკ ეართანიანი.

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

— **„ი. დავითაშვილი და მისი დრო".** პოლიტგანათლების მთავარმმართველობამ მიიღო გამოსაცემად ალ. გარსევანიშვილის შრომა, „ი. დავითაშვილი და მისი დრო".

— **მომღერალ ჩიროვის გასტროლები.** ახლო ხანში თბილისში ჩამოვა მომღერალი (ტენორი) რ. ჩიროვი.

— **ვანო სარაჯიშვილის სახელობის ბაღში** ამ დღეებში დაიდგმება ხმამაღლა მოლაპარაკე რადიო - აპარატი.

— **ახალი კინო.** სახკინმრეწვმა გადასწყვიტა კინო „დარბაზის" ადგილზე აგოს ახალი დიდი კინო - თეატრი.

რკინისგზებზე

თბილისის კვანძის ზედმეტად დატვირთვა

უკანასკნელ დღეებში ა.-კ. რკ. გზ. თბილისის კვანძი მეტის-მეტად დატვირთულია რუსეთიდან მოსულ ტვირთებით.

უმეტესად აქ თავი მოიყარა საამშენებლო მასალამ, რომელიც იგზავნება სომხეთში.

30 აგვისტოს თბილისში და ნავთლუღში იდგა 500 დატვირთული ვაგონი. კვანძის განტვირთვისთვის მიღებულია სასწრაფო ზომები. სომხეთისაკენ გაგზავნილი იქნება დამატებითი საქონლის მატარებლები.

ქუთაისის მატარებლის გაუქმება

მგზავრთა სიმცირის გამო ქუთაის - თბილისის ხაზზე 1 სექტემბრიდან გაუქმებულია მატ. № 15—16, რომელიც დადიოდა ამ მიმართულებით.

ყრილობაზე

საბჭოთა კავშირის რკ. გზების ექსპლოატაციის განყოფილებათა უფროსების მე-24 ყრილობაზე, რომელიც იხსნება დღეს მოსკოვში, ა.-კ. გადაზიდვის მომწესრიგებელ კომიტეტიდან გაემგზავრა ინჟ. კამსარაკანი.

სასამართლო

გ. არუთინოვის საქმე

მოქ. გ. არუთინოვს ჰქონდა სავაჭრო დუქანი ქაზეთის მოედანზე. გასულ წელს მას ვალები დაედო და გადახდა ვერ შესძლო. ამიტომ მან განიზრახა შეეყვანა სავაჭროში ვინმე ამხანაგი და გამოერთმია მისთვის ფული. ამ მიზნით მან შემართა ვაჭარ პოპოვიანცს, რომელიც დათანხმდა და შეიტანა მაღაზიაში 400 მანეთი. ამ ფულით არუთინოვმა გადიხადა ვალები.

გადიოდა ხანი. პოპოვიანცი უკმაყოფილო იყო ვაჭრობით. ბოლოს მან უკანვე მოსთხოვა 400 მანეთი არუთინოვს. ამ საქმეზე შემდეგრამა სასამართლომ დაავალა არუთინოვს 400 მანეთის გადახდა და თუ ის ამას ვერ შესძლებდა, სავაჭრო უნდა დარჩენოდა პოპოვიანცს.

ასეც მოხდა. არუთინოვმა ფული ვერ გადაიხადა და დუქანი დარჩა მის ამხანაგს.

პირველ ხანებში არუთინოვი თავის ყოფილ დუქანში ნოქრად დადგა, მაგრამ პოპოვიანცმა იგი დაითხოვა ამ თანამდებობიდანაც.

გაბრაზებულმა არუთინოვმა რევოლვერით მოჰკლა პოპოვიანცი.

მკვლელი დააპატიმრეს.

არუთინოვის საქმე გუშინ გაირჩა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში. თავმჯდომარეობდა ამხ. მ. ლაშხი. ბრალს სდებდა პროკურორი ს. ქავთარაძე, იცავდა დამცველთა კოლეგიის წევრი მ. ღვამიჩავა.

სასამართლომ არუთინოვი დამნაშავედ სცნო პოპოვიანცის წინასწარი განზრახვით მოკვლაში, რისთვისაც მიუსაჯა მას **8 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.**

ბნელით მოცული მკვლელობა

ა. წ. 26 აპრილს, მესამე სამილიციო კომისარიატში მიიღეს ცნობა, რომ ტროცკის ქ. (№ 10-ში) ბოქლომით დაკეტილ ოთახში ნაპოვნია მოკლული კაცის გვამი. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდენ სისხლის სამართლის მილიციის და პროკურატურის წარმომადგენლები. ზეიკალის საშუალებით გაგლეს ოთახის კარი.

მოკლული აღმოჩნდა ივანე კულიშოვი.

მოკლულის ოთახში იპოვეს 7 ცალი თამასუქი.

საგამომძიებლო ორგანო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბოროტმოქმედება ჩაიდინეს მამა-შვილმა — მინა და პავლე ნასარიძეებმა.

ნასარიძეების საქმე გუშინ გაირჩა ოლქის სასამართლოში ამხ. **ვ. ბურკაძის** თავმჯდომარეობით. ბრალს სდებდა პროკურორი **გრიგოლია**, ბრალდებულებს იცავდა დამცველთა კოლეგიის წევრი **ჯაფარიძე.**

სასამართლოში ბრალდებულებმა თავი არ სცნეს დამნაშავედ.

მოწმეების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ მოკლულსა და ბრალდებულებს შორის კარგი განწყობილება იყო. მართალია, მ. ნასარიძეს ვალი ჰქონდა კულიშოვის, მაგრამ უკანასკნელი მას არ სთხოვდა ფულს.

ადგილობრივი დათვალიერებითაც დადასტურდა ბრალდების სისუსტე.

პროკურორმა გრიგოლიამ უარი განაცხადა ბრალდებაზე. დამცველმა ჯაფარიძემ შუამდგომლობა აღძრა სასამართლოს წინაშე, ბრალდებულების სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ.

სასამართლომ 3 საათის თათბირის შემდეგ **პ. და მ. ნასარიძე უდანაშაულოთ სცნო და გაამართლა.**

ცოლი — ქმრის მოკვლის წამქეზებელი

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ი. ბერიშვილის თავმჯდომარეობით და პროკურორ ლ. ჯანჯღავას მონაწილეობით ირჩეოდა ანდრო სამაყაშვილის, ბუდიან ზურაბიშვილის, გიორგი აბლოვის და ლონგინოზ ჩათალაშვილის საქმე.

როგორც ვსწერდით, ზემოთ ჩამოთვლილ პირებს ბრალდებოდათ მოქ. იოსებ კობულაშვილის მოკვლა შურისძიების ნიადაგზე.

სასამართლოში გამოირკვა, რომ მკვლელობა მომხდარა ევა ქობულაშვილის (მოკლულის ცოლი) ინიციატივით. **ამის გამო სასამართლომ ევა კობულაშვილი მისცა პასუხისგებაში და საქმე დამატებითი გამოძიების მოსახდენად გადაეცა გამომძიებელს.**

შრომის შემნახველი სალაროები

საქართველოში 1 სექტემბრისათვის ითვლება 229 შრომის შემნახველი სალარო. სალაროებში დღითი-დღე იზრდება როგორც ანაბარების ჯამი, აგრეთვე მეანაბარეთა რაოდენობა. ამის საილუსტრაციოთ საკმარისია შემდეგი ცნობების მოყვანა: მიუხედავათ ზაფხულის სეზონისა, როდესაც მუშა-მოსამსახურეთა მეტი წილი დასასვენებლად არის გასული ქალაქიდან, ივლისში ანაბარების სახით შრომის შემნახველ სალაროებში შემოვიდა — 1.281.730 მან., ამავე თვეში გაიტანეს — 1.194.599 მან., 1 აგვისტოსათვის დარჩა 1.169.641 მან.

ამრიგად ივლისში სალაროებში ანაბარების სახით შემოვიდა 87.131 მან. მეტი, ვიდრე გაიტანეს. ეს იმის დამამტკიცებელია, რომ მუშა-მოსამსახურეთა მასა თან და თან უახლოვდება და მეტის ნდობით ეპყრობა შრომის შემნახველ სალაროებს.

1 სექტემბრიდან სალაროები შეუდგებიან მე-3-ე საგლეხო სესხის და 12 პროც. შინაურ სესხის ობლიგაციების რეალიზაციას.

ახლო მომავალში ჩატარებული იქნება შრომის შემნახველ სალაროების ორ კვირეული. ორ კვირეულის მიზანია გააცნოს მუშა-მოსამსახურეთა და განსაკუთრებით გლეხობის ფართო მასას შრომის სალაროების მნიშვნელობა.

ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში გაჩაღებულია უდიდესი სააღმშენებლო მუშაობა. კეთდება ახალი გზა-ტკეცილები, წყალსადენები, სარწყავი არხები, ელსადგურები და სხვა.

ყოველი პატიოსანი მოქალაქე ვალდებულია ხელი შეუწყოს ამ დიდ სააღმშენებლო მუშაობას. თუგინდ მცირეოდენი თავისუფალი თანხა არ უნდა დარჩეს უსარგებლოთ. თავისუფალი თანხის შრომის სალაროში მოთავსებით მოქალაქე ხელს შეუწყობს აღმშენებლობას, ვინაიდან სალაროში შეტანილი თანხა გამოყენებული იქნება აღმშენებლობისათვის და მოქალაქეც არ დარჩება ზარალში, ვინაიდან მიიღებს სათანადო პროცენტებს. **ტ.**

სპორტი

შეჯიბრი მსუბუქ ვარჯიშში

18-დან 25 სექტემბრამდე ლენინის სახელობის სტადიონზე თბილისის ფიზკულტურის საბჭო აწყობს შეჯიბრს მსუბუქ ვარჯიშობაში თბილისის პირველობაზე.

თბილისის ფიზკულტურის საბჭო უკვე შეუდგა შეჯიბრში მონაწილეობის მიღების მსურველ წევრების რეგისტრაციას.

შეჯიბრში მიიღებენ მონაწილეობას ჯგუფები: თითო ჯგუფში იქნება 15 მოვარჯიშე—9 ვაჟი და 6 ქალი.

ჯგუფობრივი შეჯიბრის შემდეგ, შესდგება ინდივიდუალური შეჯიბრი, მსუბუქი სპორტის ყველა დარგებში.

შეჯიბრის პროგრამაში შედის: რბენა 100 და 1 500 მეტრზე (ვაჟებისთვის) და 60—800 მეტრზე (ქალებისთვის). ხტომა სიგრძეზე გარბენით, ხტომა სიმაღლეზე გარბენით, დისკოს სროლა და ბირთვის ბიძგი.

მოტო-გადარბენა

ბერლინი, 29 აგვისტო. 27 აგვისტოს ბერლინში ჩამოვიდა 5 საბჭოთა მოტოციკლისტი **ვიმელფარბის** მეთაურობით. მეექსე მოტოციკლი, გატეხის გამო, დროებით დარჩა პოლონეთში (ადს).

საბჭოთა ფეხბურთელები გერმანიაში

ბერლინი, 30 აგვისტო. „წითელი პუტილოველი"-ს ფეხბურთელთა გუნდის გამოსვლა მეტი გამარჯვებით დამთავრდა.

ერფურტში კალატოზების სასპორტო ორგანიზაციამ საბჭოთა გუნდს გადასცა პლაკატი წარწერით: „შორს ხელები საბჭოთა კავშირისაგან"! (ადს).

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო და მისი პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით აცნობებს ქართველ საზოგადოებას, რომ ამა წლის აგვისტოს 29-ს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ წაღვერში გარდაიცვალა მწერალთა კავშირის საბჭოს საპატიო წევრი პოეტი

კოტე მაყაშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილ იქნება ხელოვნების სასახლეში ოთხშაბათს აგვისტოს 31-ს, საღამოს 7 საათზე.

განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული **ხელოვნების განყოფილება** მწუხარებით აცხადებს, რომ წაღვერში აგვისტოს 29-ს გარდაიცვალა ხელოვანთა კულტურული კავშირის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე პოეტი

კოტე მაყაშვილი

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველთვიური ჟურნალის „ქართული მწერლობის" რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ა-თ. 29-ს გარდაიცვალა ჟურნალ „ქართულ მწერლობის" თანამშრომელი, მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე პოეტი

კოტე მაყაშვილი

ქართველ მხატვართა კავშირი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, ქართველ ხელოვანთა კულტურული კავშირის თავმჯდომარის პოეტის

კოტე მაყაშვილის

გარდაცვალებას.

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კულტურულ კავშირის მთავარი კომიტეტი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ა-წ. აგვისტოს 29 აგარაკ წაღვერში გარდაიცვალა ამავე კომიტეტის თავმჯდომარე პოეტი

კოტე მაყაშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე, ხელოვნების სასახლეში.

რუსთაველის სახელმწიფო თეატრის მსახიობნი და მუშა-მოსამსახურენი, მწუხარებით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას, ხელოვანთა კულტურული კავშირის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე პოეტ

კოტე მაყაშვილის

გარდაცვალებას. 1—1 3707

თბილისის ქალაქის ბანკის გამგეობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ა-წ. 29 აგვისტოს აგარაკ წაღვერში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე ბანკთან არსებულ საიპოთეკო განყოფილების გამგე პოეტი

კოტე მაყაშვილი

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—1 ნ. 1635

თბილისის ქალაქის ბანკის და თბილისის ვაჭრობის მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომი მწუხარებით აცხადებს საყვარელ თანამშრომლის, ბანკთან არსებულ საიპოთეკო განყოფილების გამგის

კოტე მაყაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—1 ნ. 1635

თბილისის ქალაქის ბანკის საიპოთეკო განყოფილების თანამშრომელნი მწუხარებით აცხადებენ განყოფილების გამგის, ძვირფასი თანამშრომლის და მეგობრის

კოტე მაყაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ხელოვანთა სასახლეში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ნ. 1637

მეუღლე თამარ ალექსანდრეს ასული, შვილები ძალვა, ნუნუ და ნუგეშა ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას [illegible]

კოტე მაყაშვილის

გარდაცვალებას.

ეკატერინე გაბაშვილი შვილებით და შვილიშვილებით ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ძვირფასი

კოტე მაყაშვილის

გარდაცვალებას

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე სოფიო, შვილები კოლა, ლადო, ფეფო, და პელო ისაკისძენი, რძლები ოლია და თებრო ფოდიაშვილები, სიძეები: ხოსრო კობაიძე და პროკოფი კერვალიძე შვილის-შვილები ვიქტორ, მიშიკო, აჩიკო, რეზო და გოგია, და სოფია ჯერენაშვილისა, ძმის ცოლი ოლღა ფოდიაშვილისა, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ტრაღიკულად გარდაიცვალა 29 აგვისტოს მათთვის დაუვიწყარი

ისაკი სოლომონისძე ფოდიაშვილი

დაკრძალვა მოხდება 1 სექტემბერს ნაშუადღევის 3 საათზე. გამოსვენება საკუთარი ბინიდან, შრომის ქუჩა (ყოფ. სამოვოლნი) № 31 კუკიის სასაფლაოზე. 3699

დამწუხრებული მეუღლე სამსონ თოდაძე და შვილი სილო, რძალი ანეტა, შვილიშვილნი პატარა მარგალიტა და ნაზიკო აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 30 აგვისტოს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი: პირველის მეუღლე, მეორის დედა და დანარჩენების დიდედა

ლ ი დ ა

გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან რუსთაველის ქ. № 37 სექტემბრის 1-ლს საღამოს 4 საათზე. 1—1 3709

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, პირველ სექტემბერს ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ:

საწარმოვო კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექცია: არამ ნაზარბეკოვი, გრიგოლ გვაზავა, ბ. ავალიშვილი, დემნა ქინქარაძეს, საროვეკ ბოიკო, არშაკ ავეტისოვი, სედრაკ დედეკოვ.

გონებრივ მუშაკთა მე-2-რე სექცია: ვერა მესნიკ, გრაჩია ნერესოვა, თამარა კაპანაძე.

რკინისმზელთა მე-7-ე სექცია: ნიკოლოზ ტატიშვილი, ლევან ნინიაშვილი, ვასილ გოგიბერიძე, ტრიფონ კვინიკაძე; რკინისგზის სექციას ესაჭიროება აგრეთვე მეისრეები (16 კაცი), 1-თი ზეინკალი და 8 დურგალი.

პარტიული კალენდარი

საქართველოს ახალგ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ შაბათს, 3 სექტემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში (მუშტაიდის ბაღი) შესდგება საზეიმო სხდომა საქ. ახალგ. ლენ. კომკავშირის ათი წლისთავისდა ახალგაზრდათა მე-13 საერთაშორისო დღის გამო. სხდომაზე მონაწილეობას მიიღებენ საქ. ახალგ. ლენ. კომკავშირის ცეკას, თბ. კომიტეტის, თბილისის ორგანიზაციის რაიკომის, საკავშირო ახალგაზრ. ლენ. კომკავშირის ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის პლენუმის წევრები და პარტიულ და საბჭოთა პასუხისმგებელი მუშაკები.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 1 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში შესდგება შემდეგი უჯრედების ჯგუფური კრება:

1) „ზაკავტომპრომტორგი", 2) ტელასი, 3) მუშკოოპის ტრანსპორტი, 4) თამბაქოს ქარხნის „პროლეტარი", 5) მელითონეთა გაერთიანებული ქარხანა, 6) გინეკოლოგიური ინსტიტუტი, 7) თვალსაჩინო სახელმძღვ. ინსტიტუტი, 8) საბაჟო, 9) შინამრეწველნი, 10) ხეზე მომუშავენი, 11) შრომის სახ. კომისარიატი, 12) მაუდის ქარხანა, 13) ხელოვ. მუშაკთა კავშირი, 14) ფიზიკ. მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტი.

პარტიის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ს. კ. პ. ც. ს. კომისია წინადადებას აძლევს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ საქ. კომისიაში (რუსთაველი, 24, მე-3 სართული, ოთახი № 6) 1) ვართან ოგანესიან ძე აგაბაბოვს, 2) პავლე ივანესძე ლავრენტიევს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 10

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიურ სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში არსებული მისი ორგანოების სპეციალური სახსარის შესახებ

ა.-კ. სფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა წლის ივნისის 23-ს მიღებული დადგენილების (განმკარგულებელი სხდომის ოქმი № 25 3.13) აღსასრულებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება მიეცეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და მის ორგანოებს აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიურ სოც. საბჭ. რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში:

ა) იქონიონ სპეციალური სახსარი და

ბ) აწარმოონ სტატისტიკური სამუშაო და გამოსცენ სტატისტიკური მასალა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და საწარმოთა ფონდების თაობაზე მხოლოდ იმ თანხების ხარჯით, რაც აღნიშნული გამოცემებისა და სამუშაოების შესრულებისთვის შემოვა.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „ბ" პუნქტში აღნიშნული თანხა მიიქცევა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკასა, აჭარისტანის ავტონომიურ სოც. საბჭ. რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ოლქში არსებული მისი ორგანოების სპეციალურ სახსარში და დაიხარჯება, სადისოდ დადგენილი წესისამებრ, 1-ლ მუხლში გათვალისწინებულ გამოცემათა და სამუშაოთა შესასრულებლად.

3. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „ა" პუნქტში აღნიშნული თანხის ხარჯით არ უნდა იქნეს წარმოებული ისეთი სამუშაო, რომლისთვისაც საშტატო თანხა გადადებულია ნორმალური საბიუჯეტო წესით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმ. მმართვ. მოვ. დრ. ამხ. ბ. ფალავა.

1927 წ. აგვისტოს 24. თბილისი—სასახლე.

ეთერი (სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი (ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო (არტის ბაღში).

0—18 ნ. 1388

დადგმის მეორე კვირა საუკეთესო სურათი, რომელმაც პირველი პრემია მიიღო კონკურსში

„სკარამუშ"

დადგმა მსოფლიო რეჟის.- **რექს ინგრემ**

„სკარამუშის" ყოველი კადრი განსაცვიფრებელია დამუშავების სისრულით, სტილის ცოდნით სარეჟისორო ხელოვნება ინგრემისაგან უნდა ისწავლოს ყველამ, ვისაც სურს შეისწავლოს კინო ხელოვნების რთული კანონები. „რაბოჩაია პრავდა", 26 აგვისტო.

გერმანიის ეკრანის საუკეთესო ძალები კონრად ვეიდტი, ლიან გაიდი, ვ. კრაუსი, პ. ვეგენერი საუკეთესო სურათში

„ლუკრეცია ბორჯია"

ანონსი: ამ დღეებში 2 საუკ. სურ.: „შორეულ ნაპირზე" და „წარსული და მომავალი"

განათლების სახალხო კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ განსახკომს **ესაჭიროება 400—ოთხასი კუბ. საჟ. მაგარი ჯიშის შეშა 24—ოცდა-ოთხ ვერშოკიანი.**

წინადადებების შეტანა და ცნობების მიღება შეიძლება განსახკომის განმანაწილებელ განყოფილებ. ოთახი № 10

1—1 ნ. 1636

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის **სამკურნალო** ხაწოლებით **ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი**

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი

საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი

(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი. ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. გორონცოვის) 3645—18—1

ექიმი გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—

პროფესორი მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა თბილისში.

ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ) № 7. ტელ. 14—56. 13-1

ექიმი ა. დ. კეკელია

იფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.

ექიმი მეგრაბიანცი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **ფილტვების, ძლიქის და გულის სნეულებანი**

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა **ხელოვნური მთის მზე.** იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ.. 13—1

ექიმი ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 18 (შევალი წუ ლუკიძის ქუჩიდან ყოფ კრუზენშტერნის ქ.) 25—5

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8

დავკარგე თამასუქები ხელ მოწერილი ჩამოუწერელი რომელიც ქონდათ ჩემზე მოცემული, 1. თედორე ამბრელავა 600 მ., 2. მიხეილ გუგუნავა 140 მ., 3. კონსტანტინე კილასონიას 60 მ., 4. დომენტი ვაშაკიძეს 60 მ., 5. ილიკო ლომთათიძეს 50 მ., 6. ვასილი ლეჟავა 100 მ., 7. ლანი ლაცაბის 80 მ., 8. ატაშა გამაზოვის და შალიკო მიქაბერიძის 600 მ., 9. ბიჭიკო ლეჟავას ხელმოწერილი თამასუქი 1000 მ., 10 გიორგი მაჭარაძეს და ბიჭიკო ლეჟავას მიერ ხელმოწერილი თამასუქი—1000 მ., ჩ. გ. 1704

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 252, სოლიკო მიხასძე მამისმედიშვილის **სახელზე, ჩ. გ.** 3705

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 231 ბიქტორ სიმონისძე გოგორიშვილის **სახელზე, ჩ. გ.** 3706

დავკარგე პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 28525, ირაკლი ინაშვილის **სახელზე, ჩ. გ.** 3703

დავკარგე ლომბარდის ქვითარი № 11508 კირილე პავლესძე რუხაძეს **სახელზე, ჩ. გ.** 3706

დავკარგე მოწმობა № 2026, მიღებული კულაშის ცხრაწლედიდან შვიდწლედის დამთავრების შესახებ იულია ზაქარიას ასულ კვანტალიანის **სახელზე, ჩ. გ.** 3708

დავკარგე პირადი წიგნაკი, ფ. № 4, № 395, გაცემული ნაქალაქევის რაასამხედრო მაგიდიდან რემანოზ გოგიას **სახელზე, ჩ. გ.** 3708

დავკარგე ფ. ტ. კავშირის წიგნაკი № 98935 კლიმენტი ბოკუჩავას **სახელზე, ჩ. გ.** 3703

დავკარგავ მეტრიკული ამონაწერი ელიკო ზაქარიას ასული ოქროპირიძეს **სახელზე, ჩ. გ.** 3702

დავკარგე პირადობის მოწმობა № 7155, გრიგოლ შოთაძეს სახელზე, ჩ.გ. 3701

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 1075 მიღებული სოფ. ანგის მიწატყის კავშირიდან და ერთი თუმნის ბარათი ქრისტაფორ ფრამოზმისაგან ალექსანდრე რაფაელიანცის სახელზე, ჩ. გ. 370

ს. ს. ს. რ. ს. მ. უ. ს. ლითონის მრეწველობის ტრესტის ბალანსი

1926 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის

აქტივი

განყ.	ჯგ.	ქვეჯგ.	მუხლების დასახელება	ჯამი: კერძო	ჯამი: საერთო
1			ქონება:		
	1		შენობანი და ნაგებობანი:		
		ა	შენობანი საწარმ. დამხმ. და სავაჭრო მნიშვნელობის.	662.562—69	
		ბ	საცხოვრებელი ბინები.	107.965—71	
		გ	ნაგებობანი.	45.359—76	
	2		მანქანები და გაწყობილება:		
		ა	ძალოვანი მოწყობილობა.	193.116—46	
		ბ	ტეხნიკური გაწყობილებანი და მანქანები.	363.455—48	
	3		იარაღი.	42.503—66	
	4		ინვენტარი.	83.730—40	
	5		ტრანსპორტი.	7.567—55	1.506 261—71
2			სათადარიგო გაწყობილობა.	—	68.812—45
3			დაუმთავრებელი შენობები.	—	9.779—38
4			მასალა:		
	1		ნედლეული და ძირითადი მასალა.	445.304—27	
	2		დამხმარე მასალა.	113.687—09	
	3		სათბობი მასალა.	9.976—04	
	4		მასალა და სათბობი გზაში.	33.971—96	602.939—36
5			დაუმთავრებელი წარმოება.	—	328.629—98
6			ნახევარ-ფაბრიკატები:		
	1		საწყობებში	—	113.664—35
7			საქონელი და მზანაწარმი:		
	1		ქარხნების საწყობებში.	85.379—27	
	2		საწყობებში და მაღაზიებში.	342.277—73	
	3		საკომისიოთ გადაცემული.	2.181—52	
	4		საქონელი გზაში.	35.721—96	
	5		შესრულებული შეკვეთები (ჩაუბარებელი)	63.391—87	528.952—35
8			ფულადი სახსარი:		
	1		კ ა ს ს ა.	9.056—40	
	2		მიმდინარე ანგარიშები.	1.535—78	10.592—18
9			ფასიანი % % ქაღალდები	—	100—00
10			აქციები და პაიები სხვა საწარ. დაწ.	—	20.000—00
11			სამისალებო თამას. და საბუთები:		
	1		სამისალებო თამასუქები:		
		ა	პორთფელში.	18.070—17	
		ბ	გადაგზავნილი (ინკასსო).	2.073—00	
	2		პროტესტქმნილი თამასუქები..	4.341—00	
	3		განაღდებული თამასუქები.	130.056—52	
	4		ფასდადებული ამანათები და სამისალებ. დოკუმენტ.	1.377—59	155.918—28
12			ანგარიშ-სავალდებულო თანხები.	—	17.917—27
13			დ ე ბ ი ტ ო რ ე ბ ი:		
	1		მუშა-მოსამსახურენი.	14.972—88	
	2		მომწოდებლები და მონარდენი.	40.455—95	
	3		იყიდველები.	172 625—92	
	4		სხვადასხვა დებიტორები.	42.417—44	
	5		საეჭვო დებიტორები.	94.059—96	364.532—15
14			მომავალ წლების ხარჯები:		
	1		სხვადასხვა ხარჯები.	—	3.029—16
			ბ ა ლ ა ნ ს ი. მან.	—	3.731.128—62

პასივი

განყ.	ჯგ.	ქვეჯგ.	მუხლების დასახელება	ჯამი: კერძო	ჯამი: საერთო
1			კ ა პ ი ტ ა ლ ე ბ ი:		
	1		საწესდებო.	1.717.407—54	
	2		საამორტიზაციო.	303.237—82	2.020.645—36
2			რ ე ზ ე რ ვ ე ბ ი		
	1		საეჭვო ვალების		94.059 96
3			სესხები და კრედიტები:		
	1		სხვა სესხებით.	—	385.820—00
4			გაცემული თამასუქები.	—	155 306—05
5			ბანკები განაღდ. თამასუქებით.	—	130.056—52
6			კ რ ე დ ი ტ ო რ ე ბ ი:		
	1		მუშა-მოსამსახურენი.	36.050—48	
	2		მომწოდებლები და მონარდენი.	44.853—27	
	3		მყიდველები	646.028—20	
	4		გადაუხდელი გადასახადები და ვალდებულებანი:		
		ა	სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადი.	20.301—96	
		ბ	სოციალური დაზღვევის.	47.267—30	
		გ	სხვადასხვა გადასახადები.	7.426—09	
		დ	სხვა და სხვა კრედიტორები.	143.217—06	945.144—36
7			შ ე დ ე გ ე ბ ი:		
	1		მოგება საანგარიშო წლისა.	—	96—37
			ბ ა ლ ა ნ ს ი. მან.		3.731.128—62

ბალანსის იქითა მუხლები

		კერძო	საერთო
1.	საქონელი აღებული საკომისიოთ	—	47.833—43
2.	უზრუნველსაყოფად გაცემული თამასუქების პატრონნი	—	270.820—00
	ჯ ა მ ი . მან.	—	318.653—43
	ბალანსის გარეშე მუხლები:		
1.	მიწა 117.493,49 კვ. საჟ. (რაოდენ.)		59.873—10

		კერძო	საერთო
1.	კომიტენტები	—	47.833—43
2.	გაცემული საგარანტიო თამასუქები	—	270.820—00
	ჯ ა მ ი . მან.	—	318.653—43

ზარალ—მოგების ანგარიში 1925—26 წლ.

ზარალი: მუხლების დასახელება	ჯამი	მოგება: მუხლების დასახელება	ჯამი
1. სავაჭრო ხარჯები	68.116—36	1. მოგება საქონლის და ნახევარ-ფაბრიკატ. რეალიზაციიდან.	265.216—22
2. საერთო საადმინისტრაციო ხარჯები	201.405—17	2. მოგება მასალის რეალიზაციიდან	54.667—44
3. დანაკლისი მასალის, ნახევარ ფაბრიკატების და საქონლისა	19.138—59	3. მოგება შეკვეთების შესრულებიდან.	61.147—23
4. უიმედო ვალების ჩამოწერა	76.363—70	4. მიღებული პროცენტები.	335—04
5. საეჭვო ვალების რეზერვი	61.343—08	5. მეტობა მასალის, ნახევარ-ფაბრიკატ. და საქონლისა	4.491—41
6. გაცემული საურავი, ჯარიმა და სხვა	1.164—84	6. ჩამოწერილ უიმედო ვალების დაბრუნება	4.150—07
7. ზარალი საწარმოთა შეჩერების გამო	1.805—28	7. მიღებული საურავი, ჯარიმა და სხვა	968—22
8. ზარალი გასულ წლებიდან	6.502—77	8. სხვადასხვა და შემთხვევითი შემოსავალი	80.374—38
9. სხვა და სხვა და შემთხვევითი ხარჯები	35.413—85		
ჯ ა მ ი	471 253—64	ჯ ა მ ი	471.350—01
ნაშთი: წმინდა მოგება	96—37		
ბ ა ლ ა ნ ს ი მან.	471.350—01	ბ ა ლ ა ნ ს ი მან.	471.350—01

ეს ბალანსი დამტკიცებულია ბალანსების განმხილველ საუწყებათაშორისო კომისიის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად (ოქმი № 1 1927 წ. 16 ივნისის თარიღით) ნ. 1629.

საქ. ს. მ. უ. ს. მთავარი ბუჰხალტერი პ. ჯანელიძე.

ტრესტის მმართველი დათუნოვი

მთ. ბუჰხალტერის მოადგ. გ. შეროზია

ამსაკომის სტამბა, კამოს ქ. [illegible]